დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2022 წლის 31 ოქტომბერი - 6 ნოემბერი

N 45 1457

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



## გიორგი გამსახურდია:

## ცოტნეს ბიოლოგიური დედის და მისი მხარდამჭერი სექტის საქციელი მართლა არანორმალური მოვლენაა!

2-3



„გამოკვეთილად ბულინგის ობიექტია ჩემი რძალი ანი ჯაბაური...“



„ბევრი ისეთი დეტალი გამჟღავნდება, თავი არ ექნება ზოგ-ზოგიერთს გამოსაყოფი ქართველ ხალხთან!“

## გუბაზი, როგორც არესტოვიჩი! 



## ცრემლიანი ისტორია მამა-შვილისა, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომში სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდა!

### დავით მარტიაშვილი:

შვილი ნებისმიერ შემთხვევაში გავზარდე თავისი ქვეყნისთვის თავდადებულ ვაჟკაცად და არა მოღალატედ... მეორე საკითხია, უნდოდა თუ არა მას ეს ომი!

4-5

## ავი საქალდე



10

# ფრთხილად, გინტურია!

## იუსტიციის მინისტრო, აღადგინე სამართალი!

„ვითხოვთ რატი ბრეგაძესთან შეხვედრას, რათა თაღლითობაში არაერთხელ მხილებული ნოტარიუსის ნუნუ გინტურის მამხილებელი მასალები გადავცეთ!“





ეს არის!

## დაისაჯოს ადეიშვილის ღამის ნოტარიუსი!!!



6-7

„როგორც კი თეა წულუკიანი წავიდა და საქართველოს იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე გახდა, ნუნუ გინტურმა ნოტარიუსის ლიცენზია, სასამართლოში ჩანერგილი ნაცი მოსამართლეების ხელშეწყობით, მაშინვე აღიდგინა!“



# გიორგი გამსახურდია: ცოტნეს ბიოლოგიური დედის და მისი მხარდამჭერი სექტის საქციელი მართლა არანორმალური მოვლენაა!

***ორიოდე დღის წინათ საინფორმაციო სააგენტო „რეპორტიორის“ გვერდზე გავრცელდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას უმცროსი ვაჟის გიორგი გამსახურდიას ბლიც-ინტერვიუ სათაურით „ბულინგის ობიექტია ჩვენი რძალი ანი ჯაბაური!“ ერთიცაა: ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ საზოგადოების მცირერიცხოვანი ჯგუფი და კონკრეტული ადამიანები სხვადასხვა ინფორმაციას ავრცელებენ და მის მკურნალ ექიმებს ათასგვარ ბრალდებას უყენებენ. დიდი ხანია, გიორგი გამსახურდია „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე არ გამოჩენილა და გადავწყვიტეთ, შევხმიანებოდით:***

— მოკლედ, ასეთი სიტუაციაა — რაც ცოტნეს ეს ამბავი შეემთხვა, ნულოვანი მხარდაჭერა იყო ცოტნეს ე.წ. გულშემატკივრების მხრიდან და პირადად მისი ბიოლოგიური დედის მხრიდან. არათუ მხარდაჭერა, იმ ხალხს, ვინც ცოტნეს კეთილდღეობაზე ზრუნავს და ზრუნავდნენ, გარდა ხელის შეშლისა, არაფერი მიუღიათ! არაფერი მიუღიათ შეურაცხყოფის, აგდებული დამოკიდებულების, წყევლის, სოციალურ ქსელებში რაღაც მართული კამპანიების გარდა... ერთი მხრივ, ძალიან კარგია, რომ ეს მხოლოდ ირონიას იწვევს მათი რიცხობრივი უმცირესობიდან გამომდინარე, მაგრამ, მეორე მხრივ, მსგავს საქციელსაც აქვს საზღვარი. გამორიცხულია, რომ საღი გონების ადამიანი მათ პათოსს ეთანხმებოდეს. რეალობას საერთოდ მოწყვეტილი ხალხია და აგრესიით არიან გამორჩეული.

**— ქალბატონი მანანა არჩვაძის მომხრეებიც ახსენეთ გავრცელებულ ინტერვიუში...**

— მანანა არჩვაძის მომხრეებიც არა! **თავი და თავი ამ აგრესიისა და ბულინგისა სწორედ მანანა არჩვაძე-გამსახურდია და მისი მომხრეები არიან და ამის მერე შეიძლება ვახსენოთ რაღაც ანტივაქსერული ორგანიზაცია, რომლის წევრებიც ჩართულნი არიან იმ სიბინძურეში, რაც ჩვენ მიმართ ხორციელდება!**

გეტყვი, რასთან გვაქვს საქმე... ამ ადამიანების მთავარი და უბინძურესი ნარატივი ისაა, თითქოს ხელისუფლებას განზრახული აქვს ცოტნეს ლიკვიდაცია და **მე, კოკო და ჩვენი რძალი, ცოტნეს მეუღლე ანი ჯაბაური** ხელისუფლებას ამაში ვუწყობთ ხელს... სრული ბოდვაა, რა!

გესმით, რასთან გვაქვს საქმე? **ვიმეორებ: თურმე, „ქართული ოცნება“ ჩემი, კოკო გამსახურდიასა და ანი ჯაბაურის ხელით გეგმავს ცოტნეს ლიკვიდაციას!**

**— და ამ აზრს იზიარებს ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდიაც?**

— იზიარებს კი არა, პირადად მისგან მოდის ამ ბოდვის ტირაჟირება! და მერე ხდება ამ ბოდვის მხარდაჭერა რაღაც სექტის მიერ, რომელიც მართლა სექტად იქცა, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს...

**— ბოლო წლებში გარკვეულ მედიასაშუალებებში გაჟღერდა ინფორმაცია ქალბატონი მანანას და ცოტნეს ურთიერთდაპირისპირების შესახებ... ბოლო-ბოლო, რა უნდა ქალბატონ მანანას? რაში ხედავს პრობლემას?**

— ყველაზე სავალალო და ცუდი ის არის, რომ ამ ადამიანს ვერ აქვს გარკვეული, სად არის და რა უნდა... მისი ქმედებების კომენტირება პირადად მე მიჭირს,

**ამ ხალხზე რაიმე დასკვნების გაკეთება მიჭირს, რადგან ეს ფსიქიატრიის კომპეტენციაა! შესაბამისი განათლება ნამდვილად არ მაქვს და პროფესიონალი მედიკოსები სჭირდება მათი მდგომარეობის შესწავლას...**

## „გესმით, რასთან გვაქვს საქმე? თურმე, „ქართული ოცნება“ ჩემი, კოკო გამსახურდიასა და ანი ჯაბაურის ხელით გეგმავს ცოტნეს ლიკვიდაციას!“

## „დღეს რომ ცოტნე გამსახურდია ცოცხალია, არის ერთადერთი კაცის დამსახურება და ეს ადამიანი გახლავთ ბატონი ბიძინა ივანიშვილი!“



**ვწუხვარ, ამას რომ ვიმეორებ, მაგრამ ცოტნეს ბიოლოგიური დედის და მისი მხარდამჭერი სექტის საქციელი მართლა არანორმალური მოვლენაა და ყველანაირ ზღვარს სცილდება!**

წარმოგიდგენიათ, რას უძლებენ ის მედპერსონალი და ნებისმიერი სამთავრობო რგოლი, რომლებიც კომპეტენციის და შესაძლებლობების ფარგლებში ჩართულნი არიან ცოტნეს გამოჯანმრთელების საკითხში?! ამ ადამიანებს რომ ბინძური ეპითეტებით ამკობენ, ეს ნორმალურია?

პირდაპირ გეტყვით: უფრო გამოკვეთილად ბულინგის ობიექტია ჩემი რძალი **ანი ჯაბაური,** რომელმაც თავისი ცხოვრების ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი ცოტნეს კეთილდღეობას დაუთმო და დღესაც ახმარს და ამას აკეთებს პროფესიონალურ დონეზე, ადამიანურად... **შეუძლებელსაც კი აკეთებს იმისათვის, რომ ცოტნეს მოვლა-პატრონობა არ დააკლოს და საპასუხოდ რას იღებს?** საშინელ, ვერც გავიმეორებ, ისეთ ეპითეტებს... არა მგონია, ასეთი რამ ჯანმრთელი ადამიანის ფსიქიკაში მოიხარშოს... უფრო მეტიც, არ არის ეს ხალხი ჯანმრთელი!

**— ანუ, გარკვეულწილად, უმადურობასთანაც გვაქვს საქმე?**

— ცოტნე თავიდან ბოლომდე არის „ქართუს“ ბენეფიციარი და იმყოფება მთავრობისა და პირადად პრემიერ-მინისტრის, ბატონი **ირაკლი ღარიბაშვილის** პატრონაჟის ქვეშ!

წვრილმანი, ყოველდღიური რუტინა ჩემი და ანის კისერზე გადადის, მაგრამ ვიმეორებ და მილიონჯერ ვიტყვი — **ლომის წილი ამ ყველაფერში არის საქართველოს მთავრობის და, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილისა და ფონდი „ქართუსი“!**

დიახ, **დღეს რომ ცოტნე გამსახურდია ცოცხალია, არის ერთადერთი კაცის დამსახურება და ეს ადამიანი გახლავთ ბატონი ბიძინა ივანიშვილი!**

და ამ ბულინგისა თუ სიბინძურეთა ტირაჟირება, ამ ყველაფრის ორკესტრირება ხდება ცოტნეს ბიოლოგიური დედის მხრიდან! **ვილაცა გიჟი და მამაძაღლი რას იტყვის, არაა მნიშვნელოვანი, მაგრამ როცა მსგავსი პოზიცია აქვს ბიოლოგიურ დედას, ესაა სწორედ სამწუხარო...**

**— საკმაოდ ხშირად ახსენებ ამ ფრაზას — „ბიოლოგიური დედა“... გეტყვით გულწრფელად, თავადაც უხერხულობა მექმნება, როდესაც გიორგი გამსახურდია იყენებს ამ ფრაზას...**

— მეც მექმნება უხერხულობა, გიორგი... გულწრფელად გეუბნები! თუ დაკვირვებიხართ, ყოველთვის ფრთხილი კომენტარები მქონდა ამ საკითხებთან მიმართებაში მთელი ამ წლების განმავლობაში და ვცდილობდი, რაღაც საზღვრები დამეცვა, მაგრამ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ მე დღეს ამგვარად მოვიხსენიო! მეტსაც გეტყვით: **მე თუ ეს ყველაფერი „გავატარე“ და „გადავყლაპე“, მთელი ამ ბინძური პროცესების მონაწილე ვხდები! შესაბამისად, ის არნახული სიბინძურე და გამოხატული უმადურობა, რაც ამ ადამიანის და ამ ჯგუფის მხრიდან მიედინება სამთავრობო რგოლებისა თუ მედიკოსების მიმართ, თუ არ გავაპროტესტე, თანამონაწილე ვხდები მათივე სიბინძურისა!**

არადა, იმის მაგიერ, რომ მის ბიოლოგიურ დედას ჰქონდეს რაიმე სახის მადლიერება, ლანძღვის მეტი არაფერი ისმის მისი

## კვირგვინოსნები



**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*

ვაკის პარკში **ტრაგედიამ გამანადგურა,** პარალელურად, **მაქვს პასუხისმგებლობა,** ვიყო იქ, სადაც ამას ქალაქის განვითარება მოითხოვს.

„პირველი არხი“



**ილჰამ ალიევი**
*აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი*

აზერბაიჯანი აპირებს, საერთაშორისო ბაზრებზე ექსპორტზე ელექტროენერგია გაიტანოს და **ჩვენი მარშრუტი აუცილებლად გაივლის საქართველოს.**

„იმედინიუსი“



**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*

**არამხოლოდ საქართველოს სჭირდება,** რომ გახდეს ევროკავშირის წევრი, **არამედ ევროპასაც სჭირდება,** რომ ჰყავდეს ისეთი პარტნიორი და წევრი ოჯახში, როგორიც საქართველოა.

„ინტერპრესნიუსი“



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელმაც **რამდენჯერმე განიცადა რუსული აგრესია** და ძალიან კარგად ვიცით, როგორი უნდა იყოს სწორი რეაქცია.

„საქართველოს რესპუბლიკა“



**დიტო სამხარაძე**
*პარლამენტარი*

**ბატონი ბიძინა** მართალი კაცია, სიმართლეს ვერავინ დაამარცხებს, ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც ქვეყნის გარეთ.

„აიპრესი“



**ვატო შაქარაშვილი**
*„აი-ია“ თანადამფუძნებელი*

გვეუბნებიან, რომ ბატონი **ბიძინა ივანიშვილი** ეღობება საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე, სინამდვილეში ის ეღობება საქართველოს ომში ჩათრევის გზაზე.

„TV იმედი“







**„გამოკვეთილად ბულინგის ობიექტია ჩემი რძალი ანი ჟაბაური, რომელმაც თავისი ცხოვრების ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი ცოტნეს კეთილდღეობას დაუთმო და დღესაც ახმარს!“**

**„ქალბატონ ლელესთან ლაპარაკს საერთოდ აზრი არა აქვს! დაწერეთ პირდაპირ: ეგეც არანაკლები გიჟია! არ უდებენ ტოლს ერთმანეთს დები არჩვაძეები!“**

მხრიდან... არ არის საუბარი რაღაც დითირამბებზე და მსგავსზე, მაგრამ შენ რომ საღ გონებაზე იყო და შენს შვილს პატივს სცემდე, შენი შვილები გიყვარდეს, იმ ადამიანს, ვინც ამაგი გაიღო, უნდა დაუფასო, ხომ? ამაგზეც არ არის... ეს ყველაფერი გაცილებით მეტია, ვიდრე ამაგი.

სამწუხაროდ, გამოკვეთილად არის მივარდნები სარეაბილიტაციო ცენტრში, წეროვანში, იმ კეთილშობილი ადამიანების გამოლანძღვა, ტელეფონზე რეკვა, ანონიმური წერილების გზავნა, რაღაც ანტივაქსერული საზოგადოებების მიქსევა... **მაგალითად, გაჰკივიან — ცოტნეს კოვიდი გადასდესო... ჩემი უფროსი მეგობარია ავთო ჯორბენაძე, ჩემი ბავშვობის ძმაკაცები არიან მისი შვილები ბუტა და რეზიკო, რომლებსაც მართვაში აქვთ ჩაფიძის კლინიკა... იქ ცოტნეს უმკურნალეს, სრულად განკურნეს კოვიდისგან და ახლა ეს ადამიანები ამოიჩემა ამ სექტამ — სხვას ვერაფერს ვერ დაგვარქმევ — და მიდის მათი ბულინგი, წყევლა-კრულვა იმ ხალხისა, ვისაც სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია!** იმიტომ არ ვამბობ ამას, რომ **ავთო ჯორბენაძე** ჩემი უფროსი მეგობარია, **ბუტა და რეზიკო** კი — ბავშვობის ძმაკაცები, ეს არამც და არამც არ მალაპარაკებს... უბრალოდ, ფაქტია — დღეს რომ ცოტნე კარგად არის, ეს არის ამ ხალხის დიდი დამსახურებაც!

**— გისმენ და ჩემთვისაც ერთგვარად გაუგებარია თუნდაც ქალბატონი მანანას ამგვარი დამოკიდებულება...**

— ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი! წვიმას — წვიმა, სეტყვას — სეტყვა... და ამ ხალხსაც კონკრეტული სახელები და გვარები აქვთ! და ამ ხალხს მართავს **მანანა არჩვაძე-გამსახურდია!** ეს არის სიმართლე!

**— პირდაპირ გკითხავ: არ გქონია მცდელობა, დედასთან ერთად, თუნდაც დეიდასთან, ქალბატონ ლელე არჩვაძესთან ერთად დამსხდარიყავით და გაგერკვიათ ყველაფერი, ასე საჯარო რომ არ გამხდარიყო თქვენი ურთიერთდამოკიდებულება?..**

— ყველანაირად ვცადე, მაგრამ იგი ყველანაირად გასულია ადეკვატური ჩარჩოებიდან! აზრი არა აქვს ამ ყველაფერს... იგი ყველაფერს აკეთებს, რომ ცოტნეს მდგომარეობა რეგრესისკენ წავიდეს... არადა, კუს ნაბიჯებით, მაგრამ მაინც მივდივართ დადებითისკენ, რომ არა მეგაფონებით მორბენალი ეს ეგზალტირებული ბრბო!

დიახ, ჩემთვის მთავარია, იმ ხალხთან ვიყო პირნათელი, ვისაც ამაგი აქვს ჩემი ძმის გამოჯანმრთელების საქმეში! დანარჩენი მართლა არ მაღელვებს... რაც შეეხება **ქალბატონ ლელეს...** მასთან ლაპარაკს საერთოდ აზრი არა აქვს! დაწერეთ პირდაპირ: ეგეც არანაკლები გიჟია! არ უდებენ ტოლს ერთმანეთს დები არჩვაძეები!

**— შესაძლოა, ე.წ. „ზვიადისტური ფრთის“ ნაწილმა ცუდად მიიღოს დღევანდელი შენი ინტერვიუ...**

— პირიქით! **დამიჯერეთ, ზუსტად ზვიად გამსახურდიას მომხრეები არ მიიღებენ ჩემს ნათქვამს ცუდად, რადგან ყველაზე უკეთ ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა უწყიან მისი სახე უპირველესად!** არაერთხელ დაუხუნძლია თითოეული მათგანი ათასგვარი დაუმსახურებელი ეპითეტებით და „სუკის აგენტის“ „რეგალიებით“... შენც იყავი მაგ სიაში წლების წინ, მახსოვს...

**სამწუხაროდ, ძალიან ბევრი უსამართლობა ნახა ზვიადის ერთგულმა ხალხმა ამ ადამიანის მხრიდან!**

**— იმ დროსაც, როცა ზვიად გამსახურდია პრეზიდენტი იყო?**

— რა თქმა უნდა! თავისთავად, ცხადია...

**— ზვიად გამსახურდია ვახსენეთ და ბარემ გკითხავ: დღემდე არ გისაუბრია დეტალურად საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობისა თუ თვითმკვლელობის საქმის ირგვლივ... ათი წლის განმავლობაში ვატარებდი ჟურნალისტურ გამოძიებას ამ საქმეზე და ერთადერთი ხარ პრეზიდენტის ოჯახის მხრიდან, ვისთანაც არ მისაუბრია...**

— და ერთადერთი ხარ, ვინც პროფესიულად „დაჰკითხა“ ისეთი ხალხი, ვინც პროკურატურამდე ვერაფრით მიიტყუეს... მათ შორის, მაღალჩინოსნებიც... **მე დეტალურად გადევნებდი თვალს „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებულ ჟურნალისტური გამოძიების მასალებს, სხვათაშორის... ბევრი რამ თქვენთვისაც დაფარულია.** ბევრი ისეთი დეტალი გამჟღავნდება, თავი არ ექნება ზოგ-ზოგიერთს გამოსაყოფი ქართველ ხალხთან! **მოვა ამის დროც!** ჩვენ არასაგაზეთოდაც გვისაუბრია ამ თემაზე და როგორც დავთქვით, **სწორედ შენ იქნები ის ჟურნალისტი, ვისთანაც მექნება საუბარი ამ და სხვა, ბევრისთვის უცნობ ფაქტებზე...** გაძლევ მაგის მტკიცე პირობას და ეს დრო ძალიან მალე მოვა!

# „ბევრი ისეთი დეტალი გამჟღავნდება, თავი არ ექნება ზოგ-ზოგიერთს გამოსაყოფი ქართველ ხალხთან! მოვა ამის დროც!“



**„ჩემი უფროსი მეგობარია ავთო ჯორბენაძე, ჩემი ბავშვობის ძმაკაცები არიან მისი შვილები ბუტა და რეზიკო, რომლებსაც მართვაში აქვთ ჩაფიძის კლინიკა... დღეს რომ ცოტნე კარგად არის, ეს არის ამ ხალხის დიდი დამსახურებაც!“**

# P.S.

ძნელია, მსგავსი მასალის ჯერ მომზადება და მერე გამოქვეყნება. ბევრისთვის არ იქნება ადვილი მისი წაკითხვა... თუმცა, ფაქტებს ვერსად გავექცევით და ერთი რამ გვახსოვდეს: **„არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს“.**

*ესაუბრა*
***გიორგი მამაცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**სოზარ სუბარი**
*მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი*



საზოგადოებას მუდმივად წამლავენ **დეზინფორმაციით,** ჩვენი მოვალეობა კი მოქალაქეების **ინფორმირებაა.**

„TV იმედი“

**სანდრო თვალჭრელიძე**
*ექსპერტი*



კანონი **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“,** რომელიც ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის მმართველობისას არის მიღებული, აბსოლუტურად გაუმართავია. **ტენდერს იგებს ის კომპანია, რომელიც სახელმწიფოს სთავაზობს ყველაზე დაბალ თანხას.** შენ არა გაქვს შესაძლებლობა, აირჩიო კომპანია, რომელიც უფრო ხარისხიანად და პროფესიონალურად შეასრულებს სამუშაოს, რადგან ასეთ კომპანიას ჰყავს კონკურენტი, რომელიც უფრო დაბალ თანხას იხდის და შენც იძულებული ხარ, ის აირჩიო. ასევე გაჩნდა დილეტანტების დიდი რიგი, რომელიც **თავს ბიზნესმენს უწოდებს.** ხშირად სწორედ **ისინი იგებენ ტენდერებს და აზრზე არ არიან, რა უნდა გააკეთონ. მერე ქირაობენ ქვეკონტრაქტორებს. ისინი კიდევ ვილაცას დაიქირავებენ,** შეიძენენ რაც შეიძლება იაფფასიან მასალას თუ დანადგარებს და შედეგად ვიღებთ ტრაგედიას. ნახავდით იმ ფირს, რომელშიც შადრევნის კაბელები, ძრავები და სხვა ტექნიკური დეტალები იყო აღბეჭდილი. მე დავაკვირდი და ყველაფერს ჩინური წარწერები ჰქონდა და, დიდი ალბათობით, დაბალი ხარისხისაა.

„კვირის პალიტრა“

**ალუდა ღუდუშაური**
*პარლამენტარი*



ფაქტები არის ჯიუტი — თუ ამოვიღებთ ციფრებს **საქართველოში** რეფორმების კუთხით, მაგალითად, **უკრაინასთან და მოლდოვასთან** შედარებით, დავინახავთ, რომ **საქართველო** ყველა პოზიციაში არის დომინანტი და მოწინავე.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**კელი დეგნანი**
*აშშ-ის ელჩი საქართველოში*



რაც ყოფს **საქართველოს და უკრაინას,** სარგებელს აძლევს **რუსეთს.**

„ახალი თაობა“

*ახლახან უკრაინაში ვიცე-პოლკოვნიკ* ***დავით მარტიაშვილის*** ***ვაჟი, 25 წლის უფროსი ლეიტენანტი*** *ალექსანდრე დავითის ძე ბერმაში* ***დაიღუპა. მამისგან განსხვავებით, ის უკრაინის მოქალაქე გახლდათ და უკრაინის დასაცავად იბრძოდა. დავით მარტიაშვილი, რომელსაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ყველა ომში აქვს მონაწილეობა მიღებული, სააკაშვილის რეჟიმს უკრაინაში გაექცა და ბატალიონ „დონბასის" შემადგენლობაში ადგილობრივ ანტიტერორისტულ ოპერაციებში ღებულობდა მონაწილეობას. მერე უკრაინაში ჩავიდა თვით სააკაშვილი და ქართველი პოლკოვნიკის დევნა გაგრძელდა. მარტიაშვილს სამჯერ დაუპირეს ლიკვიდაცია. იძულებული გახადეს, სიცოცხლის გადასარჩენად უკრაინიდან ამჯერად ევროპაში გაქცეულიყო. „ასავალ-დასავალთან" ინტერვიუებში ის დაუღალავად გმობდა კოლექტიური დასავლეთის ინტერესების გამო პროვოცირებულ ომს და უკრაინის ხელისუფლებას დასავლეთის მარიონეტობაში ამხელდა.*** *— „არ გამოვრიცხავ, ჩემი ვაჟი შეგნებულად გაწირეს სასიკვდილოდ და ჩემზე შური ამგვარად იძიეს. მე ამ ომში საქართველოს ჩართვის წინააღმდეგი ვარ, შვილი კი ვაჟკაცად გავზარდე და არა მოღალატედ, როგორც ქართველი თანამდებობის პირთა ნაწილი ზრდის!"* ***— ამჯერად ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი შვილმოკლულმა ქართველმა პოლკოვნიკმა:***



# ცრემლიანი ისტორია მამა-შვილისა, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომში სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდა!

## დავით მარტიაშვილი:

# შვილი ნებისმიერ შემთხვევაში გავზარდე თავისი ქვეყნისთვის თავდადებულ ვაჟკაცად და არა მოღალატედ... მეორე საკითხია, უნდოდა თუ არა მას ეს ომი!

— სამიოდე კვირის წინ მეგონა, სიკვდილს ვაჯობე, მაგრამ ბედისწერამ სულ სხვაგან მომძებნა, თან იმაზე უფრო მწარედ ვიდრე წარმოვიდგენდი. ჩემ მსგავსად კიდევ ბევრი მშობელი გამწარდება ამ წყეულ ომში... ჯერ ზუსტად ისიც არ ვიცი, რა ვითარებაში დამეღუპა შვილი. როგორც სამხედრო ნაწილში ამბობენ, საარტილერიო ჭურვი სანგარში ჩავარდა, რის გამოც 13 მეომრიდან ერთის გარდა, არავინ დარჩა ცოცხალი. არ ვიცი, მის ნახვას როდის მოვახერხებ, დიდი ეჭვი მაქვს, ვერც ის ჯარისკაცი გადაურჩება ამ ომს და მრავალი საფუძველი მაქვს, ვივარაუდო, რომ ბიჭები შეგნებულად გაწირეს!

**აქამდე ჯეროვნად ვერც კი აღვიქვი შვილის დაკარგვა, ხან მავიწყდება და როგორც ცოცხალზე ისე ვლაპარაკობ, მხოლოდ მეუღლის შეშლილი სახე და ქვითინი მაბრუნებს საზარელ რეალობაში...**

**რატომ უფალო?! ნუთუ ეს განსაცდელიც აუცილებლად უნდა გამევლო? არ ვიცი, ასეთი რა წყევლა მაქვს, ვერც დედა დავმარხე საქართველოში და, ვერც შვილი — უკრაინაში,** რადგან ახლა გინდა საქართველოში ჩავსულვარ და გინდა უკრაინაში — ნაძირალა სააკაშვილის გამო ჩემი ორივე სამშობლოდან დევნილი ვარ!

**— დათო, თქვენი ვაჟი სხვა გვარს რატომ ატარებდა?**

**— საბუთებში „მარტიაშვილი" რომ ჩაეწერა, უფრო ადრე მომიკლავდნენ ზურგში ტყვიის სროლით, რაც ხშირად მომხდარა უკრაინაში.** მეც ხომ იმის გამო დავტოვე უკრაინა, რომ **სააკაშვილ-სემენჩენკოს** კლანმა სამჯერ დამიპირა ლიკვიდაცია და ღვთის ნებით გადავრჩი. ერთხელ მოტაცებაც დამიპირეს, ბოლოს კი, ბინაში, სადაც ოჯახთან ერთად ვცხოვრობდი, ბენზინი შეასხეს და ცეცხლი გააჩინეს. **მივხვდი, მორიგ ჯერზე აღარ გამიმართლებდა და იძულებული გავხდი, საქართველოს მერე უკრაინიდანაც გადავხვეწილიყავი.**

**ჩემი ვაჟი უკრაინის მოქალაქე გახლდათ და რა უფლება მქონდა, მისთვის სამშობლოს დამცველთა რიგებში ყოფნა დამეშალა? ჩემი შვილობა მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.**

**— როგორ ჩამოყალიბდა მეომრად ალექსანდრე დავითის ძე?**

— ერთხელ სამხედრო ბაზაზე ვოლონტიორები უნდა მიმეყვანა და ჩემი ბიჭიც გავიყოლე. ორიოდე დღის მერე ატყდა — წამიყვანე ომში, უარს თუ მეტყვი, ჩემით წავალო. — ჯერ 17 წლისა ხარ და რა დროს შენი ომია-მეთქი! — რკინის არგუმენტი დამახალა: — **შენ რა, მაგდენის არ იყავი, ომში რომ წახვედიო?** ჩემი თავი გამახსენდა, როცა საკუთარ ძმას უარი ვუთხარი ასაკის გამო და მოტყუებით არტ-პოლკის რიგებში სოხუმში დამხვდა... **ზუსტად ჩემი ახალგაზრდობის ანალოგი იყო, ჩემი ცხოვრების ზუსტი ასლი!**

მოკლედ, წავიყვანე ისე, რომ თავისი ასეულის მეთაურის გარდა, არავინ იცოდა, ვინ იყო და, ჩემთან რა კავშირი ჰქონდა. დიახ, ვიცოდი, ყველაფრის მკადრებელი რამდენიმე ნაძირალა, ვისთანაც დაპირისპირებული ვიყავი, ბავშვის სიცოცხლეს საფრთხეს შეუქმნიდა. მაინც ვერ ავცდი ამ საფრთხეს — ერთ დღეს ბაზაზე მისულს მეუბნება — ხვალ ლუგანსკში მივდივართო. — იარაღი მოგცეს-მეთქი? კიო, ЗУ 23-ის ოპერატორი ვარ და ხვალ გავდივართო.

სააკაშვილის გუნდის წევრი, მკვლელი, ავანტიურისტი და თაღლითი **სემიონ სემენჩენკო** ვინც არის, საქართველოში უკვე ყველამ იცის. ჩემი მთავარი მტერი ისაა, იმის მიუხედავად, რომ ახლა დაპატიმრებულია. **ვიღაცამ მაინც დაასმინა — ალექსანდრე დავით მარტიაშვილის შვილიაო და ასე გადაწყვიტეს ჩემზე შურისძიება:** ამ საზენიტო ქვემეხის, ЗУ 23-ის გამოყენება მხოლოდ მცირედმა იცოდა, რის გამოც ბრძოლაში მისი ეკიპაჟი, ფაქტობრივად, განწირული იყო. მითუმეტეს, 17 წლის ბავშვს ავტომატიც რომ არა აქვს ნასროლი, იმან ЗУ 23-ს რა უნდა მოუხერხოს?!





**დავით მარტიაშვილი საკუთარ სახლში აქრობს ხანძარს, რომელიც მისი ოჯახის ლიკვიდაციის მიზნით გააჩინეს**

## კვირგვინოსნები

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



უნდა გაიგოს ყველამ: **არესტოვიჩმა, პოდოლიაკმა, დანილოვმა, გონჩარენკომ თუ არახამიამ,** რომელიც უკრაინელი ხალხის მსახურისა რა მოგახსენოთ, მაგრამ **სააკაშვილის მსახური ნამდვილად არის** — საქართველო ომში არ ჩაერთვება!

„პალიტრანიუსი"

**ვახტანგ კაპანაძე**
*გენერალი*



რუსეთი წამსვლელია **ბირთვულ საფრთხეზე,** ნატოში კი პასუხისთვის უნდა ემზადონ. თუ რუსეთმა ხერსონი დაკარგა, მოსალოდნელია, კახოვკის წყალსაცავი გაუშვას და ხერსონიანად 80-ზე მეტი დასახლება წყალში აღმოჩნდება, რასაც დიდი ადამიანური მსხვერპლი მოჰყვება.

„კვირის პალიტრა"

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



საქართველოში გეგულებათ პატრიოტი ადამიანი, ვისაც შეუძლია **არესტოვიჩის** განცხადებებს მოთმინებითა და გაგებით მოეკიდოს?!

„კვირის პალიტრა"

**რომან გოცირიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**არესტოვიჩი** არის ერთი **ნიჭიერი ექსპერტი,** ამბობს ბევრ ჭკვიანურს და გაურევს აქა-იქ სისულელეებსაც.

„აიპრესი"

**ანა ბუჩუკური**
*პარტია „საქართველოსთვის" წევრი*



მიუღებელია ტონი, რითიც **არესტოვიჩი** საქართველოზე საუბრობს, ამ ყველაფერში სასიხარულო არაფერია. საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენული, ომგამოვლილი სახელმწიფოა.

„პალიტრანიუსი"

# ვიცე-პოლკოვნიკ დავით მარტიაშვილს უკრაინის ომში შვილი მოუკლეს!



დავით მარტიაშვილის ომში დაღუპული ვაჟი ალექსანდრე დავითის ძე გერმაში

## „რატომ უფალო?! ნუთუ ეს განსაცდელიც აუცილებლად უნდა გამევლო? არ ვიცი, ასეთი რა წყევლა მაქვს, ვერც დედა დავმარხე საქართველოში და, ვერც შვილი – უკრაინაში!“



არადა, ამ დროს ყაზარმაში 3-4 მეზენიტე ბიძა საწოლებზე უქმად გორაობდა. **გათვლა მარტივი იყო — გარე მტერი ალექსანდრეს ყუმბარმტყორცნით გაანადგურებდა და შიდა მტრები კი ჩემი განადგურებით იზეიმებდნენ!**

**— რა მოიმოქმედეთ?**

— ლუგანსკის მაგივრად გავუშვი პოლიგონზე, ლვოვში, სადაც სერჟანტთა სკოლა დაამთავრა და 18 წლის იქ გახდა. ამის მერე ხარკოვის ეროვნული გვარდიის აკადემიაში ჩარიცხეს უგამოცდოდ, რომელიც ორი წლის წინ დაამთავრა და იმავე წელს ომში წავიდა. დიდი იმედი მქონდა, რომ 5-6 წელიწადში ჩემთვის სასახელო კაცად ჩამოყალიბდებოდა, მაგრამ განგებამ სხვაგვარად ინება... ამ პროვოკაციულმა ომმა ჯერ ჩემი ჯანმრთელობა, მერე კი, შვილიც შეიწირა და ახლა სადარდებელი ის მაქვს, მეორე შვილი მაინც როგორმე შევინარჩუნო... უკრაინაში მსხვერპლის რაოდენობასა და ოლქების დაკარგვასთან ერთად **ჯამბაზ ზელენსკისა და მისი ხროვის** მიმართ სახალხო უკმაყოფილებაც იზრდება. უბრალოდ, ამას თქვენ არ გეუბნებიან, უკმაყოფილების ზრდასთან ერთად ნაცზონდერების კომპეტენციებიც იზრდება და, ცოტა ხანში არაერთ მსხვერპლს ვნახავთ, სასამართლოს გვერდის ავლით მოკლულს.

**— საყოველთაოდ ცნობილია ამ ომში მონაწილეობის წინააღმდეგ თქვენი პოზიცია. როგორ მოხდა, რომ შვილი აღმოჩნდა ომში ჩაბმული?**

— **შვილი ნებისმიერ შემთხვევაში გავზარდე თავისი ქვეყნისთვის თავდადებულ ვაჟკაცად და არა მოღალატედ.** მეორე საკითხია, თავად მას უნდოდა თუ არა ეს ომი, მაგრამ პირველი საკითხია — ვალდებულება სამშობლოს წინაშე! **რა ამინაზღაურებს მისი წასვლით განცდილ ტკივილს? არაფერი, გარდა გააზრებისა, რომ ის თავისი სამშობლოს დაცვას შეეწირა.**

არავინ ისპეკულიროს ჩემი შვილის გარდაცვალებით! ამას გეუბნებით იმიტომ, რომ ვიცი, მოლაზღანდარეებმა თავები წამოყვეს და ბინძური ჭორის გავრცელება იწყეს, მარტიაშვილის ვაჟი ნაცებთან იყო და სააკაშვილმა გმირობა მისცაო! ეს არის მტკნარი სიცრუე, **ჩემი შვილი არასოდეს გაეკარებოდა ნაცებს, რადგან მამამისს მათგან მხოლოდ ზიზღი, დევნა და სასიკვდილოდ არაერთხელ გამეტებაახსენდება!**

ვცდილობ, თავი შევიკავო, მაგრამ, როგორც ჩანს, არ გამომივა, რადგან საქართველოში მავანი სვავებივით გვამებზეც კი ნადირობს! ადამიანობა რომ დაკარგული გაქვთ, ეს ვიცი, მაგრამ ფაქტებს რას უშვრებით? **ჩემი შვილი იყო უკრაინის ეროვნული გვარდიის ოფიცერი და იცავდა თავის ქვეყანას, რომლის მოქალაქეც გახლდათ! ასეთი არაერთი ქართველი გარდაიცვალა ამ ბინძურ ომში 8 წლის მანძილზე.** 8 წელიწადს ვმალავდი ბავშვს და რომ არ გარდაცვლილიყო, ვერც ახლა გაიგებდით მასზე რაიმეს, ვერც ახლა ნახავდით მის ფოტოს, ისე როგორც აქამდე არ გამომიფენია, თორემ ის ამ ომში პირველად 17 წლის ასაკში წავიდა, შემდეგ აკადემია დაამთავრა და მას მერეც, ორი წელი გარდაცვალებამდე ამ ომში იბრძოლა! **ძალიან უნდათ, შეთხზან ისტორია — აი, მამა ამ ომის წინააღმდეგია, მაგრამ შვილი პირიქით, მის წინააღმდეგ წავიდაო!** — ზუსტად ამის გამო ვასაჯაროებ ყველაფერს „ასავალ-დასავალთან“ ამ ინტერვიუში!

**— მაშ, მოდით, კიდევ ერთხელ დაგვიკონკრეტეთ თქვენი პოზიცია.**

— დიახ, **მე ამ ომში საქართველოს ჩართვის წინააღმდეგი ვარ, შვილი კი ვაჟკაცად გავზარდე და არა მოღალატედ, როგორც ზოგი თანამდებობის პირი ზრდის საქართველოში!** საკუთარ სიცოცხლეს დავთმობდი, დაღუპული შვილის გაცოცხლება რომ შემეძლოს, სამყარო მეორედ დამენგრა ცხოვრებაში! მაგრამ ის ოფიცერი იყო და სხვანაირად არ შეეძლო!

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსურად უკიდურესად მიჭირს, ვრჩები ნაცების შეურიგებელ მოწინააღმდეგედ და დაე, ყველამ იცოდეს, რომ უარით გავისტუმრე ნაცების კარზე დაახლოებული ერთი ქალბატონი, რომელმაც შვილის გასვენებაში ჩემი მეუღლის გასაშვებად სოლიდური თანხის შემოწირვა დააპირა! როგორც თქვენი გაზეთის რედაქტორი **ლაშა ნადარეიშვილი** თავის ერთ ლექსში წერს — **„მაგ სუფრიდან არაფერი აიღო! მაგ სუფრასთან წუხელ, გასცეს უფალი!“** — მეც არასოდეს არაფერი მომინდომებია იმ „სუფრიდან“, სადაც უფალი გასცეს და საქართველო გაყიდეს! ხოლო ის მცირე თანხა, რაც საქართველოში რიგითმა მოქალაქეებმა შემიგროვეს, მხოლოდ ბავშვის დაკრძალვაზე მეუღლის გასამგზავრებელ ბილეთს ეყო!

ყველამ კარგად იცით ჩემი პოზიცია ამ ომში საქართველოს ჩართვის წინააღმდეგ და იმის მიუხედავად, რომ „ფეისბუქის“ ქავერებზე უკრაინის დროშიანმა ლიბერასტებმა ამ უბედურების დროსაც ბევრი შეურაცხყოფა მომაყენეს, მაინც ვიტყვი —

**ეს ერთადერთი სწორი პოზიციაა! არ დაუშვათ, ხალხო, საქართველოს ამ ომში ჩართვა, ნუ შემოსავთ დედებს ძაძებით რამდენიმე ლიბერასტის გამდიდრების ხარჯზე!**

ბევრს წარმოდგენაც არ გაქვთ, რა არის ომი, მე კი, პროფესიონალი მეომარი, რომელმაც ხუთი ომი გამოვიარე, გეტყვით:

**ნუ ავატირებთ სხვათა დედებს ნაცებისა და ლიბერასტების ახირებების გამო!**

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

## „არავინ ისპეკულიროს ჩემი შვილის გარდაცვალებით!“



**„როგორც თქვენი გაზეთის რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი თავის ერთ ლექსში წერს — „მაგ სუფრიდან არაფერი აიღო! მაგ სუფრასთან წუხელ გასცეს უფალი!“ — მეც არასოდეს არაფერი მომინდომებია იმ „სუფრიდან“, სადაც უფალი გასცეს და საქართველო გაყიდეს!“**

## კვირგვინოსნები

**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*



არ ვიცი, **არესტოვიჩს** დიპლომატიურ-კულტურული თუ ცოტა სხვანაირი პასუხი ეკუთვნის! სჯობს, უკრაინის იმ მაღალჩინოსნებმა, რომლებიც **ქართველი ერისთვის ჭკუის დარიგებით არიან დაკავებული,** უკრაინელ ხალხს მიხედონ.

„პირველი არხი“

**კახი კახიშვილი**
*პარლამენტარი*



ჩემთვის **არესტოვიჩი** არის არასერიოზული პიროვნება. როდესაც იმყოფები უმაღლეს თანამდებობაზე, არ უნდა აგერიოს, სად იმყოფები — **ეს არ არის** КВН**-ის გუნდი.** თუ КВН-ის გუნდში მონაწილეობის დროს რაღაც ხუმრობები გეპატიებოდა, თუნდაც მდაბიო, აქ, როდესაც წარმოადგენ ოფიციალურ პოზიციას და ხარ უმაღლესი თანამდებობის პირი, ან სპიკერი, რომელიც საუბრობს ქვეყნის ხელისუფლების სახელით, თითო სიტყვას ფასი უნდა დაადო.

„TV იმედი“

**სერგი კაპანაძე**
*„ევროპული საქართველოს“ წევრი*



2008 წელმა აჩვენა, რომ **თავდაცვა შეგვიძლია 5 დღის განმავლობაში.**

„აიპრესი“

**ისაკო დასენი**
*პარლამენტარი*



**ლევან ხაბეიშვილი** არის **მასხარა და თაღლითი,** რუსეთში არასდროს მქონია, არ მაქვს და არც მექნება ქონება, ბიზნესკავშირები და საბანკო ანგარიში.

„აიპრესი“

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



დიახ, **ჩვენ გვაქვს პრეტენზია და ვემზადებით** ხელისუფლებაში მოსასვლელად.

„ჯორჯიან თაიმსი“

# ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ!

***თაღლითობაში არაერთგზის მხილებული ადეიშვილის ღამის ნოტარიუსის ნუნუ გინტურის შესახებ „ასავალ-დასავალის“ მკითხველმა კარგად იცის, მაგრამ პროკურატურა და სასამართლო, როგორც ჩანს, ან თავს იყრუებენ, ანდა იმ ადამიანების გასულელებას ცდილობენ, რომელთა სახელითაც წინამდებარე საგაზეთო ინტერვიუში ამხანაგობა „გოგებაშვილი 34“-ის თავმჯდომარე მარინა ზურაბიშვილი სკანდალურ ფაქტებს ასაჯაროებს და აცხადებს, რომ მისმა მოგვარემ, პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ნუნუ გინტურის „ძალისხმევით“ თვრამეტი ბინის მიმტაცებელი თაღლითი ზაზა მაღლაფერიძე შეიწყალა:***

— 2005 წელს **ზურაბ ადეიშვილის ღამის ნოტარიუსი ნუნუ გინტური** ჩვენთან, თბილისში, გოგებაშვილის ქუჩის №30-ში, №32-სა და №34-ში მაცხოვრებლებთან მოვიდა და გამოგვიცხადა — **მე მყავს კაცი, რომელიც აქ კორპუსებს აგიშენებთ, თქვენს კუთვნილ ფართებს მოგცემთ, გაგირემონტებთ და ბედნიერად იცხოვრებთო!** ზემოხსენებულ მისამართებზე სულ 23 ოჯახი ვცხოვრობდით, ბინები ძველი იყო და მათი დანგრევა და ახალი კორპუსების აშენება ყველას ინტერესში შედიოდა. ამიტომ გინტურის წინადადებას დავთანხმდით და ასე შეიქმნა ბინათმშენებლობის ამხანაგობა **„გოგებაშვილი 34“**, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა **მიხეილ ხუციშვილი**, ხოლო ერთ-ერთი მთავარი მეწილე ბიზნესმენი **თამაზ გელაშვილი** გახდა. თურმე, გინტურს ბატონი **თამაზისთვის** უთქვამს — **ამ ხალხს ბინებს რომ ავუშენებთ, დამატებით 50 ბინა დაგვრჩება, გავყიდოთ და დიდ მოგებას ვნახავთო!**

დაიწყო მშენებლობა, მოეწყო კორპუსების ფუნდამენტი, რაშიც, ჩემი ინფორმაციით, თამაზ გელაშვილმა 200 ათასი დოლარი დახარჯა. წელიწადნახევარში მართლაც აშენდა კორპუსები, მაგრამ დაიწყო ჩვენი ტანჯვა-წამებაც, რადგან თამაზ გელაშვილი ამხანაგობიდან გავიდა და აღმოვჩნდით ამ თაღლითი და ყაჩაღი ნუნუ გინტურის მაქინაციების ტყვეობაში!

**— ქალბატონო მარინა, თამაზ გელაშვილი ამხანაგობიდან რატომ გავიდა?**

— საქმე ის გახლავთ, რომ ბინათმშენებლობის სამივე ამხანაგობაში — **„ბაკურიანში“, „გოგებაშვილი 34“-სა და „ვანის ქუჩაზე“** ბატონმა თამაზ გელაშვილმა, რომელიც ბორჯომში ცხოვრობს და თბილისში კვირაში ერთხელ ჩამოდიოდა, რევიზია ჩაატარა და აღმოაჩინა, რომ **ადეიშვილის ღამის ნოტარიუსი ნუნუ გინტური** დიდი რაოდენობით თანხებს იპარავდა. ამიტომ 2008 წლის 8 ივლისს გელაშვილმა ოფიციალურად, ნოტარიუსის დამოწმებით დატოვა სამივე ამხანაგობა. გამოხდა ხანი და 2010 წელს თამაზ გელაშვილს ბანკიდან შეატყობინეს, რომ ამ გარეწარ ნუნუ გინტურს ყალბი კრების ოქმი შეუდგენია, რომელსაც ვითომდა თამაზ გელაშვილი თავმჯდომარეობდა, ეს შეთითხნილი დოკუმენტი 2007 წლის ივნისით დაუთარიღებია და ბანკიდან ამხანაგობის სახელით **700 ათასი ამერიკული დოლარი** სესხად გამოუტანია. მოკლედ, ამ თანხას გელაშვილს სთხოვდნენ, რომელმაც სასამართლოში იჩივლა.

**— დღეს ამ საქმეზე რა ვითარებაა?**

— **თაღლითმა გინტურმა** უზენაესში ეს პროცესი წააგო და სოლიდარულად ვალის გასტუმრებაც კი ითავა, მაგრამ, როგორც ყველა თაღლითს, თავის სახელზე არაფერი აქვს დარეგისტრირებული, ამიტომ ბანკმა ფული ისევ ჩვენი ამხანაგო-

## «ვითხოვთ საქართველოს იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძესთან შეხვედრას, რათა თაღლითობაში არაერთხელ მხილებული ნოტარიუსის ნუნუ გინტურის მამხილებელი მასალები გადავცეთ!»










## ეს არის!

## „თუ რა უბედურებები აქვს დატრიალებული ნუნუ გინტურს ამ ძველი ბეჭდით და რა ანდერძები და დოკუმენტები აქვს გაყალბებული, ამაზე ცალკე გამოძიება უნდა დაიწყოს!“

### კვირგვინოსნები



**მამუკა ახვლედიანი**
*საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე*

**მურუსიძეებმა და ჩინჩალაძეებმა** პასუხი უნდა აგონ. დიდი ბზარი გაჩნდა სასამართლო სისტემაში და ნაპრალის ამოსავსებად, რომ თითქოს ყველაფერი წესრიგშია, დანიშნეს **მურუსიძე-ჩინჩალაძე.**

„ახალი თაობა“



**ლევან მურუსიძე**
*სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე*

ერთი პერიოდი იმასაც ვფიქრობდი, **ხომ არ წავიდე საერთოდ სასამართლო სისტემიდან-მეთქი,** მაგრამ არ მოისვენეს.

„ახალი თაობა“



**ირაკლი მელაშვილი**
*ექსპერტი თვითმმართველობის საკითხებში*

ვინც დღევანდელი ხელისუფლებიდან **მურუსიძე-გვრიტიშვილის** იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებად არჩევა პოლიტიკურად უზრუნველყავით, თქვენც **მურუსიძე-გვრიტიშვილის** გასასამართლებელი გახდებით.

„GTMEDIA“



**თინა ხიდაშელი**
*თავდაცვის ყოფილი მინისტრი*

**მურუსიძისა და გვრიტიშვილის** იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებად არჩევა ხელისუფლების მორიგი პროვოკაციაა, რომ ევროპისკენ სვლა შეფერხდეს — **„ქართულ ოცნებას“ ევროკავშირის ეშინია.**

„ინტერპრესნიუსი“



**დავით სერგეენკო**
*პარლამენტარი*

იუსტიციის უმაღლესი საბჭო უნდა იყოს **დამოუკიდებელი ინსტიტუცია,** რომელზეც გავლენა არა აქვს არც ოპოზიციას და არც მმართველ გუნდს.

„რეზონანსი“

# ადეიშვილის ღამის ნოტარიუსი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს!!!

ბიდან ამოიღო და ყელში დანა გამოგვისვა. **ნაძირალა ნუნუ გინტური,** რომელმაც, ჩვენი ინფორმაციით, თავის უფროს შვილს ლონდონის ცენტრში ბინა უყიდა, დღეს მიჩნეულია **„უმწეოდ“, არაფრის მქონებლად** და სასამართლოში ბაჟსაც კი არ იხდის. უფრო მეტიც, 2008 წლის შემდეგ **ნუნუ გინტურმა** სამივე ამხანაგობის თავმჯდომარედ დაანიშნინა თავისი მეუღლის ბიძაშვილი **ზაზა მაღლაფერიძე,** რომელმაც „გოგებაშვილი 34“-ში 2 ბინა, საერთო ჯამში, 210 კვადრატული მეტრი მიითვისა, ხოლო ამხანაგობა „ბაკურიანში“ — 16.

ცნობისათვის: 2019 წელს **ზაზა მაღლაფერიძე** ბინის თაღლითური გზით მითვისების გამო დაიჭირეს, მაგრამ **ნუნუ გინტურმა** სასამართლოსა და პროკურატურაში საქმე ჩააწყო, თაღლით **მაღლაფერიძისთვის** ხუთწლიანი პირობითი სასჯელი და 3 ათასლარიანი ჯარიმა შეაფარდებინა. მოკლედ, კაცმა დაახლოებით **1 მილიონი დოლარის** ღირებულების ბინები მიითვისა და გარეთ გამოუშვეს 3 ათასლარიანი ჯარიმით! ასეთი რამ მხოლოდ ქართულ სასამართლოში თუ მოხდება... 2021 წელს კი ნუნუ გინტურმა იმდენი მოახერხა, რომ სალომე ზურაბიშვილს თაღლითი და პროვოკატორი **ზაზა მაღლაფერიძე** საერთოდ შეაწყალებინა, ანუ ჩემმა მოგვარემ, საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ადეიშვილის ღამის ნოტარიუსის ნუნუ გინტურის „ძალისხმევით“ თვრამეტი ბინის მიმტაცებელი თაღლითი ზაზა მაღლაფერიძე შეიწყალა! **როგორც თამაზ გელაშვილისგან ვიცი, ნუნუ გინტურმა და ზაზა მაღლაფერიძემ, საბოლოო ჯამში, სამივე ამხანაგობა გააკოტრეს და 75 ოჯახი, რომლებსაც 2007 წლის ბოლოს უნდა მიეღოთ ბინები, დღემდე ჰაერში არიან გამოკიდებული!**

**— ქალბატონო მარინა, დღეს თქვენსა და ნუნუ გინტურს შორის რა ვითარებაა?**

— დღეს, როგორც ამხანაგობა „გოგებაშვილი 34“-ის თავმჯდომარე, **ზაზა მაღლაფერიძეს** ყველგან ვუჩივი, მაგრამ პოლიციიდან და პროკურატურიდან სასაცილო პასუხებს ვიღებ — ეს საქმე სამოქალაქოა და სასამართლოში იდავეთო!

**— ანუ ნუნუ გინტურის თანამეინახეს — ზაზა მაღლაფერიძეს, რომელიც 2019 წელს ერთი ბინის მითვისების გამო დაიჭირეს, დღეს თვრამეტი ბინის მითვისების გამო არ იჭერენ?**

— დიახ, სწორედ ასეა! ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ **ნუნუ გინტური თავიდანვე შეკრული იყო ნაცებთან, ნაცების პროკურორებთან, მოსამართლეებთან და დღეს, როცა ყველგან სწორედ ნაცების პროკურორები და მოსამართლეები არიან ჩანერგილი, ცხადია, მრავალი მილიონი დოლარის მიმტაცებელი და მიმთვისებელი გინტური და მისი ბანდა ხელშეუხებელი არიან!** სხვათაშორის, 2018 წელს ტელევიზიამ გადმოსცა, რომ ნუნუ გინტურმა გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, აბესაძის ქუჩაზე, რომელიღაც სამშენებლო ამხანაგობის თავმჯდომარესთან ერთად თაღლითური გზით კიდევ მიითვისა **700 ათასი ამერიკული დოლარი!** დაიჭირეს 700 ათასი დოლარის მიმთვისებელი ნუნუ გინტური, მაგრამ პროკურორების მოთხოვნით სასამართლომ სასაცილო თანხის ფასად, 50-ათასლარიანი გირაოთი გაათავისუფლა!

**— რას აპირებთ?**

— 2022 წლის 8 ივლისს მე და თამაზ გელაშვილმა ზაზა მაღლაფერიძესა და ნუნუ გინტურს გენერალურ პროკურატურაში ვუჩივლეთ! ჯერჯერობით „არსაიდან ხმა, არსით — ძახილი!“ახლა ვითხოვთ საქართველოს იუსტიციის მინისტრ **რატი ბრეგაძესთან** შეხვედრას, რათა ადეიშვილის ღამის ნოტარიუსის ნუნუ გინტურის მამხილებელი მასალები გადავცეთ! იმედია, სამართალი იზეიმებს და ეს თაღლითები და ნაძირალები, რომლებსაც ნაცსექტანტი მფარველები სასამართლოსა და პროკურატურაში დღემდე ჰყავთ, ბოლოს და ბოლოს, საკადრის პასუხს მიიღებენ!

სხვათაშორის, **თეა წულუკიანმა,** როცა იუსტიციის მინისტრი იყო, ნუნუ გინტურს, როგორც თაღლითს, ნოტარიუსის ლიცენზია ჩამოართვა და განაცხადა — **სანამ მე იუსტიციის მინისტრი ვიქნები, გინტური ნოტარიუსობას ვერ ელირსებაო!**

## როგორც კი წულუკიანი წავიდა და იუსტიციის მინისტრი

## რატი ბრეგაძე გახდა, ნუნუ გინტურმა ნოტარიუსის ლიცენზია, სასამართლოში ჩანერგილი ნაცი მოსამართლეების ხელშეწყობით, მაშინვე აღიდგინა!

**— სხვათაშორის, თამაზ გელაშვილისაგან ვიცი, რომ ნუნუ გინტური დღემდე საგულდაგულოდ ინახავს ნოტარიუსის ძველ, ვადაგასულ ბეჭედს, რომელიც იუსტიციის სამინისტროს, წესით, უნდა გაენადგურებინა.**

— თუ რა უბედურებები აქვს დატრიალებული **ნუნუ გინტურს** ამ ძველი ბეჭდით და რა ანდერძები და დოკუმენტები აქვს გაყალბებული, ამაზე ცალკე გამოძიება უნდა დაიწყოს! აღარაფერს ვამბობთ იმ მაკომპრომეტირებელ მასალებსა და დოკუმენტებზე, რომლითაც **ნუნუ გინტური** თაღლითობასა და ათას მაქინაციებშია მხილებული! ეს დოკუმენტები და მასალები ჩვენ ბლომად გვაქვს და კომპეტენტურ ორგანოებს საჭიროების შემთხვევაში მივაწვდით! გვჯერა, სიმართლის დადგენის საქმეში „ასავალ-დასავალი“ ჩვენ გვერდით იქნება!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***






## „ნუნუ გინტურმა და ზაზა მაღლაფერიძემ სამივე ამხანაგობა გააკოტრეს და 75 ოჯახი, რომლებსაც 2007 წლის ბოლოს უნდა მიეღოთ ბინები, დღემდე ჰაერში არიან გამოკიდებული!“

## კვირგვინოსნები

**მიხეილ მაჭავარიანი**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



ის, რომ **მურუსიძემ** თავისი კანდიდატურა დააყენა, ეს არის ჩემთვის და, ალბათ, მთელი საზოგადოებისთვის, „ქართული ოცნების“ ძალიან მკაფიო ხაზი, რომ ისინი **ევროკავშირის 12-პუნქტიანი ვალდებულებების შესრულებას არ აპირებენ.**

„TV პირველი“

**ეკა ბესელია**
*პარტია „სამართლიანობის“ თავმჯდომარე*



წინა რეჟიმის ყველა მოსამართლე, **ვინც იმ უსამართლო სისტემას ქმნიდა, დატოვეს ან დააწინაურეს. ზარდიაშვილი მდინარაძესთან, ოხანაშვილთან და კობახიძესთან** ერთად მოქმედებდა ჩემ წინააღმდეგ პარლამენტში კლანის სასარგებლოდ. ერთად გეგმავდნენ იმ ყველაფერს, რაც ახლა ხდება.

„ალია“

**კახა ქემოკლიძე**
*პარტია „საქართველოსთვის“ პოლიტიკური მდივანი*



არ გამკვირვებია, უკრაინის მიერ დასანქცირებულ პირთა შორის **ბიძინა ივანიშვილი** რომ არ მოხვდა — აქ მოქმედებს მარტივი ფორმულა, ხანდახან ჯოხი ჰაერში ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე თავში.

„ინტერპრესნიუსი“

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი, პარლამენტარი*



როგორც 2012 წელს **ბატონი ბიძინა** დადგა საზოგადოების გვერდში, ისე საზოგადოება დგას დღეს მის გვერდში და თუ საჭირო გახდა, **ბატონი ბიძინას** ინტერესებს, როგორც სახელმწიფო ინტერესებს, რა თქმა უნდა, მთლიანად საზოგადოება დაიცავს.

„აიპრესი“

*საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ბუდაპეშტში ვიზიტმა და უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანთან შეხვედრამ ე.წ. კოლექტიური დასავლეთის ზოგიერთი წარმომადგენელი ისე გააღიზიანა, რომ არამხოლოდ დიპლომატიური ეთიკა, არამედ ელემენტარული ადამიანური ზრდილობაც კი დაავიწყა. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ელჩმა საქართველოში იან კელიმ ღარიბაშვილისა და ორბანის შეხვედრის შესახებ „ტვიტერში" დაწერა — „ბუმბულიანი ჩიტები თავს ერთად იყრიან?" ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილს ვესაუბრებით:*



# «გვიჩნდება შანსი,

## მაია ნიკოლეიშვილი:

# პირდაპირ ვაცხადებ – დღეს საქართველოსთვის ყველაზე საშიში სწორედ „სტრატეგიული პარტნიორი" ამერიკაა!

**— იან კელის** უზრდელური და შეურაცხმყოფელი განცხადება იმ ერთიანი პოლიტიკის ნაწილია, რომელსაც კოლექტიური დასავლეთის წარმომადგენლები საქართველოს წინააღმდეგ ატარებენ, რადგან მათ დირექტივას არ დავემორჩილეთ და ომში არ ჩავერთეთ! **მართალია, იან კელი ოფიციალური პირი აღარ არის, მაგრამ ოფიციალური პირია აშშ-ის მოქმედი ელჩი კელი დეგნანი, რომელიც საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს არაფრად აგდებს, მათ მიერ დასმულ კითხვებს „ფე-ეს-ბეს ნარატივს" უწოდებს და პასუხების გაცემასაც არ კადრულობს!** ოფიციალური პირია ამერიკელი კონგრესმენი **ადამ კინზინგერიც,** რომელიც საქართველოს პირდაპირ მოუწოდებს ომში ჩართვისაკენ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერი **ნედ პრაისი** კი აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობის ქმედებები დემოკრატიის უკუსვლას იწვევს.

მოკლედ, ბრჭყალებში **„სტრატეგიული პარტნიორი", ანუ მახრჩობელა მეგობარი ამერიკა გაცეცხლებულია,** რადგან ბოლო 30 წლის განმავლობაში პირველად საქართველომ საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაბამისად მოქმედება გაბედა!

**— აშშ-ს უწოდებთ „სტრატეგიულ პარტნიორს" ბრჭყალებში და მახრჩობელა მეგობარს ბრჭყალების გარეშე?**

— დიახ, **„სტრატეგიულ პარტნიორად"** წოდებული ამერიკის შეერთებული შტატები, რეალურად, საქართველოს **მახრჩობელა მეგობარია.** ის არის ბატონი, რომელიც ისე გვიყურებს და გვეპყრობა, როგორც ყმას. ამერიკის მარწუხებში ჯერ კიდევ შევარდნაძისა და გორბაჩოვის ძალისხმევით აღმოვჩნდით და გვეგონა, რომ მისი ბატონობა სიკეთეს მოგვიტანდა, მაგრამ მწარედ მოვტყუვდით.

### მადლობა ღმერთს, საქართველოში დღეს უკვე დაწყებულია იმ ილუზიის მსხვრევა, რომელიც ამერიკას დემოკრატიისა და თავისუფლების ოაზისად წარმოგვიდგენდა, თუმცა, მისი ბატონობისაგან თავის დაღწევა ადვილი არ იქნება.

ტყუილად როდი ამბობენ კანადელები — ამერიკა გადასარევი ქვეყანაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი მეზობელიაო! გინახავთ დედამიწის ზურგზე რომელიმე ქვეყანა, რომელთანაც ამერიკას ნამდვილი მეგობრობა ჰქონდა და რომელსაც ისე გაუმართა ხელი, რომ ბატონად და მბრძანებლად არ ექცა? მე ასეთი ქვეყანა არ მინახავს!

**— აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი ხშირ-ხშირად გვახსენებს, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში მისი ქვეყანა საქართველოს 6 მილიარდი დოლარით დაეხმარა!**

— **კელი დეგნანი** აბსოლუტურად პლასტმასის ადამიანია! მოუსმინეთ მის ტექსტებს, რამე განათლება თუ იგრძნობა მის მეტყველებაში? ოდესმე რამე ჭკვიანური, გონივრული და სიღრმისეული თუ მოგისმენიათ მისგან? რაც შეეხება ფულად დახმარებას, ამერიკამ საქართველოში ყველა დიდი ფული წვრთნისა და აღჭურვის სამხედრო პროგრამას დაახარჯა, რითიც სამხრეთ კავკასიაში ადგილი დაისაკუთრა და, პრაქტიკულად, უფასოდ მოინიშნა ტერიტორია საკუთარი სამხედრო ბაზებისათვის. უკაცრავად, მაგრამ **ამერიკელებისათვის ოფიციალურად რომ მიგვეცა საშუალება, საქართველოში თავიანთი სამხედრო ბაზები განეთავსებინათ, ეს გაცილებით დიდი ფული დაუჯდებოდათ, ვიდრე 6 მილიარდი 30 წელიწადში.** ამერიკა, ფაქტობრივად, არაფერს იხდის იმაში, რომ საქართველოს ტერიტორია დაისაკუთრა და აქ ბატონად დაჯდა!

**— იმის თქმა გინდათ, რომ აშშ საქართველოს ტერიტორიას განიხილავს როგორც თავის არაოფიციალურ სამხედრო ბაზას?**

### – თბილისში, დიღმის ტერიტორიაზე, ამერიკის საელჩოს სახით განთავსებულია პატარა პენტაგონი, რომელიც მთელ სამხრეთ კავკასიას ფარავს!

კარგად მახსოვს აშშ-ის საელჩოს თანამშრომლების ნათქვამი — სადაც წვრთნისა და აღჭურვის პროგრამით შევდივართ, იქიდან აღარ გამოვდივართო! აი, ასეთი ბატონის ხახაში ჩავყავით თავი!

**იმ 6 მილიარდი დოლარიდან, რომელსაც ქალბატონი დეგნანი გვამადლის, ამერიკამ დიდი ნაწილი ქართული მენტალიტეტის შესაცვლელად და მუტანტის მსგავსი „ახალი ჯიშის ქართველის" გამოსაყვანად დახარჯა.** კოლექტიური ლომაიები სწორედ იმაზე მუშაობდნენ, რომ „ველური ქართველების" ტვინიდან ლოგიკური, ანალიტიკური, კრიტიკული აზროვნება განედევნათ.

**— როგორ ფიქრობთ, მი-**




# «ამერიკამ

## კვირგვინოსნები

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



საფრთხეს უფრო თვალნათლივ დავინახავთ, თუ იმას გავაანალიზებთ, რომ **ქვეყნიდან ქართველების მიგრაციის პარალელურად უცხოელები სისტემატურად შემოდიან და სახლდებიან.** თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, მაშინ ათი წლის შემდეგ შეიძლება საქართველოს ტერიტორიაზე მივიღოთ აბსოლუტურად განსხვავებული დემოგრაფიული სურათი, სადაც ეთნიკური ქართველები უმცირესობაში ვიქნებით.

„კვირის პალიტრა"

**თორნიკე შარაშენიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი*



**არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთმა ტაქტიკური ბირთვული იარაღი გამოიყენოს.** ეს პოლიტიკურად და მორალურად ძალიან ძვირად კი დაუჯდება, მაგრამ ამის გამო **რუსეთს მესამე მსოფლიო ომს არავინ დაუწყებს** და ეს კრემლმა მშვენივრად იცის. თუმცა, ამას უკიდურეს შემთხვევაში გააკეთებენ, ჯერ ზამთარში **ევროპის გაყინვის** იმედი აქვთ.

წარმატებები უკრაინელ ხალხს, მაგრამ **არესტოვიჩს** ზედმეტები მოსდის. მგონი, მან **თავის წარმოდგენაში უკვე დაამარცხა რუსეთი, მოსკოვი აიღო** და ახლა ფიქრობს, როგორ აქციოს უკრაინა ახალ უფროს ძმად.

„კვირის პალიტრა"

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის" ლიდერი*



რა თქვა **არესტოვიჩმა** ისეთი, ყველა რომ აღშფოთდა? ნაბრძოლი გოგო-ბიჭები სამშვიდობო და ჰუმანიტარულ მისიებში მიიღებენ მონაწილეობასო. ისე კი, ვურჩევდი **არესტოვიჩს,** ჯერ გადახტეს და ჰოპლა მერე დაიძახოს. ამას ახლა „ოცნება" სათავისოდ გამოიყენებს.

„კვირის პალიტრა"

**ოტმარ კარასი**
*ევროპარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი*



**უკრაინის** წინააღმდეგ ომი **საქართველოში** შეჭრით დაიწყო.

„რეზონანსი"

# ვიქცეთ კავკასიის შვეიცარიად!»

**„ძალიან არ მომეწონა, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა ყირიმის პლატფორმის სამიტზე თავისი გამოსვლა დაამთავრა სიტყვებით — „სლავა უკრაინე!“ ეს ჩემთვის შეურაცხმყოფელია!“**



**აღწიეს ამ მიზანს?**

— სამწუხაროდ, ნაწილობრივ მიაღწიეს და **ბევრა ბოლომდე რომ მიიყვანონ, სწორედ ამისთვის სჭირდებათ ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობის დაბრუნება!** დიახ, ამერიკას საქართველოს ხელისუფლებაში მხოლოდ ისეთი სატანისტური, ანტიქართული და უსამშობლო ძალა აწყობს, როგორიც ნაცმოძრაობაა!

პირდაპირ ვაცხადებ — დღეს საქართველოსთვის ყველაზე საშიში სწორედ **„სტრატეგიული პარტნიორი“** ამერიკაა!

**— მაინც რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— საქმე ის არის, რომ დღეს სამხრეთის გაზის დერეფანს უზარმაზარი პერსპექტივა უჩნდება.

## პუტინი და ერდოღანი შეთანხმდნენ, რომ თურქეთი იქცეს ენერგეტიკულ ჰაბად, საიდანაც ევროპას რუსული გაზი მიეწოდება, ამ კონტექსტში კი საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობას კიდევ უფრო დიდი ფასი ედება.

გვიჩნდება შანსი, ვიქცეთ კავკასიის შვეიცარიად, რომლის სტაბილურობით, მშვიდობითა და ეკონომიკური გაძლიერებით დაინტერესებული იქნებიან რეგიონის ძლიერი სახელმწიფოები. სამხრეთის გაზის დერეფნის ამოქმედებით ევროპაც იხეირებს, ხოლო ერთადერთი, ვინც თამაშგარეთ დარჩება, ამერიკის შეერთებული შტატებია. **ჩვენი მახრჩობელა მეგობარი** გრძნობს საფრთხეს, რომ ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში, შეიძლება, სამხრეთ კავკასიაში ერთადერთი დასაყრდენი — საქართველო დაკარგოს, რის გამოც გაცეცხლებულია და ამდენად, ძალიან საშიშიც.

ზოგადად, ბაიდენის ადმინისტრაციის პოლიტიკა გულისხმობს, რომ ამერიკის გარშემო მთელ მსოფლიოს ცეცხლი ეკიდოს, ამერიკელებმა კი ამ ცეცხლზე ხელი მოითბონ, რასაც უკვე ევროპაშიც კარგად ხვდებიან და დაწყებულია გარკვეული ძვრები, რომლებიც მიგვანიშნებს, რომ ევროპელი ლიდერები ამერიკის ბატონობისაგან თავის დაღწევას ცდილობენ.

**— ამერიკა ევროპის ბატონიც არის?**

— დიახ, ამერიკა ევროპაზეც ბატონობს და ამერიკამ ევროპაც დააქცია! უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე საფრანგეთის პრეზიდენტმა **მაკრონმა** საკუთარ მოსახლეობას განუცხადა — **ჩვენი კეთილდღეობა დასრულდაო,** ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა **ბორელმა** კი მაკრონის განცხადება განავრცო — **ჩვენი კეთილდღეობა იაფ რუსულ ენერგომატარებლებსა და იაფ ჩინურ მუშახელზე იდგაო!** ეს მართლაც დასრულდა და ევროპას საკუთარი შრომის ფასად მოუწევს ცხოვრება, რაც ევროპელების ყოფას ბევრად გააძვირებს და დაამძიმებს.

სხვათაშორის, ბედის ირონიაა, რომ ინდოეთის სასტიკ დამპყრობელსა და კოლონიზატორს — დიდ ბრიტანეთს პრემიერ-მინისტრად ინდოელი რიში სუნაკი მოევლინა!

**— სულ რამდენიმე დღეში — 8 ნოემბერს — ამერიკაში კონგრესის შუალედური არჩევნები იმართება და ბევრი ვარაუდობს, რომ დემოკრატები უმრავლესობას დაკარგავენ, რაც ბაიდენის ძალაუფლების შერყევას გამოიწვევს. თქვენი მოლოდინი როგორია?**

— ძალიან დიდი ინტერესით ვუყურებ ამერიკულ ტელეკომპანია „ფოქს ნიუსს“ და გულისყურით ვუსმენ მის პოლიტიკურ მიმომხილველ ტაკერ კარლსონს, რომელსაც უზარმაზარი აუდიტორია ჰყავს. აშკარაა, რომ საშუალო სტატისტიკური ამერიკელი, რომელსაც უკრაინაში მიმდინარე ომის გამო ეკონომიკური კრიზისი შეეხო, გადასახადები გაეზარდა და მაცივრის პროდუქტებით გავსება ადრინდელზე გაცილებით ძვირი უჯდება, ბაიდენის და დემოკრატების პოლიტიკით უკმაყოფილოა. შესაბამისად, **თუ მასობრივ გაყალბებას არ ექნება ადგილი, მოსალოდნელია, რომ კონგრესის შუალედურ არჩევნებში რესპუბლიკელები გაიმარჯვებენ და ტრამპის გუნდი უმრავლესობით მოვა,** ხოლო

## თუ 8 ნოემბრის არჩევნები გაყალბდა, ამერიკა სამოქალაქო ომს მიიღებს!



**„დეგნანი აბსოლუტურად პლასტმასის ადამიანია!“**

**— რას იტყვით იმასთან დაკავშირებით, რომ უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის ადმინისტრაციის წარმომადგენელი არესტოვიჩი აცხადებს — ომში გამოცდილი მილიონი ადამიანი გვყავს, რომელთა მეშვეობითაც საქართველოში ძალის პროეცირება უნდა მოვახდინოთ და ქართველები პრორუსული მთავრობისაგან გავათავისუფლოთო?**

## – არესტოვიჩები და არახამიები, რომლებიც საქართველოს „ძალის პროეცირებითა“ და „ნაბრძოლი მილიონი უკრაინელით“ ემუქრებიან, სინამდვილეში, ამერიკელი ბატონების განწყობასა და პოზიციას გამოხატავენ!

დღეს ზელენსკი ევროპელებს აშანტაჟებს — თუ იარაღით და ფულით არ დაგვეხმარებით, უკრაინელი ლტოლვილების ნაკადი ევროპას მიაწყდებაო, მაგრამ მშვიდობიან ლტოლვილებს ვინ ჩივის, როცა ევროპას შეიარაღებული უკრაინელების ტალღა წალეკავს! არესტოვიჩმა რომ თქვა — ჩვენს მილიონიან არმიას საქმე გამოუჩნდებაო, მართლაც გამოუჩნდებათ საქმე ევროპის რბევის სახით და ეს ევროპისათვის ნამდვილი კატასტროფა იქნება!

და კიდევ: **ძალიან არ მომეწონა, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა ყირიმის პლატფორმის სამიტზე თავისი გამოსვლა დაამთავრა სიტყვებით — „სლავა უკრაინე!“** იმ ფონზე, როცა **არახამია-პოდოლიაკები** მუდმივად შეურაცხყოფენ ქართულ სახელმწიფოს, **არესტოვიჩი** კი ლამის დაპყრობით გვემუქრება, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ეს სიტყვები ჩემთვის, როგორც რიგითი ქართველისა და საქართველოს პატრიოტისათვის, შეურაცხმყოფელია!

**— თქვენ „ფეისბუქში“ დაწერეთ, რომ მეგობრების სიაში აღარ დაიმატებთ ადამიანებს, რომლებსაც სოცქსელში თავიანთი პროფილის ე.წ. ავატარად უკრაინის დროშა უყენიათ. რატომ გადაწყვიტეთ ასე?**

— ვისაც „ფეისბუქში“ უკრაინის დროშა აქვს გამოფენილი ან **არახამია-არესტოვიჩ-პოდოლიაკების** გეგმის პოტენციური გამტარებელია ან სრულიად არაინფორმირებული ადამიანი, რომელსაც მოვლენების შეფასების უნარი არ გააჩნია. არც პირველი და არც მეორე კატეგორია ჩემთვის საინტერესო არ არის და ასეთებს თუნდაც ვირტუალურ მეგობრებად ვერ გავიხდი!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***



**„ბედის ირონიაა, რომ ინდოეთის სასტიკ დამპყრობელსა და კოლონიზატორს — დიდ ბრიტანეთს პრემიერ-მინისტრად ინდოელი რიში სუნაკი მოევლინა!“**

# ევროპაც დააქცია!»

## კვირგვინოსნები

**სანდრო ბრეგაძე**
*„ქართული მარშის“ ლიდერი*



მინდა, **ბატონ ზელენსკის** შევახსენო — **მისი მთავარი მოწინააღმდეგე რუსეთის შეიარაღებული ძალები და არა უბრალო ქართველები,** ხოლო საკუთარი სამშობლოს სიძულვილით შეპყრობილი **არახამიას** ჭკუაზე სიარული კარგს არაფერს მოუტანს არც მას და არც ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებს!

„ალია“

**მამუკა არეშიძე**
*ანალიტიკოსი*



**ადეიშვილს, საყვარელიძესა** და სხვა ნაციონალებს დიდი გავლენა აქვთ უკრაინის ხელისუფლებაში. ისინი **დავით არახამიასთან** არიან აფილირებული და უკრაინის მთავრობა, მათ შორის, **ზელენსკიც** ხშირად სწორედ მათ ინფორმაციას ეყრდნობა. **არესტოვიჩი** პრეზიდენტის ადმინისტრაციის შტატგარეშე თანამშრომელია. თვითმარქვია რომ იყოს, დიდი ხნის წინ ჩააკმენდინებდნენ ხმას. სამთავრობო გუნდი მისგან დისტანცირებულია, მაგრამ სინამდვილეში ის მათი გამხმოვანებელია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ **ივანიშვილის** შევიწროება უნდათ, მაგრამ ისე მოსდით, ცხენს ვერ შესწვდნენ და უნაგირი დაამტვრიესო.

„კვირის პალიტრა“

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



ბელღურებს ზარბაზნებს არ ესვრიან და პოლიტიკაში ყველაფერს პასუხი არ უნდა გასცე. **არესტოვიჩი არ არის ის ფიგურა, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა უნდა გასცეს პასუხი.** თუ მაინცდამაინც პასუხია საჭირო, გასცეს პრემიერის მრჩეველმა.

„რეზონანსი“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



როცა **აზერბაიჯანის პრეზიდენტი საგანგებოდ ჩამოდის,** ხვდება იმათ, ვისაც პოლიტიკური წონაც აქვს, მეგობრობისა და მადლობის ფასიც იციან და გადაწყვეტილებების მიღებაც შეუძლიათ.

„რეზონანსი“

# ავი სარდალი



***ცხენის ჭიხვინმა აჭყარა სრულიად საპრეზიდენტო სასახლე, ფეხზე დააყენა მოსამსახურე პერსონალი. მდივანნი, მდივან-მემანქანენი, მდივან-რეფერანტნი, მეჯინიბენი, მზარეულნი, დამლაგებელნი, მეჭურჭლეთუხუცესნი, პურის მცხობელნი, გულთა მპყრობელნი, ნაზირნი, ვეზირნი თუ სხვადასხვა ჯურის მრჩეველნი ეზოში გამოფენილიყვნენ და თავების დაკვრით ესალმებოდნენ დედა-დედოფალ სალომეს. მეჯინიბემ ხელი უტაცა ოჟებზე, აღვირი გამოუწია და ყალყზე შემდგარი არაბული ულაყი ადგილზე გააქვავა. სალომემ მარჯვენა ფეხით რკალი მოხაზა, ცალი ხელით უნაგირს დაეყრდნო, კამარა შეჰკრა და ასფალტზე უვნებლად დახტუნდა. სასახლის ეზო ხშირმა ტაშმა გადააყრუა. დედოფალმა თავი ჩაღუნა, მუხლი ოდნავ მოიდრიკა და თავმოყრილ საზოგადოებას მოახსენა:***

**— მირბის, მიმაფრენს უგზო-უეკლოდ ჩემი მერანი, უკან მომჩხავის მაიმუნი შავი ყორანი!**

**— ვინ გაგიბედათ, უკან ვინ მოგჩხავით, დედავ ბატონო?** — ჩაეკითხა შუახანს გადაცილებული ვეზირი და სალომეს ორიოდ ნაბიჯზე მიუახლოვდა.

**— ეგ ნიკოლოზ ბარათაშვილმა აღმოსთქვა, იმას მისდევდა შავი ყორანი!** — გამოაცხადა სალომემ და საზოგადოებას თვალი სიამაყით აღვსილმა მოავლო.

**— ბატონი ნიკოლოზი თქვენი დიდი ბაბუა იქნებოდა უთუოდ!** — შემოჰკრა ტაში საქვეყნოდ ცნობილმა ექსპერტმა.

**— არა, მთლად ასეც არ იყო, მაგრამ არც აღარაფერი უკლდა, მაშვინ სხვანაირი დრო და ჟამი იდგა, ჩემო გამორჩეულო ექსპერტო,** — მიუგო სალომემ და პოლიტიკურ მრჩეველს მიმართა, **— რამე ხომ არ მომხდარა, ბატონო ქიბროწ, ქვეყანაში ხომ მშვიდობა სუფევს?**

**— დიახ, თითქოს მშვიდობა სუფევს, დედავ ბატონო, მაგრამ ეგეთ მშვიდობას რა თავში ვიხლით?!** — წამოდგა ორიოდ ნაბიჯით წინ ბატონი ქიბროწი.

**— რა იყო, რა ხდება, ისევ გვეწვია რამე უბედურება?** — შეცბუნდა სალომე და მეჯინიბეს თვალით ანიშნა, ცხენი წაიყვანეო.

**— ამ დილას აზერბაიჯანის ხონთქარი ეწვია ჩვენს ბედკრულ სამშობლოს!**

**— და მე არაფერი შემატყობინეს ამის თაობაზედ?!** — შეცბუნდა სალომე და შეშფოთებისგან ღაწვები შეეფაკლა.

**— დიახაც, დედა-დედოფალო, პროტოკოლის თანახმად, ხონთქარს ხონთქარი უნდა ხვდებოდეს აეროდრომზე, მაგრამ ეს საქმე ისე მოაკვარახჭინეს, ისე გაასაიდუმლოეს, ერთი უბრალო ქაღალდიც კი არ გამოგვიგზავნეს!**

**— ალიევ ხანი თანამდებობით ჩემი ტოლი და სწორია, წესით კი, უნდა მოვეკითხე!**

**— არ მოგიკითხათ, დაგიკიდათ!** — უფრო გაახელა პრეზიდენტი ქიბროწმა.

**— ეგ ნამდვილად იმ კახელის მოფიქრებული ფანდი იქნება, მას უნდა, წყობილებიდან გამომიყვანოს და რაც კი საქართველოში ღობეებია, სულ გადამაჭყლეტინოს. ეტყობა, მაგან არ იცის, რომ მეც ჯიუტ კახელთა ნაშიერი ვარ!**

**— დიახაც, ჩვენო მბრძანებელო, თუ ახლა გაუჩუმდით, მომავალში უარესს გაკადრებენ!** — დასჭყივლა ფსიქოლოგიურმა მრჩეველმა დიპლოპიტომ.

**— მაგას თავი ერეკლე მეორე ხომ არ ჰგონია?!** — წამოიჭალყვა მეჭურჭლეთუხუცესი ჭუჭულიკა.

**— მა რაააა, ამას წინებზე დაუკვეხნია, მეორე არა, მაგრამ ერეკლე მესამე ნამდვილად გახლავართო!** — წამოიბრიქა ნაზირი ტოკლიკა.

**— ბატონო ქიბროწ, სადაც წვრილია, იქ გაწყდეს, სადაც არ უნდა გათხარო, ყველგან უნდა გათხარო, ამწუთასვე მოიმარჯვეთ ბატის ფრთა და მუყაოს გრაგნილზე დასწერეთ: დედა-დედოფალი მიესალმება აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხონთქრის ილჰამ ალიევის სამუშაო ვიზიტს გურჯისტანში,** — განაცხადა დედოფალმა მტკიცე ტონით.

**— აი, აეგრე, ჩვენო მბრძანებელო, აეგრე!** — შესძახა ქიბროწმა და ბატის ფრთა მოიმარჯვა.

**— ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნევთ, საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ დედოფალი არ ყოფილა ინფორმირებული ილჰამ ალიევის სტუმრობის შესახებ და ამიტომაც ვერ შედგა შეხვედრა. დედოფალი სალომე კიდევ ერთხელ გამოხატავს მზაობასა და სურვილს, უახლოეს მომავალში, ოფიციალური ვიზიტით უმასპინძლოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს. ჰა, როგორია?!** — იკითხა სალომემ და შეკრებილ საზოგადოებას გამომცდელი გამომეტყველებით გადახედა.

**— გენიალურია!** — დასცხო ტაში ჭუჭულიკამ.

**— ბოლო წინადადება ხომ არ გავაუქმოთ?** — იკითხა ტოკლიკამ.

**— ვითომ რათაო?!** — გაღიზიანდა სალომე.

**— გამოდის, თქვენ ხელახლა იწვევთ ხონთქარ ალიევს, რაკი თქვენი ჩამოსვლა დამიმალეს, რაკი მცხეთაში არ დამპატიჟეს, შუა გზიდან მობრუნდით, ან ამ კვირის ბოლოს ჩამოდით, ახლა მე უნდა გიმასპინძლოთო,** — წარმოთქვა დამაჯერებელი ტონით ტოკლიკამ.

**— რაღა დაგიმალოთ, ჩემო მშობელო ხალხო და... ეს კაცი პუტინის მონა მგონია! —** გაიშვირა თითი სალომემ ტოკლიკასკენ.

**— ჰი, ჰი, ჰი, მონაა, მა რა არი?!** — ჩაიქირქილა ქიბროწამ და მზერა ერთ-ერთი ღრუბლის ქულაზე შეაჩერა.

**— მე ვარ პუტინის მონა?** — ჩაილაპარაკა ტოკლიკამ და თავი ჩაღუნა.

**— დიახ, ჯერ ბიძინა ივანიშვილის მონა და შემდეგ შესაბამისად პუტინისაც, მე ვის როდის ვუმასპინძლებ, უკეთესად ვიცი და აზერბაიჯანის ხონთქარს რეებს მივწერ, ეგ კიდე ჩემი კონსტიტუციაში ჩაწერილი პრეროგატივაა, გასაგებია?!** — მიუგო სალომემ.

**— დიახ, გასაგებია, მაპატიეთ, ჩვენო მბრძანებელო, მე კარგების თქმა მინდოდა და ცუდები გამოვიდა,** — მოიხარა წელში ტოკლიკა.

**— გაპატიო კი არა, გასცი, გამეცალე, თვალით აღარ დამენახო, სადმე რომც გადამეყარო, გზის მეორე მხარეს გადადი და დაიმალე,** — არ დათმო დედოფალმა.

ტოკლიკა მოხსნეს, ტოკლიკა გააგდეს, დაითხოვეს, გადააყენეს — აჩურჩულდნენ სასახლის ეზოში შეკრებილნი. სალომემ ბრძანა, ეგ უსტარი მედიასაშუალებებს გაუგზავნეთ, რათა მთელმა მსოფლიომ შეიტყოს, რანაირი რუსული მთავრობა ჰყავს გურჯისტანსო. ჰო, რუსული, აბა, როგორიო? აჩურჩულდნენ ისევ ეზოში შეკრებილნი.

სალომე სასახლეში შევიდა, ირგვლივ არც მიუხედ-მოუხედავს, პირდაპირ „სპალნაში" შევიდა და ეგრევე ძვირადღირებულ „კრაოტზე" დაემხო. ახლა დიდი სიამოვნებით დალევდა, დარდსა და სიბრაზეს ასე გაიქარვებდა, მაგრამ **„მაშვინ"** მნიშვნელოვანი შეხვედრა უნდა გადაედო თავის სეხნია სამადაშვილთან და იმასთან კიდე... რა ჰქვია? ველარ გაიხსენა, ფიზიონომიაზე რომ შეხედოს, გაახსენდება, შავია და სულ ლაპარაკობს... კი არ ლაპარაკობს, ყბედობს, ამასწინებზე ხარაგაულში სცემეს. განა ამას ეპიტნავება ამდენი სტუმრიანობა და გაცილებები? იქ, ზემოთ, უთხრეს, დაასრულეთო და ესეც ცდილობს, რა ქნას, ბოლო-ბოლო, რაღაცა ხომ უნდა გააკეთოს? ჰო, პოლარიზაცია უნდა დაასრულოს... ეგე, თვითონ ხომ დაასრულა სამადაშვილთან პოლარიზაცია? ხომ შეურიგდა? შეიყუჟებიან ხოლმე სამზარეულოში და ყლურწავენ შოტლანდიურ ვისკსა, რაღა დროს დაპირისპირებაა, როცა გარეთ 21-ე საუკუნეა? ეწყინა, კახელებისგან ყველაფერს ელოდა, მაგრამ ეგეთ რამეს მაინც არა, ამსიგრძე კაცი ჩამოვიდა, გაისარჯა, ოფლი დაღვარა, მსოფლიო მნიშვნელობის გზავნილები ჩამოიტანა და ეს კიდე ტყეში დააჭენებდა. არა, ჭენაობაც საჭიროა, მთავარსარდალი რის მთავარსარდალია, ყოველ დილით საკუთარ მამულს თუ არ გაჰხედა, დაზვერა, რაღაც ტერიტორიას არ შემოურბინა და ცვრიან ბალახსაც ფეხი არ დაადგა?

დედა-დედოფალი კაკუნმა გამოიყვანა ავი ზმანებიდან, იგი უკვე მზად იყო, შური ეძიებინა, მაგრამ როგორ, რანაირად? ჯერ იყო და ელჩების დანიშვნები დაიწყეს დაუკითხავად, შეუთანხმებლად, ახლა კიდე ესა. მოახლემ ოდნავ გამოღებული კარის ღრიჭოში შემოყო თავი, სალომეს აცნობა — **დავითი** გახლავთ მოსული, **უსუფაშვილიო.** შემოუშვითო, ანიშნა თითით სალომემ და მაგიდას მიუჯდა. დავითი შემოუშვეს.

**— მოგესალმებით, საქართველოს დიდო სარდალო!** — მიესალმა იგი დედა-დედოფალს.

სარდალი წამოდგა, დავითს ხელი გაუწოდა, მაგიდასთან მიიწვია. მერე მაგიდის ქვემოდან წითელ ღილაკს თითი მიაჭირა, მდივანთუხუცესი გამოიძახა, ჩაი და ვისკი მოგვიტანე, მე და დავითმა უნდა ვყლურწოთო. ჰო, კიდევ ისა, ქვემოთ მარანში კახეთიდან ჩამოტანილი თოთლოპინა კარალიოკები ალაგია, ეგეც ამოგვიტანე, სტუმარს მშობლიური ხილი ესიამოვნებაო. დავითი ეგრევე გადავიდა საქმეზე:

**— დიდო სარდალო, ხედავთ, რა გიყვეს?!**

**— ჰო, ვხედავ,** — ჩაჰკიდა თავი სალომემ.

**— ესენი უნდა მოვიშოროთ!**

**— როგორ?**

**— როგორ და... მამუკა ხაზარაძე უნდა განადიდოთ!**

**— რანაირად?**

**— ილია ჭავჭავაძედ უნდა შერაცხოთ... წვერს მოუშვებს და ჯოხსაც დაიჭერს, კიდევ რა არის საჭირო? ბანკირი ქე არის და!**

**— სხვათაშორის, მაგაზე მეც მიფიქრია,** — გამოცოცხლდა სალომე.

**— აი, ტყუილად არ მოვსულვარ!** — აღტყინდა ისედაც აღტყინებული დავითი და თოთლოპინა კარალიოკი გაწუწნა.

**— როცა ამათ გავყრით, თინას დავნიშნავ თავდაცვის მინისტრად,** — თქვა მკაცრი ტონით სალომემ და ვისკი გადაყლურწა.

**— ეგ აუცილებელია, რათა ბოლომდე მიიყვანოს ჩვენი ჯარების რეფორმა.**

სალომესა და დავითს შორის გულთბილი ჭუკჭუკი კარგახანს გაგრძელდა — მათ ალალი გულებით დასახეს სამომავლო გეგმები და დათქვეს მომავალი შეხვედრის დღე. დავითი სალომეს დაჰპირდა, შემდეგ შეხვედრაზე თინიკოსთან ერთად მოვალო. ამან უთხრა, პრობლემა არ არიო და ეს ყველაფერი „ბლოკნოტში" ჩაინიშნა, თან იქვე მიაწერა: „სადაც უნდა გათხარო, ყველგან უნდა გათხარო, ამას არ გაპატიებთ"!

***ნოველა რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით დაწერა***
***გელა ზედელაშვილმა***

**— დიდო სარდალო, ხედავთ, რა გიყვეს?!**
**— ჰო, ვხედავ,** — ჩაჰკიდა თავი სალომემ.
**— ესენი უნდა მოვიშოროთ!**
**— როგორ?**
**— როგორ და... მამუკა ხაზარაძე უნდა განადიდოთ!**
**— რანაირად?**
**— ილია ჭავჭავაძედ უნდა შერაცხოთ... წვერს მოუშვებს და ჯოხსაც დაიჭერს...**

**— ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნევთ, საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ დედოფალი არ ყოფილა ინფორმირებული ილჰამ ალიევის სტუმრობის შესახებ და ამიტომაც ვერ შედგა შეხვედრა. დედოფალი სალომე კიდევ ერთხელ გამოხატავს მზაობასა და სურვილს, უახლოეს მომავალში, ოფიციალური ვიზიტით უმასპინძლოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს. ჰა, როგორია?!** — იკითხა სალომემ და შეკრებილ საზოგადოებას გამომცდელი გამომეტყველებით გადახედა.
**— გენიალურია!** — დასცხო ტაში ჭუჭულიკამ.

ზურაბიშვილი ალიევის ვიზიტის შესახებ ინფორმირებული არ ყოფილა - პრეზიდენტის ადმინისტრაცია

ოქტომბერი 24, 2022







# მამუკა არეშიძე:

## „უკრაინაში ომის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი!“

# ეს ხელს შეუწყობს, რომ საქართველო კავკასიის ცენტრად იქცეს!

*ბოლო 7 წლის განმავლობაში პირველად საქართველოს აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ეწვია, რომელსაც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მაღალი დონის დახვედრა მოუწყო. აღსანიშნავია, რომ მეზობელი ქვეყნის ლიდერის ვიზიტი ერთგვარი მოულოდნელობა იყო, რადგან მის სტუმრობასთან დაკავშირებით არავითარი საჯარო ინფორმაცია არ ვრცელდებოდა. რა მიზნით ჩამოვიდა ილჰამ ალიევი თბილისში და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მის აუდიენციას საქართველოს პრემიერ-მინისტრთან? ამ საკითხზე ვესაუბრებით ექსპერტს კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძეს:*

— **ილჰამ ალიევმა** ჯერ კიდევ თბილისში ჩამოსვლამდე, პრაღაში გამართულ ევროპული თანამეგობრობის სამიტზე განაცხადა, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებებში საქართველოს როლი მნიშვნელოვანია და დიალოგის პროცესი, შეიძლება, თბილისში წარიმართოს. ამ ურთულეს დროს, როცა რეგიონში დიდი დაძაბულობაა, ჩვენი მეზობლები თბილისს სამშვიდობო პლატფორმის ქალაქად აღიქვამენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და ხელს შეუწყობს, რომ საქართველო ეკონომიკური, ჰუმანიტარული თუ ბევრი სხვა თვალსაზრისით კვლავ კავკასიის ცენტრად იქცეს.

**აღსანიშნავია, რომ თბილისში მსგავსი სამშვიდობო ფორმატების რეალიზაციას ყოველთვის უშლიდნენ ხელს მსხვილი მოთამაშეები — რუსეთი, აშშ, ევროკავშირი, ჩინეთი, თურქეთი თუ ირანი, რომელთა ინტერესებშიც პატარა რეგიონული სახელმწიფოების გაძლიერება არასოდეს შედიოდა.** ამიტომაც არის, რომ სამხრეთ კავკასიის სამ პატარა სახელმწიფოს — საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს სხვადასხვა საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია აქვთ, თუმცა, როგორც ჩანს, მსხვილი მოთამაშეების ინტერესები ამჯერად ერთმანეთს დაემთხვა და გადაწყდა, რომ სამშვიდობო ფორმატის რეალიზაცია თბილისში მოხდეს.

**— სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი თბილისში თუ მოეწერა, ეს საქართველოს გეოპოლიტიკურ წონას მართლაც მნიშვნელოვნად გაზრდის!**

— თუ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერამდე მივიდა საქმე, ვერ ვიტყვი, რომ ეს მაინცდამაინც თბილისში მოხდება, რადგან მსხვილი პოლიტიკური მოთამაშეები ყველაფერს გააკეთებენ, რომ ხელმოწერა მათ ტერიტორიაზე — ვაშინგტონში, ბრიუსელში ან მოსკოვში შედგეს, მაგრამ სამშვიდობო ხელშეკრულებამდე მისასვლელი მოლაპარაკებების პროცესი, დიდი ალბათობით, თბილისში წარიმართება.

**— თბილისში ყოფნისას აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა ევროპაში ენერგომატარებლების ტრანსპორტირების საკითხს. ამ პროცესში რა როლი შეიძლება, ჰქონდეს საქართველოს?**

— ალიევი ისე საუბრობს, თითქოს ევროპისათვის ენერგომატარებლების ერთადერთი და განსაკუთრებული მიმწოდებელი აზერბაიჯანი იყოს, მაგრამ ეს ასე არ არის — **თუ ამ პროცესში ცენტრალური აზიის ქვეყნები არ ჩაერთვებიან, მარტო აზერბაიჯანს არა აქვს იმის რესურსი, რომ ევროპა საკმარისი გაზით მოამარაგოს.** აშკარად ჩანს, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, ევროპის ენერგომატარებლებით მომარაგების თაობაზე ცენტრალური აზიის ქვეყნებთან მოლაპარაკებებში აქტიური როლი შეასრულოს — გავიხსენოთ **ირაკლი ღარიბაშვილის** ბოლოდროინდელი ვიზიტები ყაზახეთში, უზბეკეთსა და თურქმენეთში.

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ენერგომატარებლების მეშვეობით რეგიონული პოლიტიკის კეთება მხოლოდ ალიევის პოზიცია არ არის — **ეს მთლიანად შეთანხმებულია თურქეთთან, რომელსაც კავკასიაში თავისი ინტერესები აქვს!**

**— კონკრეტულად რა არის კავკასიაში თურქეთის მთავარი ინტერესი?**

— თურქეთის ამოცანაა, რომ კავკასიის რეგიონიდან რუსეთს ფეხი ამოუკვეთოს და თავისი გავლენები გაზარდოს, რასაც ეკონომიკური და ენერგეტიკული ექსპანსიის გზით აკეთებს. გარდა ამისა, **თურქეთმა ყარაბაღის ბოლო მოვლენების ფონზე მოახერხა, 100-წლიანი პაუზის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისითაც დაბრუნებულიყო, რაც რუსეთის პოლიტიკის უმძიმესი მარცხია!**

**— აკი, რუსეთის პრეზიდენტი პუტინი და თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი ახლახან შეთანხმდნენ, რომ თურქეთი იქცეს ენერგეტიკულ ჰაბად, რომელიც ევროპას რუსული გაზით მოამარაგებს!**

— პუტინს ეს შეთანხმება სულაც არ ახარებს, უბრალოდ, ფაქტის წინაშე დადგა, რადგან დღეს რუსეთს თურქეთი ძალიან სჭირდება. მოგეხსენებათ, თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ფინანსურ სანქციებს არ შეუერთდა და რუსული ეკონომიკის სასარგებლოდ ბევრ რამეს აკეთებს, მაგრამ ერდოღანის ხელისუფლებას საყვედურსაც ვერ უბედავენ იგივე ძალები, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას რუსეთისათვის სანქციების არდაწესების გამო აკრიტიკებენ.

**— თბილისში მყოფმა ალიევმა ისიც განაცხადა, რომ ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მიმართულება უნდა გაძლიერდეს და ამ მიზნით მომავალ წელს თანხები გამოიყოფა. რამდენად შედის საქართველოს ინტერესებში აღნიშნული სარკინიგზო ხაზის ამოქმედება და იქნება თუ არ იგი სარგებლის მომტანი ქართული მხარისათვის?**

— **ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზი როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თავიდან ბოლომდე კონტროლდება აზერბაიჯანული მხარის მიერ, რაც ძალიან ცუდი მოვლენაა.** ჩვენ გვაქვს მაგალითი, ეკონომიკური თვალსაზრისით როგორი დისკრიმინაციული ვითარებაა თბილისისა და ბათუმის აეროპორტებში, რომლებსაც თურქეთის ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი **კომპანია „ტავ“** განაგებს. ეს თურქული ეკონომიკური ანექსიისა და საქართველოს ეკონომიკური ინტერესების აბსოლუტური უგულებელყოფის თვალსაჩინო ნიმუშია. ანალოგიურად **ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის პროექტში საქართველოს ინტერესები დაცული არ არის. შეიძლება ითქვას, რომ ამ პროექტში საქართველო, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური მოთამაშე, საერთოდ არ ჩანს და სარკინიგზო პოლიტიკას მთლიანად აზერბაიჯანი ქმნის.**

**— აზერბაიჯანის პრეზიდენტისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრის შემდეგ საჯაროდ არაფერი თქმულა დავითგარეჯის შესახებ. როგორ ფიქრობთ, ღარიბაშვილი და ალიევი დახურულ კარს მიღმა ამ საკითხს არ შეეხებოდნენ?**

— ეს შეხვედრა სულ სხვა ფორმატის იყო და არ გამოვრიცხავ, დავითგარეჯის საკითხი არც განეხილათ, თუმცა, მენიშნა საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადება — **ამ ტიპის შეხვედრაზე დაგეგმილი ნაბიჯები ხელს უწყობს გარეჯის თემის მოგვარებასო!**

**— დაბოლოს: უკრაინის ხელისუფლება არესტოვიჩის პირით რომ გვემუქრება — ომში გამობრძმედილი ჩვენი მილიონიანი არმია მალე საქართველოსთვისაც მოიცლის და პრორუსული რეჟიმის კლანჭებიდან დაგიხსნითო, ამაზე რას იტყვით?**

— **არესტოვიჩი დიდ პოლიტიკაში ნულია და მის განცხადებებს, წესით, სერიოზულად არც უნდა აღვიქვამდეთ, მაგრამ საქმე ის არის, რომ იგი დასავლეთის გარკვეულ წრეებს ახმოვანებს.** რა თქმა უნდა, უკრაინას, რომელიც უმძიმეს დღეშია, ნამდვილად არ ძალუძს იმის გაკეთება, რასაც არესტოვიჩი ლაპარაკობს.

საერთოდ, უკრაინაში ომის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი! მართალია, მაკრონი და დასავლეთის ზოგიერთი სხვა ლიდერი სამშვიდობო დიალოგსა და ომის შეწყვეტის აუცილებლობაზე ალაპარაკდა, მაგრამ მათი გულწრფელობის არ მჯერა, რადგან შთაბეჭდილება მრჩება, რომ აწყობთ, ეს ომი რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს!

*ესაუბრა*
**ჯაბა ხუბუა**




**„თურქეთმა ყარაბაღის ბოლო მოვლენების ფონზე მოახერხა, 100-წლიანი პაუზის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისითაც დაბრუნებულიყო, რაც რუსეთის პოლიტიკის უმძიმესი მარცხია!“**

***ბევრი იწვალეს, ბევრს ეცადნენ, მიდგნენ, მოდგნენ, ვინ არ ჩამოიყვანეს, ვინ არ მოატყუეს, ვინ არ ალაპარაკეს, ვინ არ მოიწვიეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ვერ გაიყვანეს მიხეილ სააკაშვილი კლინიკიდან სადმე, რომელიმე ქვეყანაში. თუ რამდენიმე თვის წინათ ადვოკატი***






# ვერ არისო,

## ანუ მიხას ახალ-ახალი დაავადებანი



***შალვა ხაჭაპურიძე ფიქრობდა, რომ ვინმე ე.წ. ავტორიტეტიანი ექიმი სამაგათო დასკვნას დაწერდა და ამის საფუძველზე სააკაშვილს აქედან მოაშორებდა, ახლა ისეთებს ლაპარაკობს, ამ განსაკუთრებულ ტუსაღს, მგონი, სიცოცხლის შანსსაც კი აღარ უტოვებს. ისაო, გაეროს ექსპერტები ჟენევიდან მორჩნენ თავიანთ საქმეს, მონაცემები ქალბატონ მარიამ ჯიშკარიანს უკვე გადმოეგზავნა, დიაგნოზები არის გამაოგნებელი, ასეთ მძიმე შედეგს ნამდვილად არ ველოდი, მას აქვს რამდენიმე მძიმე დაავადება, რომელიც არის ყოველგვარი განკურნების პერსპექტივის გარეშეო.***

გაიგონეთ?!

მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი **შალვა ხაჭაპურიძე** აცხადებს — ამას იმდენი დაავადება აქვს და თანაც ისეთი მძიმე, განკურნების შანსიც აღარ გააჩნიაო. **შე მტრის მხარეს გადასულო ადამიანო,** თუ აზრი აღარ აქვს, თუ განკურნებას აღარ ექვემდებარება, მაშინ სადღა მიათრევ, რას წვალობ, რატომ არ შეეშვები?!

არა!

არ ჩერდებიან, იფიქრეს, იფიქრეს და... ახლა სხვანაირი ანკესი გადმოაგდეს ადვოკატი **ვალერა გელბახიანის** პირიდან — შეიძლება სააკაშვილი სკრიპალივით მოწამლესო და შემდეგ სხვებმაც აიტაცეს — ნამდვილად მოწამლული იქნება, თორემ ეგეთი რაღაცები რანაირად სჭირსო? „ჭუტავიზიის“ ქოროღლა მუშაკებმა უკვე დაამტკიცეს — ზუსტად ეგრეა, რამდენიმე თვის წინ „ვივამედშიც“ გაჩენილა ეჭვიო. მთავარი ექიმი ალაპარაკეს, აქ ეჭვი არავის გასჩენიაო. აი, იქით კვირაში ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოგზავნილი დასკვნა ჩამოვა და, სავარაუდოდ, ეგ ფაქტიც დადასტურდებაო. ჯერ არ ვიცით, იქ რა იქნება, რა ეწერება, მაგრამ სააკაშვილი მაინც მოწამლულიაო. ჰოდა, ამერიკიდან რომ დასკვნა ჩამოვა, ევროპული ქვეყნების დედაქალაქებში დაიგზავნება და შემდეგ აპირებს დაცვის მხარე, სასჯელის გადავადების მოთხოვნით სასამართლოს მიმართოსო.

**ვალერი გელბახიანისა** და **შალვა ხაჭაპურიძის ტრაგიკული მიეთ-მოეთები გასაგებია, ფული აქვთ აღებული და როგორმე სიტუაციიდან უნდა გამოძვრნენ, მაგრამ ეკა ხერხეულიძემაც ლამის მთლად გადაგვიწურა იმედი — მიხეილ სააკაშვილს აქვს ახალი დაავადებები, ახალი გამოვლინებები და ახალი ჩივილები, უკვე გაკეთდა ახალი დიაგნოზების ნუსხა.** ესე იგი, აქამდე 27 სახის დაავადება ჰქონდა, ახლა ამას დაახლოებით 27 კიდევ დაემატება და გახდება 54 დაავადება. გახსოვთ, სააკაშვილმა 50 დღეზე მეტი რომ იშიმშილა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა? ჰოდა, ახლა დაავადებათა რაოდენობის მხრივ ამყარებს მსოფლიო რეკორდს — ტიპს იმდენი დაავადება აწუხებს, წესით, ცოცხალი აღარ უნდა იყოს, მაგრამ არის.

ამოცანა გვეკითხება: რა გაეროს ექსპერტებსა და რომელ ამერიკულ დასკვნაზეა საუბარი? რა დასკვნა და მონაცემები გადმოუგზავნეს **მარიამ ჯიშკარიანს** და რა დასკვნა ვეღარ დაწერა იგივე მარიამ ჯიშკარიანმა? **გეუბნებით, ცრუობენ, ისევე ცრუობენ, ნობელის პრემიის ე.წ. ლაურეატი ორთოპედი რომ ჩამოიყვანეს და გავლენიან ფსიქიატრად გაასაღეს.**




**შე მტრის მხარეს გადასულო ადამიანო, თუ აზრი აღარ აქვს, თუ განკურნებას აღარ ექვემდებარება, მაშინ სადღა მიათრევ, რას წვალობ, რატომ არ შეეშვები?!**

*მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე*





*ვფიქრობ, შორს აღარ არის ის დრო, როცა **ვალერი გელბახიანი სააკაშვილს უნაყოფო მამრად, ანუ „პეტუხად“ გამოაცხადებს.** რა, ქუთაისელ „პოლიტიკოს“ **გოგი წულაიას** ასე არ გაუკეთა? გამოვიდა, საქვეყნოდ, რესპუბლიკის მასშტაბით გამოაცხადა, **მაგას ქალის გაუპატიურებას ტყუილად ედავებით, არაფრის თავი არა აქვსო.** ტიპი ისე შეარცხვინა, სადღაც უცხოეთში გადაიკარგა, მგონი, მექსიკაზე გავლით!*

**მოხუცი ჯეიმს კობი გახსოვთ? ეუბნებოდნენ, მარჯვნივ წადიო, მარცხნივ მიდიოდა... ეუბნებოდნენ, მარცხნივ წადიო, მარჯვნივ მიდიოდა, ამ ადამიანს ორიენტაცია საერთოდ ჰქონდა მოშლილი.** თქვენი არ ვიცი და... მე **პრეზიდენტი ბაიდენი** გამახსენდა, ეგეც ვარაუდზე დადის და თვითმფრინავის ტრაპზე სამჯერ იქცევა. სიბერე ოხერია, განა დავცინი? არა, არ დავცინი, უბრალოდ, ადამიანმა უნდა იცოდეს, სად ფეხი ჩაყოს და სად კიდევ — ცხვირი.

**ადვოკატები, რომლებიც ადრე სააკაშვილს ებრძოდნენ და ახლა სააკაშვილის ჯანმრთელობის სადარაჯოზე ჩამოსხდნენ, ყველაფერს კადრულობენ, ოღონდ თავიანთი გაიტანონ.** მიშას უთქვამს **შალვა ხაჭაპურიძისთვის** — როგორც ჩემს ძმას, ისე გენდობიო. რატომ ენდობა, როგორც თავის ძმას, თანამებრძოლები იყვნენ თუ ფიცვერცხლნაჭამები? **გამოდის, ან ეს ადვოკატი გახლდათ შეგზავნილი „ქართულ ოცნებაში“, ან კიდევ იმდენი მისცეს, რომ უარი ვეღარ „იკადრა“, ცდუნებას ვეღარ გაუძლო.** ის მეორე, **ვალერა გელბახიანიც** კაი გვარიანად წამოუბერამს ხოლმე და ვფიქრობ, შორს აღარ არის ის დრო, როცა სააკაშვილს უნაყოფო მამრად, ანუ „პეტუხად“ გამოაცხადებს. რა, ქუთაისელ „პოლიტიკოს“ **გოგი წულაიას** ასე არ გაუკეთა? გამოვიდა, საქვეყნოდ, რესპუბლიკის მასშტაბით გამოაცხადა, მაგას ქალის გაუპატიურებას ტყუილად ედავებით, არაფრის თავი არა აქვსო. ტიპი ისე შეარცხვინა, სადღაც უცხოეთში გადაიკარგა, მგონი, მექსიკაზე გავლით. ვალერას წულაიას შემთხვევაში გაუმართლა, რამდენიმე თვეში გამოიყვანა თავისუფლებაზე, მაგრამ სააკაშვილის ამბავში გაიჭედა, ამ საქმეს ძვრა ვერ უყო.

**მოკლედ, ასეა თუ ისე, რაც დრო გავა, სააკაშვილის დაავადებები უფრო გამრავლდება და ბოლოს იმ რაოდენობამდე მიაღწევს, გინესის რეკორდების წიგნში შეიყვანენ.** ამავე წიგნში არიან შესაყვანები ის ორთოპედი, რომელიც ნობელიანტობას იბრალებს და პაციენტებს ფსიქიატრიული თვალსაზრისით სინჯავს... ასევე, ადვოკატები, რომლებიც თითქოს იურისტები არიან და მედიცინის განხრით კომენტარებს აკეთებენ და რაც მთავარია, **მიხეილ სააკაშვილის დედული** გახლავთ წითელ წიგნში შესაყვანი, როგორც გადაშენების პირას მყოფი იშვიათი წარმონაქმნი. თქვენი არ ვიცი და **მე არასდროს მინახავს, შვილის ტუსაღობას ასე ადამიანი გაეახალგაზრდავებინოს, რომ გათხოვებაზე ეფიქროს.** ვნახოთ, რა იქნება შემდეგ, იქით კვირაში გვპირდებიან, რომ ამერიკელები ახალ დასკვნას გამოაგზავნიან და დაზუსტებით გავიგებთ, მიხეილ სააკაშვილი იცოცხლებს თუ *(როგორც ხაჭაპურიძე ამტკიცებს)* მართლა უშანსოდაა დარჩენილი.

***გელა ზედელაშვილი***



## თქვენი არ ვიცი და მე არასდროს მინახავს, შვილის ტუსაღობას ასე ადამიანი გაეახალგაზრდავებინოს, რომ გათხოვებაზე ეფიქროს!

*მიხეილ სააკაშვილის დედა გიული ალასანია*

### კვირგვინოსნები

**ვალერი გელბახიანი**
*ადვოკატი*



**სააკაშვილი,** ეჭვია, რომ **ნავალნის** მსგავსად, რუსული შხამით არის მოწამლული.

„ალია“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



**სააკაშვილი** სასჯელს იხდის იმ დანაშაულზე, რაც სტრასბურგის სასამართლომაც აღიარა, **ის არ არის პოლიტპატიმარი.**

„რეზონანსი“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ლიდერი, პარლამენტარი*



ნაცებს ვუსურვებდი, **უფრო სწრაფი ტემპით გადაედგათ ნაბიჯები დაშლისკენ.**

„ინტერპრესნიუსი“

***ქალი, რომელიც ქართველებს 2018 წლის 24 ნოემბრიდან გადაგვეკიდა, გაურკვეველი გვარიშვილობისაა, ზოგისთვის ჯუკნევიჩიენეა, ზოგისთვის — იუკნევიჩიანე. ქალიშვილობისას ყოფილა ურბონაიტე (ნახეთ, როგორ ჟღერს ქართულად — ურბონაიტე, არაფერს გაგონებთ?), პირველი ქორწინების შემდეგ ცოტა ხანს ყოფილა რასტაუსკენე... აი, „მთავარი არხის“ მეტყველების თანახმად კი არის ჯუკნევიჩიენე, ეს გახლავთ არამხოლოდ ენის წაჩიქორთულების ბრალი, არამედ იმისაც, რომ ნიკა გვარამიას კანტორაში ინგლისური უფრო უკეთესად „ეკერკებათ“. ერთადერთი, რაც ამ ადამიანს, ლიეტუველ პედიატრს ბავშვობისა შემორჩა, მხოლოდ სახელია — რასა.***



Rasa JUKNEVIČIENĖ

# რათა, ჯუკნა?

მაინც რატომ გადაგვეკიდა **რასა ჯუკნა...ვიჩიენე** 2018 წლის 24 ნოემბრიდან? მაშინ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი გახლდათ და საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის დროს დამკვირვებლად მოგვევლინა. ეს ის დროა, როცა **ბიძინა ივანიშვილმა** ქვეყანაში 600 ათას ადამიანს საბანკო დავალიანება გაუნულა, ხოლო არაერთხელ ქმარ-გვარგამოცვლილმა რასამ ეს დიდსულოვანი ჟესტი მოქრთამვად გამოაცხადა.

შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნების ხარისხი დაგვიწუნა, ეს 2012 წლისას რომ შევადაროთ, უკან გადადგმული ნაბიჯიაო. **ესე იგი, ქალბატონი ჯუკნა აქეთ გვასწავლის, რა იყო 2012-ში და რა არის შემდეგ, თურმე, ნაბიჯებს უკან ვდგამთ და უმეტეს შემთხვევაში ვბუქსაობთ.** აკი თქვა კიდევაც 27 ოქტომბერს ე.წ. „მთავარი არხის“ ეთერში, საქართველოს მთავრობაში თუ ჰგონიათ, ევროკავშირში ყველა დაბრმავდა, ძალიან ცდებიანო, **დღეს საქართველო იმართება როგორც საკუთარი ეზო, ქართველი ხალხი მმართველი გუნდის მძევალიაო.** დიახ, ჩვენზე ამბობს, ჩემზე, შენზე, თქვენზე... **ყველანი ბიძინა ივანიშვილის მძევლები ხართ, ყმები, მონები, განა ვერ ვხედავთ, ყოველ დილით მათრახით რომ ჩამოგივლით ხოლმეო?**

რაც საქართველოში ხდება, ამას მე **დეოლიგარქიზაცია** და **დებიძინიზაცია** დავარქვიო, ამაყობს ევროპარლამენტარი, ჰგონია, მაგარი რაღაცა მოიფიქრა და ჩვენ სამზარეულოებში ტაში უნდა დავუკრათ. არა, გარეთაც დავუკრავდით ტაშსა და დიპლიპიტოს, მაგრამ ბიძინასი გვეშინია, გვაკანკალებს, გვაჟრიალებს.

**ქალბატონმა რასამ** 2018-ში რომ დაიწყო, მას მერე აღარ გაჩერებულა **(ეგრე სცოდნია კლიმაქსურ აღტყინებას)**, თუ საქართველო **შარლ მიშელის** გეგმაზე უარს იტყვის, ეს კატასტროფა იქნებაო... საქართველომ ევროპის გაწვდენილი ხელი არ მიიღოსო... ძალიან იმედგაცრუებული ვარ ქართველი პოლიტიკოსებითო... ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებებით შეშფოთებულნი ვართო... ყოფილი პრეზიდენტისა და მინისტრების დაკავება არ არის საუკეთესო გზავნილებიო!

ხედავთ? **ის, რაც ჩვენთვის ტრაგედია იყო, მისთვის მხოლოდ გზავნილია.** ქალბატონი ჯუკნა გაცოფებული იყო, როცა ჩამოსული ევროპარლამენტარები სააკაშვილთან არ შეუშვეს. ნეტავ, როგორ გაუბედეს?

## აქამომდე ევროპიდან ან ამერიკიდან რომელიმე ევროპარლამენტარისა თუ სენატორის თანაშემწე რომ ჩამოსულიყო, მთელი ქვეყანა ფეხზე იდგა ხოლმე, ახლა ცოტა სხვანაირადაა – გამოვიდა მთავრობის მეთაური და ხმამაღლა განაცხადა: ჩემი უფროსი არავინ არ არის ქართველი ხალხის გარდაო.

ახალს არაფერს ვიტყვი, რასაც ეს ჯუკნები კადრულობენ, კრემლიდან გამოგზავნილი **გენადი კოლბინიც** არ კადრულობდა. ჰმ... კადრულობდა კი არა, კაცისა მხოლოდ გვარი და სახელი ვიცოდით, თვალითაც არავის ენახვებოდა. შეგახსენებთ, იგი 1975-1983 წლებში გახლდათ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, ანუ, ფაქტობრივად, ვიცე-პრეზიდენტი. მანამდე და მის შემდეგ ვინ იყვნენ ამ თანამდებობაზე, არც კი გვახსოვს, ყოველ შემთხვევაში, მათ ხმაც კი არ ამოუღიათ.

**ესენი? ესენი მალაყზე გადადიან, ყურებზე დგებიან, ქოშებს უკუღმა ისვრიან, ხელებს გვიპარჭყავენ, თითებს გვიქნევენ და ჭკუას გვარიგებენ. მეორე მდივანი ერთი იყო, ერთი მდივანი და ერთი მემანქანე ჰყავდა, ესენი ბევრნი არიან, თანაც სულ კლიმაქსიანები, უცნაური გვარ-სახელისანი, ძალიანაც რომ გინდოდეს, ვერ დაიმახსოვრებ...** თუ როგორმე დამახსოვრება სცადე, ენას მოიტეხ. ღმერთო, უფალო, რა უბედურებაა, რა ეშმაკების შემოსევაა, რა ჯუკნაობაა?!

სხვათაშორის, ე.წ. „მთავარი არხის“ წამყვანმა ქალმა თქვა, ამ ევროპარლამენტარს **რასა** კი არა, **„რათა“** ჰქვიაო. არ ვიცი, ასე გამოაცხადა, რათა ჯუკნევიჩიანეო. მე კიდევ უნებლიეთ წამომცდა, **რათა და იმათა-მეთქი!** ამან, ამ წამყვანმა განაგრძო, გავლენიანმა ევროპარლამენტარმა ჩვენთან ექსკლუზიურ ინტერვიუში კიდევ ერთხელ ისაუბრა მკაფიო და ცხადი განცხადებების შესახებო. **გესმით? მან კიდევ ერთხელ ისაუბრა მკაფიო და ცხადი განცხადებების შესახებ.** ახლა რომ აგიხსნათ, აზრი არა აქვს, ამათებურ ქართულს მაინც ვერ გაიგებთ. თურმე, ის იმასაც ამბობს, რომ საქართველოში მართლმსაჯულება ხდება იარაღი, რათა ძალადობა განახორციელონ თავისუფალ მედიაზეო. მეტიც, კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ **ნიკა გვარამიას** დაპატიმრება საქართველოს ხელს შეუშლიდა და შეუშლის ევროინტეგრაციის გზაზე.

## იმედია, ევროპარლამენტში ამ ჯუკნა ქალისა და მისი მეგობრების მსგავსად ყველა გონებადაქვეითებული არ არის

და ხვდებიან, ბიძინა ივანიშვილი მარსზეც რომ გადასახლდეს, უკვე იმდენი აქვს გაკეთებული საკუთარი ქვეყნისთვის, მუდამ დარჩება გავლენიან ფიგურად, მეცენატად და არა ოლიგარქად. ისე, ამ **ძუკნაობა-ჯუკნაობისა** რა ვთქვი... ყველა ჭკუის დამრიგებელი როგორაა? ან როგორ ეტევათ ამხელა ჭკუა კოკროჭინა თავებში?

***გელა ზედელაშვილი***



ედუარდ შევარდნაძე, გენადი კოლბინი და ჯუმბერ პატიაშვილი

## რასაც ეს ჯუკნები კადრულობენ, კრემლიდან გამოგზავნილი გენადი კოლბინიც არ კადრულობდა!



**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



**მიხეილ სააკაშვილის** მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის წარმოება და, ბუნებრივია, **ვერ იქნება გადაცემული სხვა სახელმწიფოსთვის.** საქართველოს მოქალაქეების მიმართ სანქციებს დასაბუთება როცა არ ახლავს, ის ცალსახად ტენდენციურია, ვინმე მსგავს გადაწყვეტილებას როდესაც იღებს, კეთილი უნდა ინებოს და მოაყოლოს დასაბუთება. კარგი იქნება, **ოლექსი არესტოვიჩი** მეტად გაერკვეს საერთაშორისო სამართალში, ურთიერთობებში და კრიმინალური განცხადებები აღარ გააკეთოს.

„პირველი არხი“

**ნიკა ნარსია**
*„მოძრაობა საქართველოსთვის“ წევრი, სამოქალაქო აქტივისტი*



**სააკაშვილს ზელენსკის** პრეზიდენტობაშიც დიდი წვლილი აქვს და **არახამიას** პოლიტიკური მამაც ეგ არის!

„GTMEDIA“

**გივი მიქანაძე**
*პარლამენტარი*



ღრმა კრიზისშია **ნაციონალური მოძრაობა** და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ **მალე ეს პარტია არ იარსებებს.**

„იმედინიუსი“

**სოსო თოფურიძე**
*კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი*



ხელთ მაქვს **მაკომპრომეტირებელი დოკუმენტები (!!!) ნაცმოძრაობის საქმიანობის შესახებ** — რა ხდება, სად მივყავართ ენმ-ის ლიდერების ლიანდაგს!

„აიპრესი“

**ნიკა გვარამია**
*„მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი, პატიმარი*



**მე არ ვოცნებობ თავისუფლებაზე — ეს მაქვს!**

„ინტერპრესნიუსი“

# სოროსული დიქტატურა «ტვიტერზე» დაემხო!

***გასულ კვირას, საქართველოსთვის ისტორიულ 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნებიდან ზუსტად 32 წლისთავზე, მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა მოხდა: გლობალური სოცქსელი „ტვიტერი“ სოროსულ-ლიბერასტულ მაფიას აღარ ეკუთვნის!***






## ილონ მასკი: ჩიტი თავისუფალია!

მოკლედ, მულტიმილიარდერმა **ილონ მასკმა** „ტვიტერი“ 44 მილიარდ დოლარად იყიდა და ოფიციალურად მისი მფლობელი გახდა! მაგრამ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამ თუნდაც ძალიან მსხვილ ბიზნესგარიგებას მსოფლიო პოლიტიკაზე?!

დავიწყოთ იმით, რომ ამ სოცქსელში 300 მილიონამდე ადამიანია გაწევრიანებული და მსოფლიოში ყველაზე გავლენიან სოციალურ მედიად მიიჩნევა — ყველასთვის ცნობილ ფეისბუქთან შედარებითაც კი.

**პირველი, რაც ბიზნესგარიგების გაფორმებისთანავე ილონ მასკმა გააკეთა, ის იყო, რომ თანამდებობებიდან გაააპანღურა სოცქსელის მთელი ხელმძღვანელობა:** აღმასრულებელი დირექტორი **პარაგ აგრავალი,** მთავარი ფინანსური ოფიცერი **ნედ სეგალი,** უმაღლესი იურიდიული და პოლიტიკის აღმასრულებელი მენეჯერი **ვიჯაია გადე** და გენერალური მრჩეველი **შონ ეჯეტი!**

ანუ ყველა ის პირი მოიშორა, ვინც „ტვიტერი“ ლგბტ ლიბერასტული დიქტატურის საკონცენტრაციო ბანაკად გადააქცია!

მაგალითისთვის, **„ტვიტერი“ თავის მომხმარებლებს ბლოკავდა და ასანქცირებდა ასეთი განცხადებების გამო:**

**„არსებობს მხოლოდ ორი სქესი — ქალი და კაცი!“;**

**„კაცი ბავშვს ვერ გააჩენს!“**

**„ქალებს პენისები არ აქვთ“...**

ჰოდა, ამიტომაც არის, რომ ამ ბიზნესგარიგების გაფორმებას „ტვიტერზე“ ნორმალური ადამიანები დღესასწაულობენ, ლიბერასტები კი გლოვობენ!

**მრავლისმეტყველია ისიც, თუ როგორი განცხადება გააკეთა თავად ილონ მასკმა „ტვიტერის“ გადაფორმებისთანავე: მან ორად ორი სიტყვა დაწერა პოსტად: ჩიტი თავისუფალია!**

ჩიტი კი, მოგეხსენებათ, „ტვიტერის“ ოფიციალური სიმბოლოა!

ახლა იმასაც მოგახსენებთ, რამხელა გავლენა აქვს „ტვიტერს“ მსოფლიო პოლიტიკაზე:

**როდესაც 2020 წლის 4 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების დღეს ამერიკის ჯერ კიდევ მოქმედმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა „ტვიტერზე“ დაწერა, ჩვენ გავიმარჯვეთო, მაშინვე საქმეში ჩაერთო გლობალური ქსელი!**

„ტვიტერმა“ ტრამპის განცხადება, სადაც ის არჩევნებში გამარჯვების შესახებ წერს, შეცდომაში შემყვან ჩანაწერად მონიშნა!

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის მოქმედმა პრეზიდენტმა ისიც განაცხადა, რომ **„ეს გამარჯვება შეიძლება მოიპარონ“!**

ამ ჩანაწერს „ტვიტერის“ მყისიერი რეაგირება მოჰყვა. **ჩანაწერის გახსნამდე სოციალური ქსელის მესვეურები აფრთხილებენ მომხმარებლებს, რომ „ტრამპის კომენტარის შინაარსი ან მისი ნაწილი მაინც სადავოა და ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანა შეუძლია“!**

დიახ,

### „ტვიტერმა“ უზარმაზარი როლი შეასრულა ტრამპისთვის გამარჯვების მოპარვაში და



## ამერიკაში ტრამპის გამარჯვების შანსები ერთიორად გაიზარდა!

### ჯო ბაიდენის გაპრეზიდენტებაში!

და ეს ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ თავისი სიმართლის დასამტკიცებლად შუა ბრძოლაში მყოფი ამერიკის მოქმედი პრეზიდენტი **„ტვიტერმა“ საერთოდ დაბლოკა ქსელში!**

**და ეს მაშინვე გაიმეორა ფეისბუქმაც!**

ანუ ტრამპი მხარდამჭერებთან კომუნიკაციის გარეშე დატოვეს!

**და ამ კაბალურ გადაწყვეტილებებს სწორედ ის პირები იღებდნენ, რომლებიც ილონ მასკმა „ტვიტერის“ მესაკუთრედ გადაქცევისთანავე თანამდებობებიდან გაყარა!**

ამდენად, ამერიკის 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, რომელშიც ტრამპიც აპირებს მონაწილეობას და ბაიდენიც, ლიბერასტებისაგან გათავისუფლებულ „ტვიტერს“ შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი ჰქონდეს!

დაბოლოს: **რა თქმა უნდა, შემთხვევით არ გამხსენებია 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული არჩევნები და ზვიად გამსახურდიას „მრგვალი მაგიდის“ ისტორიული გამარჯვება, რომელმაც საქართველოს თავისუფლება მოუპოვა!**

### „ტვიტერზე“ სოროსული დიქტატურის დამხობაც დიდი ისტორიული მოვლენაა, რომელმაც, დიდი ალბათობით, სათავე უნდა დაუდოს მსოფლიოს განთავისუფლებას ლგბტ სოროსიზმის დიქტატურისაგან!

ყოველ შემთხვევაში, **ტვიტერის ჩიტის გათავისუფლებით, ტრამპის გამარჯვების შანსები რომ ერთიორად გაიზარდა, ამას უკვე ჯო ბაიდენის მომხრეებიც ვერ მალავენ!**

***გიორგი გიგაური***

## კვირგვინოსნები

**ხათუნა ხოფერია**
*ყოფილი პარლამენტარი*



დღეს საქართველოში **რადიკალური ოპოზიციის ლიდერი** არის ქალბატონი **კელი დევნანი.**

„TV იმედი“

**ნინო ბურჯანაძე**
*„ერთიანი საქართველოს“ ლიდერი*



**ნიკა მელიას** განცხადებას გულყრები მოჰყვა ოპოზიციური პარტიების მხრიდან — **„რა არჩევნები, რა დროს ვადამდელი არჩევნებია“,** აბა, ორი წელი ხალხს ვატყუებდით, როცა **ვადამდელ არჩევნებზე** ვლაპარაკობდით? ურჩევნიათ, ევროპის დედაქალაქებში იარონ პარლამენტის სახელით, რომელსაც თავის დროზე რუსი ოლიგარქის „ბუტკას“ ეძახდნენ. როცა ასეთი ვითარებაა, **ვერანაირი ცხელი შემოდგომა ვერ იქნება.** ამას **ცხელი გაზაფხული და ზაფხული სჭირდება** წინ და არა დაძინებული ოპოზიცია.

„ახალი თაობა“

**სოსო მანჯავიძე**
*პოლიტიკის ანალიტიკოსი*



**კანდიდატის სტატუსის მონიჭება საერთოდ არაფერს გვაძლევს.** მე თუ მკითხავთ, ამის გამო ნამდვილად არ ღირს უარის თქმა ჩვენს იდენტობაზე, რწმენაზე, ტრადიციებზე, რაც ძვირფასია.

„საერთო გაზეთი“

**თემურ ნანეიშვილი**
*აკადემიკოსი*



ცალ-ცალკე ლაპარაკი და გულის ფხანა აღარ გამოვა. მეტის მოთმენა არ შეიძლება. **თავზე დაგვამხეს ყველაფერი... ეს უკვე ქართველი ხალხის შეურაცხყოფაა.** მოვითხოვ, როგორც ერთი მოქალაქე, ხელისუფლებამ ოფიციალურ დონეზე პასუხი გასცეს **ზელენსკის** და მის გუნდს.

„რეზონანსი“

# გენერალისიმუსი

**№33 (157) ★ 2022 წლის 31 ოქტომბერი ★ გამოდის 2003 წლიდან**


*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“ №10-32*



**ისტორიკოსის თვალით ★**

**სვიმონ მასხარაშვილი:**

# სტალინი ხრუშჩოვს „მიკიტას“ ეძახდა და ეუბნებოდა – შენ უკრაინელი ხარ!

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი იმ ავის მაუწყებელ რიცხვებს ასაჯაროებს, რა რაოდენობის ხალხიც 30-იან წლებში ნიკიტა ხრუშჩოვმა უკრაინასა და მოსკოვში შეიწირა, ამასთან ფაქტებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ 1956 წლის 25 თებერვლის ავადსახსენებელ გამოსვლაში ხრუშჩოვმა სტალინსა და ბერიას დააბრალა ის, რაც თვითონ ჩაიდინა:***

— ნიკიტა ხრუშჩოვის პოლიტიკური კარიერა და ცხოვრება თავიდან ბოლომდე განსაზღვრა სტალინის მეორე ცოლთან **ნადეჟდა ალილუევასთან** ნაცნობობამ და მეგობრობამ. როგორც თავად ხრუშჩოვმა განაცხადა — **„ეს იყო ბედნიერი ლატარიის ბილეთი“,** რომელმაც მისი ბედი აბსოლუტურად შეცვალა. მოგეხსენებათ, 1929 წელს **ნიკიტა ხრუშჩოვი** მოსკოვის სამრეწველო აკადემიაში კომკავშირის საგზურით მიავლინეს, სადაც სტალინის ცოლი **ნადეჟდა ალილუევაც** სწავლობდა.

**— ბატონო სვიმონ, ბელადის ცოლი ნედეჟდა ალილუევა როგორი ფსიქოტიპი იყო, რომ სულელ ხრუშჩოვს დაუმეგობრდა და მერე სტალინს გააცნო?**

— **ნადეჟდა ალილუევა** ბუნებით ძალიან ასკეტი ადამიანი გახლდათ და მას ფსიქიკური ამოვარდნები ჰქონდა. სხვათაშორის, ამ მხრივ ორივე შვილი დაემგვანა — **ვასილიც და სვეტლანაც!** არც ვასილი და არც სვეტლანა ფსიქიკურად გაწონასწორებული და მდგრადი ადამიანები არ ყოფილან. ვასილიზე არაფერს ვიტყვი, ის ძალიან ტრაგიკული ბედის ადამიანი იყო და დიდი ტანჯვა-წამება გამოიარა ისევე, როგორც ლავრენტი ბერიას ერთადერთმა შვილმა სერგომ, მაგრამ არამარტო ნადეჟდა ალილუევა, არამედ მთელი მისი ოჯახი ფსიქიკურად არეული იყო. სტალინი ცოლის დეპრესიულ ხასიათს კარგად ხედავდა და სწორედ ამ დეპრესიის გასანეიტრალებლად მიავლინა ის მოსკოვის სამრეწველო აკადემიაში, რათა ნადეჟდას საზოგადოებასთან ჰქონოდა ურთიერთობა და საშინელი დეპრესია და მელანქოლია დაეძლია.

**— ასე რომ, ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს სტალინმა ნადეჟდა მოკლა ან თვითმკვლელობამდე მიიყვანა, ბინძური ინსინუაციებია და მეტი არაფერი?**

— აბსოლუტურად! ნადეჟდა ალილუევა გახლდათ კარიერისტი და მიიჩნევდა, რომ სტალინის ცოლობამ მომავალი დაუნგრია და სახლში გამოკეტა. **ეს ქალი ეტოლებოდა კრუპსკაიას, კოლონტაისა და კრჟიჟანოვსკის ცოლს.** არადა, სამივე მათგანს ელიტური განათლება ჰქონდა მიღებული და ამავდროულად იყვნენ დიდგვაროვანები. **ნადეჟდა კრუპსკაიას** პატიმრობის დროს დაემართა ბაზედოვის დაავადება, თორემ ულამაზესი გოგო იყო. ლენინისგან განსხვავებით, მას ციხეში ძალიან ცუდად მოექცნენ... ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქალი რომ სტალინის ცოლობას ვერ შეირგებს, იმის ფსიქიკურ მდგომარეობაზე დასკვნები მკითხველისთვის მიგვინდია. **ასე რომ, 1932 წლის 9 ნოემბრის გასროლასთან სტალინს აბსოლუტურად არავითარი კავშირი არა აქვს.** ნადეჟდა სტალინზე 22 წლით უმცროსი იყო და შეიძლება ითქვას, რომ მის ხელში გაიზარდა. როგორც ცნობილია, ბელადი ძველი რკინიგზელისა და რევოლუციონერის, ბაქოში მცხოვრები **სერგეი ალილუევის** ოჯახს კარგად იცნობდა. როცა სერგეი მეფის „ოხრანკამ“ დააპატიმრა, მისი ცოლ-შვილი თბილისში სტალინთან აფარებდა თავს.

**— სტალინისა და ნადეჟდა ალილუევას დაახლოება სად და რა სიტუაციაში მოხდა?**

— ეს მოხდა 1919 წელს, როცა სტალინი უკვე ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი იყო და ლენინმა ცარიცინის დასაცავად მოავლინა. ბელადი მაშინ 40 წლის ქვრივი გახლდათ, ხოლო ნადეჟდა ალილუევა — 18-19 წლის ლამაზი გოგონა, რომელიც ლენინის სამდივნოში კოდებზე მუშაობდა და ძალიან მაღალი ანაზღაურებაც ჰქონდა. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის დღეებში **ლენინი** ალილუევების ოჯახშიც იმალებოდა. სწორედ აქედან მოხვდა ნადეჟდა ლენინის სამდივნოში, თავისი მომხიბვლელი გარეგნობით, მაკიაჟითა და ჩაცმულობით შეძლო სტალინის გულის მონადირება და 1919 წელს მისი ცოლიც გახდა.

## სვეტლანა ალილუევას ფსიქიკურ სიჯანსაღეზე როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა მამას ასე უდიერად მოეპყრა და სტალინის გვარზეც კი უარი თქვა?

**— ალილუევები რუსები იყვნენ?**

— კი რუსები იყვნენ, მაგრამ კავკასიაში კარგა ხნის წინათ იყვნენ ჩამოსული. **ნადეჟდა ალილუევას** დედა ოლგა იმდენად მსუბუქი ყოფაქცევის ქალი იყო, მგონი, თვითონაც არ იცოდა, რომელი შვილი ვისგან ჰყავდა, მაგრამ ყველა ცნობარში ნადეჟდა ალილუევას მამად მითითებულია **სერგეი ალილუევი.** ნადეჟდასთან ნაცნობ-მეგობრობამ და ბელადის გაცნობამ ხრუშჩოვს უმაღლესი პარტიული ელიტისკენ გაუხსნა გზა. იმ ადამიანებისგან განსხვავებით, რომლებიც მოსკოვის სამრეწველო აკადემიის დამთავრების შემდეგ ყველაზე უკეთეს შემთხვევაში საამქროს უფროსები ხდებოდნენ, ნიკიტა ხრუშჩოვს გზა კრემლისკენ გაეხსნა.

**— და მაინც, როგორ მოხვდა ნიკიტა ხრუშჩოვი მოსკოვის სამრეწველო აკადემიაში?**

— ხრუშჩოვი 35-36 წლის იყო, როცა ამ ინსტიტუტში მოეწყო. როგორც გითხარით, სწავლის გასაგრძელებლად კომკავშირული საგზურით მიავლინეს, რადგან შეამჩნიეს, როგორც ხელისუფლების კურსის აქტიური მხარდამჭერი და ტროცკის მოწინააღმდეგე. **ნიკიტა ტროცკის იდეების წინააღმდეგ აკადემიის კედლებშიც ილაშქრებდა და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მოსკოვის სამრეწველო აკადემიის ტროცკისტებისგან გაწმენდაში.** არადა, სინამდვილეში, თუკი ვინმეს იდეებთან ხრუშჩოვი ახლოს იდგა, ეს იყო სწორედ ლეიბა ბრონშტეინ-ტროცკი. ნიკიტა აბსოლუტურად გაუნათლებელი და უწიგნური გახლდათ, იგი უკრაინელი არ ყოფილა, სინამდვილეში რუსი იყო, მაგრამ სტალინი მას მაინც უკრაინულად მიმართავდა...

**— უკრაინულად როგორ მიმართავდა?**

— სტალინი ხრუშჩოვს **„მიკიტას“** ეძახდა და ეუბნებოდა — **შენ უკრაინელი ხარ!** არადა, ისე მოკვდა, ნიკიტა ხრუშჩოვმა უკრაინული ვერა და ვერ ისწავლა. სხვათაშორის, ხრუშჩოვის ცოლი **ნინა კუხარჩუკი** განათლებული ქალი იყო, მან ინგლისური თვითონ ისწავლა და ჟაკლინ კენედის თარჯიმნის გარეშე სწერდა და ელაპარაკებოდა. **თავად ხრუშჩოვი აბსოლუტურად გაუნათლებელი და დეგენერატი იყო...**

**— და მაინც რა მაგნიტით მიეწება ხრუშჩოვი სტალინს?**

— ეს იყო, ალბათ, ნადეჟდა ალილუევა! **ცოლის სიკვდილის შემდეგაც სტალინი ხრუშჩოვს ნადეჟდას ხსოვნის პატივისცემის ნიშნად არ იშორებდა, რადგან სულელი ნიკიტა იყო ერთადერთი ადამიანი — კურსელი, რომელიც ნადეჟდა ალილუევამ დაიახლოვა.** საერთოდ, უკრაინის საკითხებში სტალინი ორ კაცს ენდობოდა — ერთი იყო **მიხაილ მანუილსკი,** რომელიც გაეროში უკრაინის ელჩი გახდა, ხოლო მეორე — **ლაზარ კაგანოვიჩი,** რომელიც ეროვნებით ებრაელი გახლდათ, მაგრამ პოლიტბიუროსა და ცეკაში მხოლოდ მან იცოდა უკრაინული.

სწორედ **ლაზარ კაგანოვიჩთან** გადაამისამართა ნადეჟდა ალილუევას მიერ გაცნობილი ნიკიტა ხრუშჩოვი სტალინმა. კაგანოვიჩს ხრუშჩოვი მოეწონა და გამოსაცდელი ვადით ჯერ მოსკოვის სამრეწველო აკადემიის პარტკომად დანიშნა, ხოლო შემდეგ — ბაუმანის რაიკომის მდივნად, რომელიც მთელ მოსკოვში ყველაზე უფრო ტროცკისტულად განწყობილი რაიონი იყო. **ხრუშჩოვმა პარტიული დავალება ბრწყინვალედ შეასრულა და ბაუმანის რაიონი ტროცკისტებისგან გაწმინდა.** 1932 წლის ბოლოს იგი მოსკოვის ქალაქკომის მეორე მდივნად დაინიშნა. რეპრესიები ჯერ დაწყებული არ იყო, მაგრამ მაინც მოახერხა და მოსკოვის კომიტეტის 12 პროცენტი პარტიიდან გარიცხა. სწორედ მაშინ იყო, კაგანოვიჩმა სტალინს რომ უთხრა — **ხრუშჩოვი ძალიან კარგი კადრიაო!** მაგრამ სულ მალე ლაზარ კაგანოვიჩი, რომელიც 1934 წლის 10 თებერვლიდან 1935 წლის 28 თებერ-




*გაგრძელება მე-2 გვერდზე*

## სვიმონ მახარაშვილი:

# ნიკიტა ხრუშჩოვმა სტალინსა და ბერიას დააბრალა ის, რაც თვითონ ჩაიდინა!

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

ვლამდე პარტიულ კონტროლს ხელმძღვანელობდა, სხვანაირად აჭიკჭიკდა — **შემეშალა, ხრუშჩოვი ნამდვილი ტროცკისტიაო!** მოკლედ, ასე იყო თუ ისე, 1934 წლის 16 იანვრიდან ნიკიტა ხრუშჩოვი — მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ხოლო 1935 წლის 7 მარტიდან მთელი მოსკოვის ოლქის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გახდა.

**— რეპრესიების დროს ხრუშჩოვმა „რით გამოიჩინა“ თავი?**

— 1937 წლის 30 ივლისს, როცა პირველი სიები შედგა და რეპრესიები დაიწყო, **ნიკოლაი ბუხარინისა** და **ალექსი რიკოვის** დაპატიმრება ხმამაღლა ვინც მოითხოვა, სწო-




**„ივან სეროვს, რომელიც 1954-1958 წლებში „კაგებეს“ ხელმძღვანელობდა, ხრუშჩოვმა საბჭოთა არქივებიდან მთლიანად ამოაღებინა ის დოკუმენტაცია, სადაც რეპრესიებთან დაკავშირებით მისი ხელმოწერა იყო!“**

რედ ნიკიტა ხრუშჩოვი იყო! როგორც 1961-1967 წლებში საბჭოთა „კაგებეს“ შეფი **ვლადიმერ სემიჩასტნი** ამტკიცებდა, რეპრესირებულთა სიების შედგენაში ნიკიტა ხრუშჩოვი აქტიურ მონაწილეობას იღებდა, მაგრამ არ არსებობს არცერთი დოკუმენტი და მტკიცებულება, სადაც ხრუშჩოვის ხელმოწერა იძებნება. აშკარაა, რომ **ივან სეროვს,** რომელიც 1954-1958 წლებში „კაგებეს“ ხელმძღვანელობდა, ხრუშჩოვმა საბჭოთა არქივებიდან მთლიანად ამოაღებინა ის დოკუმენტაცია, სადაც რეპრესიებთან დაკავშირებით მისი ხელმოწერა იყო! ხრუშჩოვის თანხმობის გარეშე მოსკოვის პარტიული ელიტის წმენდა ვერ მოხდებოდა.

**ცნობისათვის:**

**საბჭოთა კავშირის მასშტაბით, 1937 წელს ყველაზე მეტი ადამიანი – 55 ათასი კაცი მოსკოვში დააპატიმრეს... გამორიცხულია, ქალაქისა და ოლქის პირველი პირი – ნიკიტა**

### ხრუშჩოვი ამ ამბავში გარეული არ ყოფილიყო!

**— ხრუშჩოვმა უკრაინაში რა უბედურება დაატრიალა?**

— 1938 წლის თებერვალში **ნიკიტა ხრუშჩოვი** გადაიყვანეს უკრაინის ცეკას პირველ მდივნად. 1938 წლის თებერვლიდან 1938 წლის 22 აგვისტომდე, სანამ სტალინი ბერიას მოსკოვში გადმოიყვანდა და **ნიკოლაი ეჟოვის** მოადგილედ დანიშნავდა, ხრუშჩოვმა უკრაინაში 167 ათასი კაცი დააპატიმრა, რომელთა უმეტესობაც დახვრიტეს! მოგეხსენებათ, ეჟოვის მოადგილედ ბერიას დანიშვნის შემდეგ რეპრესიები შეწყდა. **თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მთელ საბჭოთა კავშირში 1937-1938 წლებში სულ 900 ათასამდე კაცი დაიჭირეს, აქედან, სულ მცირე, 25 პროცენტზე, ანუ 167 ათას კაცზე მაინც პასუხისმგებელია ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელმაც ამდენი ხალხი მხოლოდ ერთ რესპუბლიკაში, უკრაინაში გააუბედურა.** თუ ამას დავუმატებთ იმ 55 ათას კაცს, რომელიც მოსკოვის ოლქის პირველი მდივნობის დროს ხრუშჩოვმა რეპრესიებში მოაყოლა, მაშინ ჩვენ წინაშეა სერიული მკვლელი, რომელმაც 1956 წლის 25 თებერვლის ცნობილი გამოსვლის დროს ყველა ცოდვა ორ ქართველს — **სტალინსა და ბერიას** აჰკიდა, ხოლო ყველა თავისი დანაშაული მიჩქმალა!

**არც ის დაგვავიწყდეს, რომ ლავრენტი ბერიამ იმ დაპატიმრებული 900 ათასი კაციდან მესამედი, ანუ 300 ათასი გაათავისუფლა!**

უკრაინაში დახვრეტილთა შორის იყვნენ უკრაინის ცეკას ყოფილი გენერალური მდივანი **სტანისლავ კოსიორი** და კიევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **პავლე პოსტიშევი,** რომლის ინიციატივითაც შობის დღესასწაულის გადასაფარავად 1935 წელს შემოიღეს „ახალი წელი“. ორივე ეს პიროვნება „გოლოდომორის“ ორგანიზების ბრალდებით დახვრიტეს, რაც 2010 წელს, **ვიქტორ იუშჩენკოს** დროს, უკრაინის უზენაესმა სასამართლომ სამართლიან განაჩენად ცნო!

**— მგონი, ხრუშჩოვმა პოსტიშევი და კოსიორი თავის გამოსვლაში გაამართლა, როცა 1956 წლის 25 თებერვალს სტალინის „პიროვნების კულტის შესახებ“ მოხსენება წაიკითხა!**

— დიახ, გაამართლა და გამოაცხადა, თითქოს სტალინმა და ბერიამ **კოსიორი და პოსტიშევი** უდანაშაულოდ დახვრიტეს! ანუ ხრუშჩოვი იმ ხალხს იცავდა და ამართლებდა, რომელსაც დღევანდელი უკრაინა თავის მტრად მიიჩნევს! ყოველივე ზემოთქმულიდან დასკვნა ასეთია — **ნიკიტა ხრუშჩოვმა სტალინსა და ბერიას დააბრალა ის, რაც თვითონ ჩაიდინა!**

**— რატომ აპატია სტალინმა ხრუშჩოვს ამდენი სისხლი?**

— ამას ერთადერთი, მაგრამ ძალიან სუსტი ახსნა აქვს — ალბათ, იმიტომ, რომ ხრუშჩოვი მას იმ ნადეჟდა ალილუევამ გააცნო, რომელთანაც სტალინს საკრალური კავშირი სიკვდილამდე არასოდეს დაუკარგავს!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

**ისტორიკოსის თვალით ★**

*დასაწყისი იხილეთ „გენერალისიმუსი“ №26-27, 28-29, 30, 31-32.*

*გაზეთი **„გენერალისიმუსი“** აგრძელებს ახლახან გარდაცვლილი ცნობილი ქართველი პუბლიცისტისა და პოეტის, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორის **ვახტანგ ხარჩილავას** პუბლიცისტური ნაშრომის **„სისხლიანი ქრონიკების“** ბეჭდვას, რომელიც საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე ავბედით პერიოდს — მე-20 საუკუნის 30-იან წლებს ეხება და მუდმივად შეგვახსენებს, რომ **ბოლშევიკური რეპრესიები არამხოლოდ უმძიმესი წარსულია, არამედ შეიძლება, უმძიმეს მომავლადაც იქცეს,** თუ ქართველი ერი მოწოდების სიმაღლეზე არ დადგება, სიფხიზლეს მოადუნებს და მორალურ კომპრომისებზე წავა **1937 წლის ჯალათთა სულიერ და იდეოლოგიურ გადმონაშთებთან,** რომლებიც საქართველოში, სამწუხაროდ, დღესაც ბოგინობენ.*

# თქვი!



## ვახტანგ ხარჩილავა

# სისხლიანი

# ხელმეორედ

... მოიკლა თავი **პაოლო იაშვილმა** — უნიჭიერესმა პოეტმა, ულამაზესმა კაცმა, ქართული პოეზიის მშვენებამ. **ყველაფერი გაკეთდა, რომ იმ დღეს მწერალთა სასახლეში თოფი გასროლილიყო. ყველაფერი იღონეს ამისთვის — დაკითხვებზე ათრიეს, სხდომებზე და კრებებზე თათხეს, ხალხის მტერი, დივერსანტი და ფაშისტი უძახეს...**

წინა დღეებში ერთ თავის მეგობარ მწერალს შეხვედრია პაოლო. საოცრად აფორიაქებული ყოფილა, თვალებამღვრეული, ჭკუათამყოფს არ ჰგავდა, თურმე. ცერა თითს რაღაც უცნაურად ატრიალებდა — თითქოს ჩახმახის გამოკვრაში ვარჯიშობდა. ჩამოჰკრავდა, მერე გაჩერდებოდა, მერე ისევ ჩამოჰკრავდა, ისევ და ისევ...

**— რა მოგივიდა, ვაჟკაცი არ ხარ? დიდი, დიდი, რამდენიმე წლით დაგაპატიმრონ. ამან უნდა წაგახდინოს?** — შეუძახნია მეგობარს.

**— პატიმრობასა და თუნდაც სიკვდილს ვინ ჩივის, უარესს მიპირებენ, უარესს!** — ამოუგმინია პაოლოს.

რა უნდა ყოფილიყო პატიმრობასა და სიკვდილზე უარესი? იქნებ თანამშრომლობა შესთავაზეს, დამსმენის, მაბეზღრის პროფესია შესთავაზეს, სანაცვლოდ კი სიცოცხლეს და თავისუფლებას შეჰპირდნენ. **ასეთი რამ ხშირად ხდებოდა იმ წლებში და ბევრიც თანხმდებოდა შეთავაზებულ წინადადებაზე.**

მაგრამ არ შეეძლო პაოლო იაშვილს, იმ სიცოცხლით ეცოცხლა, რომელიც მაბეზღარობისა და ჯაშუშობის ფასად იყო ნაყიდი. ვერც ასეთი საზღაურით მოპოვებულ თავისუფლებას შეირგებდა, რადგან ამგვარი თავისუფლება მონობაზე უფრო შეურაცხმყოფელია.

და მან ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო...

**პაოლო იაშვილმა იმ დღეს მხოლოდ საკუთარ თავს კი არ ესროლა ტყვია, არამედ ადამიანთა სისასტიკეს და ვანდალიზმს, სულისშემხუთველ, დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ ყოფას, სიძულვილს, შურის, მცონარობის აღზევებას.**

ეს იყო ამაყი სულის პროტესტი ადამიანის ღირსების ფეხქვეშ გათელვის წინააღმდეგ.

**ეს გასროლა მთელ ამ უზარმაზარ სახელმწიფოში ერთ-ერთი პირველი ხმამაღლა ნათქვამი გაბედული სიტყვა იყო, სიტყვა, რომელსაც სისხლი და უილაჯობის ცრემლი ერთად სდიოდა.**

პაოლო იაშვილის „გამოსვლა“ სწორად გაიგეს, იმასაც მიხვდნენ, პოეტის თავის ქალას გავლით საითკენ მიზუზუნებდა ის ტყვია, სწორად გაიგეს, სწორად აღიქვეს და ამიტომაც შერაცხეს მისი თვითმკვლელობა პროვოკაციულ აქტად: **„მისი თვითმკვლელობა მწერალთა სასახლეში, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომის მიმდინარეობის დროს წარმოადგენს პროვოკაციულ აქტს, რომელიც ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს ყოველ პატიოსან საბჭოთა მწერლის შეგნებაში“.**

სულ უფრო და უფრო ძლიერდება ავისმომასწავებელი სისინი **ტ. ტაბიძის** გარშემო, სულ უფრო და უფრო იღრუბლება ცა მის თავზე.

**30 სექტემბერს „ლიტერატურული საქართველო“** აქვეყნებს კრიტიკოს **გ.ნ.-ს** წერილს **„პოლიტიკური გახრწნის ჭაობში“;**

***„ფართო და მრავალფეროვანი არ არის ტიციან ტაბიძის თემატური ასპარეზი. თავის მწერლობის მანძილზე ის ყველაზე უფრო მეტს თავის თავზე წერდა. ცოტა მელანი როდი ამოაშრო მან თავისი პოეზიის შესახებ გარითმული მანიფესტების წერაში.***

*ტიციან ტაბიძემ, ამ „უმანკო გნოლმა“, ამ „ნიბლია ჩიტმა“ (!) „პირტიტველა და უცადმა ყრმამ“ (!), მთელი წლების მანძილზე თავის პოეზიაში გადაიღო ყველაფერი ის, რაც ოდესმე დალპა და გაიხრწნა ბურჟუაზიული ლიტერატურის ისტორიაში.*

***... ტ. ტაბიძის ქება-დიდების საგნად მის ძველ ლექსებში გამხდარა ყოველივე ანტისაზოგადოებრივი, ამორალური, პატრიარქალური, ანტიხალხური და ანტიადამიანური ტენდენცია.***

*ტ. ტაბიძემ ისიც კი სცადა, რომ „ღრმა ნაციონალურ პოეტად“ მოეჩვენებინა თავი. ამ ცდის ნიმუშია ლექსი — **„რომ იყოს თერგი ორი ამდენიო“.** ეს არის უკვე დაუფარავი ნაციონალიზმი.*

*მეორე ლექსში **„მეწყერი მეწყერს“** ტ. ტაბიძე აცხადებდა: **„ხევსურის ჯაჭვის ნაგლეჯი რგოლი, ერთი ვაცხადებ მხოლოდ „ჰაზავატს“.** გასაგებია, თუ ვის წინააღმდეგ აცხადებს „ჰაზავატს“ ტ. ტაბიძე. **ამ გაშიფრული ანტისაბჭოთა ლექსების შხამიანი და ვერაგული აზრის ამოცნობა ძნელი როდია! „თუმცა ჩაკირულა გულში ბალღამიო“, — მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ბალღამი საკმაოდ მკაფიოდ გამოჩნდა მის ლექსებში, ამაზე ლაპარაკობენ ყალბი სიღრმით და ყანწელებისთვის ჩვეული მანჭვა-გრეხით დაწერილი ლექსები, რომლებიც ტ. ტაბიძემ მიუძღვნა ფაშისტური ოხრანკის ჯაშუშებს — გ. რობაქიძეს და პ. იაშვილს.** არც ის იყო შემთხვევითი, რომ **ტ. ტაბიძე** თავის ლექსებში ქება-დიდებით იხსენიებდა ხალხის სამგზის წყეულ მტრებს, კონტრრევოლუციის ნაძირალებს.*

***სიმართლე წამოსცდა ტ. ტაბიძეს, როცა თავის ერთ-ერთ ლექსში „მელიტა“ განაცხადა: მე ჩემი სახელით ვარცხვენ იტალიური რენესანსის ეპოქის ტიციანსო.***

ჭეშმარიტად ეს ასეა!“

ამ წერილის გამოქვეყნებიდან კვირის თავზე, 8 ოქტომბერს ისევ შედგება მწერალთა პრეზიდიუმის სხდომა.

***ამონაწერი სხდომის ოქმიდან:***

***„ურჩიეს ტ. ტაბიძეს, გულახდილად აღიაროს ყველა ის დანაშაული, რომელიც მას ჩაადენინა ხალხის მტრებთან მჭიდრო კავშირურთიერთობამ. არც თავის წერილობით განცხადებაში და არც პრეზიდიუმის ამ სხდომაზედაც წარმოთქმულ სიტყვაში ტ. ტაბიძემ არ ისურვა, ეთქვა სიმართლე და ბოლომდე განავრძო თვალთმაქცობა“.***

პრეზიდიუმის სხდომაზე ერთხმად დადგინდა, რომ **ტიციან ტაბიძე** გაირიცხოს მწერალთა რიგებიდან.

**ეს უკვე აღსასრული იყო — სულ მალე ტიციანი დააპატიმრეს.**

ამავე სხდომაზე **„პავლე საყვარელიძე გაძევებულ იქნა მწერლების კავშირის რიგებიდან, როგორც ხალხის მტერი, პოლიტიკურად და მორალურად გახრწნილი პიროვნება“.**

ეს ის **პავლე საყვარელიძეა,** რომელიც მწერალთა რიგებიდან გაძევებამდე ცოტა ხნით ადრე „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე წერდა:

***„შინაგან საქმეთა კომისარიატმა დროზე მოუსწ-***

# აღიარე! მოინანიე!

რო და დაუმოკლა ხელები ამ ვერაგ მკვლელებს (იგულისხმებიან „ტროცკისტები" — ვ.ხ.). **საბჭოთა კავშირის სამსჯავრომ მათ კუთვნილი მიუზღო. კონტრრევოლუციურ ქვემძრომებს — ამ ცოფიან ძაღლებს თავი გაუჩეჩქვეს.**

ასეთი იყო განაჩენი მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხის, იგი სისრულეშია მოყვანილი.

**... საბჭოთა მწერლობის თვითეული წევრი ფხიზლად უნდა იდგეს თავის საპატიო საგუშაგოზე და თუ ვინიცობაა, ჩვენი რიგებიდან მოინდომებს მტრის რკალის გამორღვევას, ჩვენ ამის საშუალებას არ მივცემთ.**

ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ნაცადი ხელმძღვანელობით და მსოფლიოს მშრომელთა სწორუპოვარი ბელადის, ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხთან ერთად რკინის ნაბიჯით მსოფლიო ოქტომბრისკენ".

**ეს წერილიც, სხდომებზე და კრებებზე წარმოთქმული სხვა სიტყვებიც, სადაც ის აქტიურად უჭერს მხარს პარტიის პოლიტიკას, თვალთმაქცობად ჩაუთვალეს — პავლე საყვარელიძე დახვრიტეს, როგორც ხალხის მტერი.**

## ქრონიკები



„ლიტერატურული საქართველო". 1937 წლის 30 სექტემბერი



„ლიტერატურული საქართველო". 1937 წლის 30 ივნისი

## გვახსოვდეს, რათა არასოდეს განმეორდეს! ★

სულ მალე ანგარიშს გაუსწორებენ **მიხეილ ჯავახიშვილსაც.** 1937 წლის 17 აგვისტოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა **დემეტრაძე** და შეკრებილთ ამცნო: **მიხეილ ჯავახიშვილი ქართველი ხალხის მოღალატეთა ბანდის, ჯაშუშებისა და დივერსანტების ხროვის აქტიური მონაწილე აღმოჩნდაო.**

„შენიღბულ ჯაშუშსა და ხალხის მტერს — **ნათქვამია სხდომის ოქმში** — ბოლომდე არ ჰყოფნიდა ჭკუა, დაეფარა თავისი ბნელი ზრახვები — ის იცავდა ფაშისტურ სისხლის თეორიას, წინააღმდეგი იყო საბჭოთა მეურნეობებისა და დიდი ფაბრიკა-ქარხნების ორგანიზაციის, კულუარებში იმეორებდა ანდრე ჟიდის ცილისწამებას საბჭოთა ხალხზე".

**„დივერსანტი", „თაღლითი", „თვალთმაქცი", „ავანტიურისტი", „მწერლის ნიღაბაფარებული არამზადა", „ობერჯაშუში"** — აი, ეპითეტები, რომლითაც ამკობენ **მიხეილ ჯავახიშვილს** მისი „მოღალატური" საქმიანობით შეძრწუნებული კოლეგები.

როგორც მოგვიანებით გამოირკვევა, მას ერთდროულად რამდენიმე კაპიტალისტური ქვეყნის ჯაშუშობას აბრალებენ. ალბათ, ამიტომ უწოდებენ ობერჯაშუშს.

ერთ გარემოებას უნდა მივაქციო თქვენი ყურადღება: **რა გულმოდგინედ, მეთოდურად, დაბეჯითებით იმეორებენ სარეპრესიოდ გამზადებულ ადამიანთა წინააღმდეგ ეპითეტებს: „ხალხის მტერი", „მოღალატე", „გამცემი", „ჯაშუში" და ა.შ. ამას მარტო იმის გამო კი არ სჩადიან, რომ როგორმე დაამძიმონ ფალსიფიცირებული ბრალდებები, შეთითხნონ „საქმე", რომ იურიდიული საფუძველი შექმნან მკაცრი განაჩენის გამოსატანად, მათ ფიზიკურად მოსასპობად, არა, ამ პირთა მარტოოდენ ფიზიკური მოსპობა და განადგურება სამხილის გარეშეც არ გაუჭირდებათ, ბრალდებებს სხვა, შორს გამიზნული მიზნები რომ არ ჰქონდეთ. კერძოდ, მათ უნდათ, რომ არამარტო ფიზიკურად გაანადგურონ ისინი, არამედ საერთოდ ამოძირკვონ, ამოფესვონ მათი ყოველგვარი ნამოღვაწარი. განაჩენი გამოუტანონ არამხოლოდ დღევანდელობის სახელით, არამედ მომავლის სახელითაც. სამუდამოდ შეაძულონ ისინი შთამომავლობას, როგორც მოღალატეები, ხალხის მტრები...**

ესაა ყველაზე შემაძრწუნებელი და ამაზრზენი — მომავლის წინაშე, შთამომავლობის წინაშე მოღალატეებად წარადგინონ ისინი, სამარადისო შეჩვენებისა და წყევლა-კრულვისათვის გაწირონ, რომ მათი სახელი შემდგომმა თაობებმა ზიზღით მოიხსენიონ, რომ მათ საფლავებზე არავინ მივიდეს, რომ მათი ხსოვნა საუკუნოდ ლაფში იყოს ამოსვრილი.

ამის გამოა, რომ ყოველი მხრიდან წასევიან ეჭვმიტანილებს და ყურში ჩაჰყვირიან: **თქვი! აღიარე! გამოტყდი! მოინანიე!** გუშინდელი მეგობრები და თანამოკალმენი ცხვირწინ უტრიალებენ თითს განწირულთ: **თქვი! აღიარე! გამოტყდი! მოინანიე!**

ისინი არც კრებებზე და არც შემდეგ, გამომძიებელთა კაბინეტებში თუ საწამებელ საკნებში, არც აღიარებენ, არც გამოტყდებიან, არც მოინანიებენ, რადგან იციან, რომ **მათ არა აქვთ უფლება, იმ ხალხის და იმ ქვეყნის მოღალატედ გამოაცხადონ თავი, რომელიც მთელი არსებით უყვარდათ და უყვართ. არა აქვთ უფლება თუნდაც იმიტომ, რომ შთამომავლობას გული არ ატკინონ, რწმენა არ შეურყიონ, სირცხვილისგან არ გააწითლონ: აი, როგორი წინაპრები გვყოლიაო.**

და ახლა, როცა ისინი, უწყალოდ ნაგვემნი, დასისხლიანებულნი და დასახიჩრებულნი, მაინც ჯიუტად იმეორებენ გათეთრებული ბაგეებით — **არა! არა! არა!** — ამით შთამომავლობას უფრთხილდებიან, ხვალინდელ დღეს უფრთხილდებიან, მწერლის, ერისკაცის ღირსებას უფრთხილდებიან.

და ისიც, **პაოლო იაშვილიც,** სანადირო თოფის ლულიდან ცეცხლსა და ღვარძლს რომ გადაიღვრის პირში, ამაზე ფიქრობს — **საკუთარი განადგურებით ადამიანის, მწერლის, მოქალაქის ღირსება და სახელი გადაარჩინოს მომავლის წინაშე.**

როგორც ადრე ვთქვით, ბევრი ვერ უძლებდა დაკითხვის უსასტიკეს მეთოდებს, არაადამიანურ ტანჯვა-წამებას და ისეთ დანაშაულს აღიარებდნენ, რაც არ ჩაუდენია, ისეთ ხალხს ასახელებდა სხვადასხვა შეთქმულებების მონაწილეებად, რომლებსაც საერთოდ არაფერი გაეგონათ ამ შეთქმულებათა შესახებ, ისეთ „დოკუმენტებზე" აწერდა ხელს, რომელთა სიყალბე აშკარა იყო.

ნუ დავძრახავთ მათ ამის გამო, რადგან არავინ იცის, ვინ რას იტყვის, როცა ხორცს ცოცხლად გაგლეჯენ.

**არც მწერლებისთვის დაუკლიათ ხელი, მათაც ზუსტად იმ ჯოჯოხეთში ამოჰყვეს თავი, სადაც დანარჩენებმა, მაგრამ მათ ეყოთ სულის სიმტკიცე, რომ ამ ჯოჯოხეთისთვის გაეძლოთ და უმწიკვლოდ გამოეტანათ სული სიბინძურის, სიმდაბლის ცეცხლოვანი ჭაობიდან.**

ისინი სხვა თიხისაგან არ ყოფილან მოზელილი. იმათაც ისე სტკიოდათ დაფლეთილი ხორცი, როგორც სხვებს, მათი ძვლებიც ისე იმტვრეოდა, როგორც სხვათა, მაგრამ სული აღმოაჩნდათ ფოლადის — გაუბზარავი, გაუტეხელი, მონოლითი... და ეს არც არის გასაოცარი — **ნამდვილ შემოქმედს უძლეველი სული უდგას, სხვაგვარად ის ვერაფერს შექმნის ღირსეულსა და თვალსაჩინოს.**

●

1937 წელი იწურება. უკვე გაჟლეტილია ასიათასობით ადამიანი. თითქოსდა ამის სამადლობელოდ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი თავის სხდომაზე (ოქმი 9, 1937 წ.) ადგენს: **„გაეგზავნოს მისალმება** (ეს მერამდენედ — ვ.ხ.) **ქართველი ხალხის ხელმძღვანელს ლ. ბერიას".**

მისალმებაში ვკითხულობთ:

**„საქ. საბჭოთა მწერლები მხურვალე სალამს გიძღვნიან თქვენ, ქართველი ხალხის ხელმძღვანელს, დიდი სტალინის უერთგულეს მოწაფეს, ქართული საბჭოთა კულტურისა და მწერლობის დიდ მშენებელს, მეგობარსა და მოამაგეს.**

**... სიტყვას გაძლევთ, რომ დაუნდობლად გამოვამჟღავნებთ და გავანადგურებთ კონტრრევოლუციურ ნამსხვრევებს ჩვენს რიგებში, რა ნიღაბსაც არ უნდა იფარებდნენ ისინი".**

იმ წლების პრესის მიხედვით ძნელი დასადგენია, მართლა ვინ არის ხალხის მტერი: **ვინც დღეს ხალხის სახელით ხალხის მტრებად ნათლავს მავანს და მავანს, ხვალ თვითონ აღმოჩნდება „მოღალატე" და „დივერსანტი".** რაღაც უცნაური კარუსელი ტრიალებს, ხან — წაღმა, ხან — უკუღმა. დღეს რომ უსპეტაკეს კომუნისტად ასახელებენ კაცს და ჩინ-მედლებით აჯილდოებენ, ხვალ გამცემად შერაცხავენ და სიკვდილს უსჯიან. **ვინც დღეს ერთგულად ემსახურება რეპრესიების ორგანიზატორთა ნება-სურვილს, რეკლამას და პროპაგანდას უწევს მათ სისხლიან საქმეს, ტაშს უკრავს, ლექსებს და სახოტბო წერილებს უწერს და დაბეჯითებით ჰგონია, რომ უკვე „იმათი" კაცია და ხელს არავინ ახლებს, გაიხედავ და უცებ...**

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ვიღაც ბრმა იარაღად იყენებდეს მათ, მერე კი როცა თავის დავალებას შეასრულებს, გამოწურული ლიმონივით მოისვრიან სანაგვეში.

1937 წელს მწერალთა კავშირს ხელმძღვანელობს **დ. დემეტრაძე.** ის სისტემატურად აქვეყნებს წერილებს, სადაც ენერგიულად უჭერს მხარს ხალხის მტრების გამომჟღავნების სისხლიან კამპანიას, მოუწოდებს კოლეგებს, დაუნდობლად ამხილონ მწერლობაში შემოპარული **„დივერსანტები" და „ჯაშუშები".**

აი, რამდენიმე ფრაგმენტი მისი ერთ-ერთი წერილიდან:

„ცნობილია, რომ ამ ორიოდე წლის წინათ გამომჟღავნებულ და განდევნილ იქნა ჩვენი ორგანიზაციიდან **ქიქოძის კონტრრევოლუციური ჯგუფი, რომელიც მოკალათებული იყო უმთავრესად „სალიტერატურო გაზეთში", სწამლავდა მთელს ლიტერატურულ ატმოსფეროს, ტროცკისტ ვარდინის ეს ლექვები ჩვენი მწერლობის რიგებიდან განიდევნენ.**

საქართველოს საბჭოთა მწერლების საერთო კრებამ ერთსულოვნად გარიცხა თავისი რიგებიდან **ტროცკისტი სევასტი თალაკვაძე.** ეს გარეწარი მთელი წლების განმავლობაში ეფარებოდა მწერლის სახელს და აკეთებდა ბნელ საქმეებს, **თვალთმაქც თალაკვაძეს** აქვს ნაწერები 1905 წლის რევოლუციის შესახებ. გარდა იმისა, რომ თალაკვაძე თავის „მხატვრულ შემოქმედებაში" ანვითარებდა მტრულ კონტრრევოლუციურ კონცეფციას, ყველა მისი ნაწერი სავსებით ანტიმხატვრული ბუნებისაა და ნამდვილი ხალტურის ნიმუშია, მაგრამ „მწერალი" თალაკვაძე, ეს ხალხის მტერი, ახერხებდა ამ პირწავარდნილი ხალტურის ბეჭდვას.

**... ლიტერატურა სოციალიზმის ქვეყანაში მართლაც გადაიქცა საერთო პროლეტარული საქმის განუყოფელ ნაწილად. ეს გარემოება გვავალებს, გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე და თავის დროზე ვამხილოთ კლასობრივი მტრის ნამსხვრევების ყოველგვარი მტრული მაქინაცია.**

... განა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საფუძვლიანად მოვაწყვეთ სტალინური კონსტიტუციის შესწავლა მწერლებს შორის (სრულიად არ იყო საკმარისი კონსტიტუციის შესახებ რამდენიმე წერილი)?!

**... უნდა ჩაგვეტარებინა მოხსენებებისა და სემინარების მთელი ციკლი და უზრუნველგვეყო ამ დიდი პრობლემების ზედმიწევნით შესწავლა.**

... საქართველოს საბჭოთა მწერლები გაამართლებენ იმ დიდ მზრუნველობას, რომელსაც იჩენს მწერლობისადმი ქართული საბჭოთა კულტურის დიდი მეგობარი ლ. ბერია".

**1936-37 წლებში მწერალთა კავშირში ჩატარებულ ყველა სხდომას, კრებას და მიტინგს დ. დემეტრაძე ხელმძღვანელობს. ოქმებსაც ის აწერს ხელს და დადგენილებებსაც** (თავისთავად იგულისხმება, რომ ბერიასადმი გაგზავნილი მისალმების ავტორი თუ არა, თანაავტორი მაინც არის).

**10 ივნისი** — მომხსენებელი **დ. დემეტრაძე (ამხილებს პ. იაშვილს, ნ. მიწიშვილს, კ. გამსახურდიას, მ. ჯავახიშვილს).**

**12 ივლისი** — მომხსენებელი **დ. დემეტრაძე (განიხილეს და მოიწონეს დადგენილება ქართველ „ტროცკისტელთა" დასჯის შესახებ).**

**22 ივლისი** — მომხსენებელი **დ. დემეტრაძე** (საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის ყოფილი თავმჯდომარე **აკ. თათარიშვილი** გამომჟღავნებულ იქნა როგორც ხალხის მტერი).

სულ მალე — მომხსენებელი... სხვაა (დაადგინეს, რომ **დ. დემეტრაძე,** როგორც გამომჟღავნებული ხალხის მტერი, გარიცხულ იქნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის რიგებიდან).

**როგორც ნახეთ, სულ ორიოდე თვე დასჭირდა, რომ დ. დემეტრაძე ხალხის ინტერესების დამცველიდან ხალხის მტრად ქცეულიყო.**

თბილისს იგზავნება „მოხსენებითი ბარათი": **„ჩვენს პროდუქციას არ ბეჭდავს „მნათობი" და „სალიტ. საქართველო",** რაც არის ერთი მხრით ბრალი მავნებელი ყურულაშვილის, ხალხის მტრის **ტოროშელიძის,** გათახსირებული და ორჭოფი **აკაკი თათარიშვილის,** იუდა ისკარიოტელის — **მიწიშვილის".**

ამ „ბარათის" ერთ-ერთი ავტორთაგანიც სულ მალე ხალხის მტრად გამოაცხადეს და დააპატიმრეს.

**ვერ გადაურჩა უცებ მოვარდნილ საყოველთაო სიკვდილის ქარბორბალს ვ. ლუარსაბიძეც, მიუხედავად იმისა, რომ ისეთი ხასიათის წერილებს წერდა, როგორიცაა „ბოლომდე გავანადგუროთ ტროცკისტულ-ავერბახული აგენტები ლიტერატურაში".**

„სამართლიანად დააყენა კითხვა ამხ. **ე. გორდელაძემ** თავის მოხსენებაში **(„ახალი ვითარება და სალიტ.ფრონტის ამოცანები"):** ჰყავდა თუ არა **ბუაჩიძეს** აქ ჯგუფი ამხანაგებისა, რომელნიც მის აზრს იზიარებდნენ, რომელთაც ბუაჩიძე მედროშედ ჰყავდათ გამოყვანილი? რასაკვირველია, ჰყავდა **ლუარსაბიძე, წვერავა, კ. ლორთქიფანიძე, სულავა, მელაძე, რადიანი და** სხვები. მე არ ვამტკიცებ, რომ ეს ამხანაგები ხალხის მტრები, ტროცკისტები არიან, მაგრამ, თუ ვინმეს მართებდა აქ ავერბახელების წინააღმდეგ ბრძოლა, ეს პირველ რიგში, ამ ამხანაგებს ევალებოდათ ისე, როგორც ამას აქ შეეცადა **ამხ. რადიანი.**

**... ჩემს მიერ დაშვებულ შეცდომებში უმთავრესად აღსანიშნავია: მწერალთა კავშირის „წმენდის" მოთხოვნა, „ყველა და ყოველგვარი ნიღაბის ჩამოხსნის" ლოზუნგის გაზიარება, რაპპ-ული დამოკიდებულება თანამგზავრობისადმი და სხვა.**

... იდიოტური ავადმყოფობა — **უდარდელობა** — მწერალთა ორგანიზაციაშიც შეიჭრა, იქაც აქვს ადგილი ბოლშევიკური სიფხიზლის დაჩლუნგებას.

**მხოლოდ იდიოტური ავადმყოფობის მოსპობით, ბოლშევიზმის დაუფლებით შევძლებთ, ბოლომდე გავანადგუროთ და ამოვაგდოთ ქართულ ლიტერატურაში კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ბუხარინული აგენტურის ყველა ნარჩენი"** (1937 წ. 30 ივნისი, „ლიტ. საქართველო").

ასეთი მაგალითები მრავალგზის გვხდება იმ წლებში...

იყვნენ ადამიანები, ჯერ სხვებს რომ უმზადებდნენ წუთისოფელს, მერე კი თვით იმ ადამიანებსაც იგივე ბედი ეწეოდათ, ახლა უკვე სხვათაგან...

**ძალიან დიდი სიფრთხილე, მასალების სკრუპულოზური შესწავლა-დაზუსტებაა საჭირო ამა თუ იმ პირთა რეაბილიტაციის დროს. არ მოხდეს ისე, რომ სამართლიანობის აღდგენის საყოველთაო სურვილით შეპყრობილებმა ნამდვილი დამნაშავეებიც უმანკო კრავებად გამოვაცხადოთ.**

**ეს კიდევ ერთი შეურაცხყოფა იქნება იმ მართლაც არაფრის გამო დახოცილ ადამიანთა ხსოვნის წინაშე.** ხელმეორედ ნუ დავხოცავთ მათ!

# ნუ დავხოცავთ მათ!

გაგრძელება იქნება

## სტალინისადმი მიძღვნილი ნაშრომების ავტორები (ძირითადად, რუსები) ამტკიცებენ, რომ ბელადმა სიცოცხლის ბოლომდე ვერ ისწავლა რუსული ენა. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს? და, საერთოდ, რომელ ენებს სწავლობდა სტალინი სემინარიაში და რომელი იცოდა კარგად?


უინსტონ ჩერჩილი, ჰარი ტრუმენი და იოსებ სტალინი პოტსდამის კონფერენციაზე

ამ შეკითხვაზე პასუხს სტალინთან მჭიდროდ დაახლოებული ადამიანები იძლევიან, თანაც ისეთი ავტორიტეტულები, როგორებიც იყვნენ **მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ჟუკოვი, მწერალი კონსტანტინე სიმონოვი** და მრავალი სხვა. მაგალითად, **მოლოტოვი მწერალ ფელიქს ჩუევთან საუბრისას** არაერთხელ აღნიშნავდა, რომ **„სტალინი ბრწყინვალედ, სიღრმისეულად ფლობდა რუსულ ენას“.** კაგანოვიჩს, მისივე სიტყვების თანახმად, მუდამ აოცებდა ბელადის ლექსიკური მარაგის სიმდიდრე. **„ხანდახან,** — წერდა კაგანოვიჩი, — **იგი ისეთ სიტყვებს იყენებდა, რომლებიც პირადად მე პირველად მესმოდა“.** ჟუკოვის მოწმობით, სტალინს ბევრჯერ დაუსვამს სასვენი ნიშნები მის მიერ ბელადის კარნახით დაწერილ ბრძანებაში. მაგრამ განსაკუთრებით ღირებული, ჩვენი აზრით, **სიმონოვის** შეფასებაა. თავის წიგნში **„ჩემი თაობის ადამიანის თვალით“** იგი წერს, რომ **„სტალინი რუსულ ენას, რუსულ სიტყვას იმდენად კარგად, ნიუანსებამდე ფლობდა, რომ ბევრი რუსი მწერალიც ვერ შეედრებოდა“.**

ანეკდოტად ჰყვებიან (თუმცა ეს ნამდვილი ამბავია), რომ ერთხელ სტალინის ყურადღება გაზეთში დაშვებულმა გრამატიკულმა და სტილისტურმა შეცდომებმა მიიპყრო, მან **„პრავდის“** რედაქტორს დაურეკა და მოულოდნელი შეკითხვით გააოგნა: **„როგორ ფიქრობთ, ხომ არ შევიცვალო პოლიტიკოსის პროფესია კორექტორობაზე?“** მაშინ **„პრავდის“** რედაქტორი **ლევ მეხლისი** იყო. **„ვერ მიგიხვდით, ამხანაგო სტალინ“,** — თავგზააბნეულმა მიუგო მან. **„რა არის გაუგებარი?** — განაგრძო სტალინმა, — **ვხედავ, კორექტორები არ გყოფნით. მე კი შევძლებდი, ბოლოს და ბოლოს, თავის დროზე „პრავდის“ რედაქტორიც ვყოფილვარ და კორექტორიც“.**

როგორც გორის სასულიერო სასწავლებელში, ისე თბილისის სემინარიაში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ქართული ენა ფაკულტატურად ისწავლებოდა. ცოცხალ უცხო ენებს საერთოდ არ ასწავლიდნენ, მხოლოდ — **ძველ ბერძნულს.** იოსებ ჯუღაშვილს ყველა ამ საგანში ფრიადები ჰქონდა.

სხვა ენებიდან სტალინმა **გერმანული** იცოდა, თუმცა — არასრულყოფილად. მან ეს ენა დამოუკიდებლად შეისწავლა, ლექსიკონის დახმარებით კითხულობდა და თარჯიმნის გარეშე ესაუბრებოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს — ამხანაგ **ვილჰელმ პიკს** და ამხანაგ **ვალტერ ულბრიხტს.**

ახალგაზრდობაში სტალინი გერმანელი მეცნიერის **ამერჰოფის** მიერ 1887 წელს შექმნილი ხელოვნური ენით— **ესპერანტოთი** იყო დაინტერესებული. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ დიდი ტერორის წლებში (1937-39) საბჭოთა ესპერანტისტები **ნკვდ**-ს უმოწყალო რეპრესიებში მოყვნენ, როგორც **„ანტისოციალისტური ელემენტები“.**

ამასთან, ბელადი სიცოცხლის ბოლომდე არ განშორებია ზოგადსაკაცობრიო ენაზე ოცნებას. ამ **ზე-ენის** საფუძვლად კი იგი რუსულ ენას ხედავდა.

## ვინ იყვნენ ე.წ. ნაციონალ-უკლონისტები და მართალია თუ არა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას უჭერდნენ მხარს?


ბუდუ მდივანი, კოტე ცინცაძე, სერგო ქავთარაძე

ნაციონალ-უკლონისტები 20-იანი წლების დასაწყისის საქართველოს კომპარტიის თითქმის მთელ ცეკას შეადგენდნენ. მათ აღიარებულ ლიდერად **ბუდუ მდივანი** ითვლება. მისი უახლოესი თანამებრძოლები **კოტე ცინცაძე** და **სერგო ქავთარაძე** იყვნენ. ნაციონალ-უკლონისტებს აქტიურად უჭერდა მხარს **ფილიპე მახარაძეც,** მაგრამ, როდესაც მათსა და **სტალინ-ორჯონიკიძეს** შორის ბრძოლა გამწვავდა, ამ ჯგუფს ჩამოშორდა.

ამასთან, ნუ ჩავთვლით, რომ ნაციონალ-უკლონისტები საქართველოს დამოუკიდებლობას ითხოვდნენ. ასე შორს მათი პრეტენზიები არ წასულა. **ისინი მხარს უჭერდნენ საქართველოს შესვლას საბჭოთა კავშირში, ოღონდ „ყველა ატრიბუტის და დამოუკიდებლობის მექანიზმის შენარჩუნებით“.** ანუ საუბარი იყო იმაზე, რომ „კავშირი ერთიანი იქნებოდა სამხედრო, ფინანსური და დიპლომატიური თვალსაზრისით, ხოლო დანარჩენ საკითხებს რესპუბლიკები დამოუკიდებლად გადაჭრიდნენ“. ნაციონალ-უკლონისტების ბრძოლა „პარტიის გენერალურ ხაზთან“ ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. **პირველ ხანებში, ბუდუ მდივანთან პირისპირ საუბრის შემდეგ, მათ მხარი ლენინმაც დაუჭირა, მაგრამ მალე ორჯონიკიძის პოზიციაზე გადაინაცვლა,** რომელიც მუშტებით ამყარებდა „წესრიგს“ ტფილისში. ამის შემდეგ, 1922 წლის ოქტომბერში ნაციონალ-უკლონისტთა ჯგუფი ულმობლად გააკრიტიკეს სკპ(ბ) ცეკას პლენუმზე. დემარშის სახით საქართველოს ცეკა კოლექტიურად გადადგა. როგორც ჩანს, ისინი თვლიდნენ, რომ ვერც ცენტრი, ვერც კავბიურო ვერ გაბედავდნენ ასეთი გადადგომის მიღებას. მაგრამ **ბუდუ მდივანის** ჯგუფი ამაშიც შეცდა — მათი გადადგომა სასწრაფოდ მიიღეს და **ორჯონიკიძემ** საქ. კპ ცკ-ის ახალი შემადგენლობა პირადად მისთვის თავდადებული ადამიანებისგან ჩამოაყალიბა.

სხვათაშორის, ორჯონიკიძემ ნაციონალ-უკლონისტების გამოხდომებს „სამხედრო გემზე აჯანყება“ უწოდა. სტალინის დახასიათება სხვაგვარი გახლდათ — **„ქარიშხალი ჰიქა წყალში“.**

## კარგად მახსოვს, რომ საბჭოთა კავშირში 16 მოკავშირე რესპუბლიკა შედიოდა. გაზეთები მათ „თექვსმეტ დას“ უწოდებდნენ. სტალინის სიკვდილის შემდეგ კი რატომღაც „თხუთმეტი და“ აღმოგვაჩნდა და საბჭოთა კავშირის დაშლამდე ასე იყო. სად გაქრა მე-16 რესპუბლიკა?


კარელია-ფინეთის სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ოტო კუუსინენი

თქვენ **კარელია-ფინეთის სსრ** დაგავიწყდათ. იგი 1940 წლის მარტში შეიქმნა და 1956 წლის ივლისამდე იარსება, სანამ კარელიის ავტონომიურ რესპუბლიკად გადაიქცეოდა. **კარელია-ფინეთის სსრ-ის** შექმნის ისტორია უჩვეულო და მეტად პიკანტურია. 1939 წლის დეკემბრის ბოლოს საბჭოთა კავშირმა მეზობელ ფინეთთან ომი დაიწყო, რათა ეს ქვეყანა თავისი იმპერიის წიაღში დაებრუნებინა **(რევოლუციამდე ფინეთი რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა).** ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ფინეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ლენინის და სტალინის ძველი თანამებრძოლის — **ოტო კუუსინენის** ხელმძღვანელობით. იმავდროულად ჩამოყალიბდა ახალი მოკავშირე რესპუბლიკა კარელიის ტერიტორიაზე, სადაც, ერთი მაშინდელი ანეკდოტისა არ იყოს, სულ ორი ფინელი ბოგინობდა — ფინინსპექტორი და ფინკლშტეინი. მოსკოვიდან პეტროზავოდსკში **ოტო კუუსინენის** ჩამოსვლით მათი რიცხვი სამამდე გაიზარდა. საბჭოთა მთავრობამ სასწრაფოდ დადო მეგობრობის და თანამშრომლობის ხელშეკრულება დემოკრატიული ფინეთის „მთავრობასთან“. მას ხელი **მოლოტოვმა და კუუსინენმა მოაწერეს.** თუმცა, თეთრფინელებთან ომი **(ოფიციალურად ასე ეწოდა 1939-1940 წლების ამ ომს)** სულაც არ წარიმართა ისე, როგორც წითელი არმიის გენშტაბი გეგმავდა. ფინელებმა საბჭოთა ჯარებს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს და საბჭოთა მხარის დანაკარგებმა ბევრად გაადაჭარბა მტრის დანაკარგს. ოფიციალური მონაცემებით **საბჭოთა კავშირმა 74 ათასი მეომარი დაკარგა, ფინეთმა — 25 ათასი.** ამ ომში წითელმა არმიამ ფინეთის ტერიტორიის ნაწილის მიტაცება შეძლო, მთლიანად ქვეყანა კი ვერ დაიპყრო. შედეგად **კუუსინენს** კარელია-ფინეთის სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თანამდებობით დაკმაყოფილება მოუხდა. ამ პოსტზე მან 1956 წლამდე, მოკავშირე რესპუბლიკის ლიკვიდაციამდე დაჰყო. **სტალინის სიცოცხლეში რესპუბლიკას სიმბოლურად კვლავ კარელია-ფინეთი ერქვა,** თუმცა, ფინელთა რიცხვი იქ არ გაზრდილა. მეტიც, დიდი სამამულო ომის დასაწყისში გერმანული და ფინური წარმოშობის პირები კარელიიდან საბჭოთა კავშირის შორეულ რაიონებში გაასახლეს, რადგან **ფინეთი ჰიტლერული გერმანიის მოკავშირე იყო.**

„თეთრფინელებთან“ ომი სსრკ-სთვის, როგორც მოგახსენეთ, წარმატებული არ ყოფილა, მაგრამ საბჭოთა ხელმძღვანელობას მაინც კარგი სამსახური გაუწია. **მისმა შედეგებმა დაარწმუნა ჰიტლერი, რომ მეტისმეტად სუსტ წითელ არმიას 1941 წლის შემოდგომამდე მოუღებდა ბოლოს.** ეს შეცდომა მილიონობით გერმანელს სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

## ჰქონდა თუ არა ვლადიმერ ლენინს კანონიერი მეუღლის ნადეჟდა კრუპსკაიას გარდა სხვა გატაცება?

ოქტომბრის რევოლუციის ბელადისთვის არაფერი ადამიანური უცხო არ ყოფილა. ცნობილია, მაგალითად, რომ ლენინის მუდმივი „პასია“ იყო ბოლშევიკი ქალი **ინესა არმანდი.** მათი კავშირი საიდუმლოს არც ლენინის ცოლისთვის წარმოადგენდა და ოჯახური უსიამოვნებების მიზეზიც ხშირად გამხდარა. შემონახულია ლენინის მზრუნველობით და სინაზით გაჯერებული წერილები **ინესასადმი.** არმანდი თავის საყვარელზე 4 წლით იყო უმცროსი. მათ ერთმანეთი შვეიცარიაში გაიცნეს, სადაც **ინესა** პარტიულ სკოლას ხელმძღვანელობდა. რევოლუციის შემდეგ კი მთელი რიგი მაღალი პარტიული და სახელმწიფო თანამდებობები ეკავა. **არმანდი 1920 წელს, 46 წლის ასაკში, მუცლის ტიფით გარდაიცვალა.**

ლენინის კიდევ ერთ ფავორიტად **ელენა სტასოვას,** ბოლშევიკური პარტიის თვალსაჩინო წევრსაც ასახელებენ. იგი 1873 წელს დაიბადა, იყო ცეკას წევრი და, გარკვეულ ხანს, პარტიის ცეკას ერთ-ერთი მდივანიც. არსებობს ანეკდოტი (ან, იქნებ, სინამდვილეც), რომ, **როდესაც ლენინის გარდაცვალების შემდეგ მისი ქვრივი კრუპსკაია მოულოდნელად ტროცკის და ზინოვიევის ბანაკში გადაბარგდა, სტალინმა განაცხადა:**



ვლადიმერ ლენინი და ნადეჟდა კრუპსკაია. 1922 წ.

**გადაეცით იმ ტუტუცს** (შერბილებულია), **რომ თუ ბევრს იხტუნებს** (შერბილებულია), **ლენინის ქვრივად ელენა სტასოვას დავნიშნავთ.“** სტასოვა 1966 წელს ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა.

მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ბობოქარი პარიზული რომანის შესახებ ვინმე **ჟანეტთან.** ამის თაობაზე ცნობებს თავის მოგონებებში ლენინის ახლო ნაცნობი, ყოფილი ბოლშევიკი **გ. ალექსინსკი** გვაწვდის, რომელმაც ოქტომბრის რევოლუციამდე გაწყვიტა კავშირი პარტიასთან. ალექსინსკის სიტყვებით, **ჟანეტი** (გვარს არ ასახელებს) პარიზში, სენ-ჟერმენის ქუჩაზე ცხოვრობდა და ლენინმა, „სასიამოვნოს სასარგებლოსთან შეთავსებით“, მისი სახლი ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინად გაიხადა. ალექსინსკი წერს, რომ რომანი, როგორც ჩანს, 1900 წლის ზაფხულში დაიწყო, როდესაც გადასახლებაში მყოფი ლენინი შუშენსკოედან მალულად წამოვიდა და პარიზში ჩავიდა. იგივე ალექსინსკი ამ კავშირის დასასრულს 1905 წლით ათარიღებს. იგი ამტკიცებს, რომ ჟანეტმა, რომელიც მასთან მეგობრობდა, შესანახად მიაბარა ლენინთან ინტიმური მიმოწერის ნაწილი, რომელიც 20-იან წლებში მისგან „საბჭოთა რუსეთის ემისრებმა“ გამოისყიდეს. ამ მიმოწერის შემდგომი ბედი უცნობია. ალექსინსკი თვლის, რომ იგი ლენინის ბრძანებით გაანადგურეს.

**არსებობდა თუ არა სინამდვილეში ჟანეტი სენ-ჟერმენის ბულვარიდან და იყო თუ არა იგი ლენინის საყვარელი? ძნელი სათქმელია. ამ შემთხვევაში ჩვენ ან სიტყვაზე უნდა ვენდოთ ალექსინსკის, ან არ უნდა ვენდოთ.**

გენერალისიმუსი
2022 წლის 31 ოქტომბერი. № 33 (157)
სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

***საქართველოში ყოველდღიურად ასიათასობით ტენდერი ტარდება — ზოგი ავად, ზოგი კარგად, თუმცა, ამ შემთხვევაში არსებობს ერთი ზოგადი სენი, რასაც ჰქვია პროფესიონალთა დეფიციტი და ბოლომდე დაუხვეწავი კანონმდებლობა. რა უნდა გაკეთდეს, როგორ უნდა მივაღწიოთ საქართველოში ისეთ დონეს, რომ არ იყოს არც შავი ხვრელები, არც კორუფციის საშუალება და, რაც მთავარია, გამოირიცხოს უბედური შემთხვევები. ამ თემაზე ვესაუბრებით ფინანსური პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილეს სერგო ჯავახიძეს.***

## „თუ ტენდერის გამოცხადების დროს ფასი არ იქნება მთავარი, მივიღებთ ანარქიას და გვექნება კორუფციის ბუდე!“



## სერგო ჯავახიძე:

# ტენდერებში არსებული ქაოსი კვლავ ტრაგედიამდე მიგვიყვანს!

**— ბატონო სერგო, მოდით, ტენდერების საკითხის განხილვა დავიწყოთ ძირიდან, ანუ საფუძვლიდან, რათა ნებისმიერმა ადამიანმა გაიგოს, რაზე ვლაპარაკობთ და რასთან გვაქვს საქმე.**

— დღეს საქართველოს ბიუჯეტი არის **15 მილიარდი დოლარი** და სახელმწიფო მოხელეთა ხელფასების, პენსიების თუ სოციალური პროგრამების გარდა, მთელი თანხა მიდის ტენდერებში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გავლით. ეს არის საქონლის შესყიდვა, მომსახურების შესყიდვა და სამშენებლო სამუშაოები. ამ ყველაფერს ყიდულობს როგორც პირდაპირ მთავრობა, ასევე ე.წ. მხარჯავი ორგანიზაცია — სამინისტროები, მათი ქვემდებარე აიპები. მოკლედ, არ შეიძლება, თანხები დაიხარჯოს ტენდერების გარეშე. საკუთრივ ტენდერი გახლავთ ერთიანი ელექტრონული სისტემა, რომელიც ექვემდებარება სახალმწიფო შესყიდვების სააგენტოს. ტენდერის გამოცხადების უფლება აქვს ნებისმიერ მხარჯავ ორგანიზაციას და ასევე კერძო კომპანიას. ეს არის საერთაშორისო მოდელი, უკეთესი ჯერ არავის გამოუგონია. **სხვათაშორის, ჩვენ ერთ-ერთი კარგი ელექტრონული სისტემა გვაქვს, საჯაროობაც უფრო მეტია, თითქმის 100 პროცენტით ჩანს ყველაფერი — ვინ რა მოიგო, როგორ მოიგო, რა თანხებია გამოყოფილი...** ამ მხრივ პრობლემა არ გვაქვს, ყველაფერი თეთრად ჩანს, მაგრამ დღეს ლაპარაკობენ, შესყიდვის ფასი მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს, მთავარი ხარისხიაო...

**— ახლა სწორედ ეს უნდა მეკითხა — ვაკის პარკში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ სწორედ ფასისა და ხარისხის საკითხი გააქტიურდა — თითქოს ვიღაც საეჭვო კომპანიების წარმომადგენლები მიდიან, ნაკლებ ფასს სთავაზობენ, ამის საფუძველზე იმარჯვებენ და მერე ხდება ტრაგედიები.**

— თუ ტენდერის გამოცხადების დროს ფასი არ იქნება მთავარი, მივიღებთ ანარქიას და გვექნება კორუფციის ბუდე. რა თქმა უნდა, საქმე ხარისხიანად რომ უნდა იყოს გაკეთებული, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ამავე დროს საჭიროა ბიუჯეტის რაციონალურად ხარჯვა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, იქნება ბევრი კორუფციული გარიგება, ან მუდმივად მოიგებს რამდენიმე კომპანია, ან კიდევ ბევრი ტენდერი ჩაიშლება. როდესაც ესა თუ ის ორგანიზაცია აცხადებს ტენდერს, მან უნდა დააფიქსიროს, რა უნდა და როგორი უნდა, რათა ყველაფერი გასაგები იყოს. ჩვენ თავშივე ვაწყდებით პრობლემას, რაც უკვე იძლევა გარიგების საშუალებას. მაგალითად, თუ მე მაქვს გარკვეული გავლენა, შემიძლია, ტენდერის პირობები მოვირგო, გამოვაცხადებინო შესყიდვა ზუსტად ისეთ პროდუქციაზე, როგორიც მაწყობს! **შეიძლება საჭირო იყოს 7 სანტიმეტრის სისქის ფიცარი და, ჩემი ხათრით, დადგეს 5-სანტიმეტრიანის საჭიროება.** უპირველესად, ვინც ტენდერს აცხადებს, იმან უნდა ისწავლოს განაცხადის, ანუ პირობების წერა.

**— როგორ უნდა ისწავლოს ან კონკრეტულად რა შეცდომებს უშვებენ?**

— პირველი პირობა უნდა იყოს თანხების რაციონალურად ხარჯვა, აქედან გამომდინარე, მოდის ფასდაკლება და ხარისხი. განაცხადში იდება გამოცდილება. ახლა ვნახოთ, როგორ იზომება გამოცდილება? დგინდება, რამდენი გქონდა ბრუნვა, მაგალითად, შარშან ან შარშანწინ. საშუალოდ ეს მაჩვენებელი უნდა იყოს 50-100 მილიონი ლარი. მე გადავაწყდი ტენდერში მონაწილე კომპანიებს, რომლებსაც პანდემიის პერიოდში ჰქონდათ 20 მილიონი ბრუნვა დოლარში. არადა, ეს დაუჯერებელია,რადგან იმხანად მუშაობდნენ მხოლოდ ისინი, ვინც კვებავდა ჯარს და პენიტენციურ სისტემას. ჩემი აზრით, ბრუნვის მიხედვით ამა თუ იმ კომპანიის გამოცდილების გაზომვა დისკრიმინაციულ მიდგომას წარმოადგენს და ზღუდავს ტენდერებში მონაწილეთა რაოდენობას. არის მეორე უკიდურესობაც — თუ ყურადღებას არ მივაქცევთ გამოცდილებას, ყველა მიაწყდება და მივიღებთ ქაოსს.

**— კი მაგრამ, ცოტა სხვანაირად რომ გაიზომოს ეს გამოცდილება?**

— ამისათვის თავიდანვე უნდა შეისწავლონ იმ ორგანიზაციის ან კომპანიის წარმომავლობა და გაკეთებული საქმეები, რომელიც ტენდერში მონაწილეობს. დავუშვათ, რომელიღაცა კომპანიას აქვს სკვერების მოწყობის გამოცდილება, ხოლო ბრუნვა შარშანწინ ჰქონდა 500 ათასი ლარი. განა ეს საკმარისია იმისათვის, რომ შადრევანში დენის გაყვანა მივანდოთ? რა თქმა უნდა, არა!

**— აქ ვაწყდებით მეორე მნიშვნელოვან პრობლემას: ჩვენ კი ვდებთ ხელშეკრულებას მავანთან, მაგრამ ის მავანი შემდეგ ქვეიჯარას აფორმებს სულ სხვა მავანთან, რომელსაც საერთოდ არ ვიცნობთ.**

— აი, ამაშია საქმე... როდესაც შენ აცხადებ ტენდერს, უნდა იცოდე, რომ ყოველთვის ვერ მიიღებ იმას, რაც დაუკვეთე. რაც ვაკის პარკში მოხდა, ამას თავიდან ვერ აიცილებ ვერც ბრუნვით და ვერც ამ ბრუნვებით გაზომილი გამოცდილებით. მაგალითად, მე ვარ განათლების სამინისტრო, ახმეტის მუნიციპალიტეტში ვაშენებ სკოლას, შემოვიდა ვიღაცა, გაიმარჯვა, მაგრამ პირობებში არსად წერია, დანადგარები თუ სამშენებლო მასალები საიდან უნდა შემოიტანოს. ვაკის პარკში რაც მოხდა, ერთ-ერთ მიზეზად ჩინური კაბელები და დანადგარები დაასახელეს, რაღაცები ტაივანიდანაც შემოიტანესო. პირობებში მახასიათებლებს კი ჩაწერ, ასეთი მონაცემებისა მინდაო, მაგრამ მწარმოებელი არ ფიქსირდება. **ვერ ჩაწერდა, უფლებაც არა გაქვს, ჩინურის ნაცვლად იტალიური მოითხოვო. მთავარია, საქონელი პარამეტრებს აკმაყოფილებდეს.**

**— მერე რამდენად სამართლიანია ასეთი მიდგომა?**

— კანონით ასეა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ტენდერი ჩაგივარდება. გარდა ამისა, **საქართველოში ყველამ იცის, რას წარმოადგენენ ეს საექსპერტო ბიუროები, რომლებიც, ფაქტობრივად, შუა რგოლებად გვევლინებიან შემსყიდველსა და შემსრულებელს შორის, ანუ დაკვეთას მე ვაძლევ და სხვა ამოწმებს.**

**— მას შემდეგ, რაც შემსრულებელი დაიწყებს მუშაობას, ანუ დაკვეთის შესრულებას, დამკვეთი ვეღარაფერს ამოწმებს?**

— ვერა, დამკვეთი გამოთიშულია! მაგალითად, რაღაცას ვაშენებ, ხოლო პროექტის ღირებულებაა ერთი მილიონი ლარი. საძირკველი ჩავასხი, დავიწყე კედლების ამოყვანა, დავხარჯე 200 ათასი ლარი. ამ დროს ერთვება საექსპერტო ბიურო, რომელსაც ვეხვეწები — აშენებული ფორმებით დამიდასტურე, რომ მართლა დავხარჯე ეს თანხა. ეს კომპანია, რომელიც ექსპერტიზას ატარებს, ვინ არის? იგი არის ასევე ტენდერში გამარჯვებული და შენ არ შეგიძლია, სხვა მოძებნო და იმას გააკეთებინო. **დავუშვათ, გურჯაანის რაიონში ტენდერი მოიგო მიტოს კომპანიამ, ვალდებული ვარ, დავემორჩილო მიტოს, მან უნდა გაგვიწიოს მონიტორინგიც. თუ არ დამიდასტურა, რომ სამუშაოები შევასრულე, თანხას ვერ მივიღებ.**

**— მიტო ტენდერს სად იგებს, ცენტრში თუ მუნიციპალიტეტში?**

— მუნიციპალიტეტი აცხადებს ტენდერს, თბილისური კომპანიები იღებენ მონაწილეობას, რომელიმე იგებს ერთწლიან საექსპერტო მომსახურებას. მერე რა ხდება? გურჯაანიდან ურეკავენ თბილისში, ეხვეწებიან — ჩამოდით, შეამოწმეთ, დასკვნა დაწერეთ, რომ თანხები მივიღოთო. თვეობით არ ჩადიან, თუ ჩადიან, მეტრიანი საზომით მუშაობენ, სიმაღლეს შეამოწმებენ, სიგანეს, სისქეს და მორჩა, დანარჩენს ზეპირად გეკითხებიან, „არმატურა“ რა ზომისაა, ცემენტი რა მარკისაა, ან დაგიჯერებენ, ან არა... ჩემი აზრით,

**დამკვეთმა თვითონვე უნდა ჩაიბაროს შესრულებული სამუშაო, რადგან საექსპერტო წარმონაქმნებიც იგივე კორუფციის ბუდეა და თუ არაფერი**



**მიეცი, ყველაფერს აგირევენ, ისეთ რამეს დაგიწერენ, გაგაგიჟებენ.**

**— თქვენ ამბობთ, რომ ექსპერტი აღარ არის საჭირო?**

— ექსპერტი საჭიროა... დავუშვათ, გამოვაცხადე ტენდერი და ჩავდე ნახევარი მილიონი, ვიღაცამ მოიგო საექსპერტო მომსახურება, ამის შემდეგ ვხდები მისი მძევალი.

**— შენ ხომ მაინც გაგაჩნია ბერკეტი — ხელი უნდა მოაწერო მიღება-ჩაბარების აქტს და თუ რამე არ მოგეწონება, არ მოაწერ!**

— შენს „არ მომეწონას“ უნდა ჰქონდეს არგუმენტი, ასე ჰაერში ვერ ილაპარაკებ!

**— დავუშვათ, კედელი არ მომეწონა, მრუდეა...**

**— ესეც უნდა დაადასტურო და ამასაც ექსპერტის დასკვნა უნდა. თუ რამე ცუდად იქნება გაკეთებული, მაგას ხელახლა გააკეთებინებ, ასეთები მოსულა.**

**— კი მაგრამ, შესაძლებელია, რომ ექსპერტი და შემსრულებელი გარიგდნენ და უხარისხო ხარისხიანად მომაჩვენონ?**

— ასეთი შემთხვევებიც შეიძლება იყოს, ხშირად ექსპერტიზას აკეთებს შემსრულებელი. ამიტომ ვამბობ — ამ მხრივ რაღაც ახალია მოსაფიქრებელი. ძალიან ხშირად არღვევენ ვადებს, კანონი კი დუმს, შესრულებულ სამუშაოს მარტო მეტრიანით და მზერით ამოწმებენ, შეხედავენ — კედელი შეღებილია, ჩაგითვალეს, გაზომეს, გამოზომეს, ერთმანეთზე გაამრავლეს და დაწერეს დასკვნა. **ჩვენ ვიცით, რომ სამხარაულის საექსპერტო ბიუროში კვალიფიციური კადრები მუშაობენ, მაგრამ ეს უწყება ვერ ასწრებს, გამორიცხულია, ყველაფერი შეისწავლონ, ამისათვის წლები დასჭირდებათ.** ჩემი აზრით, სჯობს, ვითომ ექსპერტებს ტენდერში გამოყოფილი თანხის თითქმის ნახევარი რომ მიაქვთ, ხელფასები გაიცეს და თვითონ დამკვეთმა შექმნას რაღაც კომისიის მსგავსი, რომელიც შესრულებულ სამუშაოს ჩაიბარებს. შენ რომ ჯინსის შარვალს ყიდულობ, მე მავალებ — წადი, გაიზომე და შეაფასეო?

**— ეგ მართალია, მაგრამ არსებობს საშიშროება, შარვალი ვერ მოვირგო და გადაწყვეტილება იმ გოგოებმა მიმაღებინონ, მაღაზიებში რომ დაცქრიალებენ. თან, მგონი, ინტერესთა კონფლიქტიც იკვეთება.**

— ვაკის პარკში დატრიალებულ ტრაგედიას ისეთი ფორმა მისცეს — ლამის დამნაშავედ **კახი კალაძე** გამოაცხადეს. არადა, **დამკვეთი უკვე უძლურია, ის მიმდინარე მშენებლობაში ველარ ერევა, დასკვნებს წერენ ექსპერტები და რა ქნას მერმა, არ დაუჯეროს?** მაშინ ამიხსნას ვინმემ, რანაირად უნდა შეამოწმოს მშენებლობაში გარკვეულმა ადამიანმა, ანუ ექსპერტმა შადრევნის მდგომარეობა და, მითუმეტეს, ელექტროობა? აი, ამიტომაც დაიწერა ყალბი დასკვნა და მოხდა ის, რაც მოხდა. **როგორც ჩანს, ვერ მიიყვანეს ობიექტამდე ე.წ. ექსპერტი და თუ მიიყვანეს, გონზე არ იყო, ხოლო დროის გაწელვას ისევ დასკვნის გაყალბება ამჯობინეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თანხას ვერ მიიღებდნენ.** ზოგიერთი ტენდერს წერს, აცხადებს და მერე გზადაგზა სწავლობს, როგორ უნდა გააკეთოს. ზოგი ისეთ რამეს დებს მოთხოვნებში, რომლის შემოწმებაც ადგილობრივ ექსპერტებს არ შეუძლიათ — არც სამხარაულში და არც რომელიმე კერძო კომპანიაში. მაგალითად, ჩვენთან ვერავინ წერს დასკვნას ეკოლოგიაზე.

**— აბა, ამ მხრივ რას ვაკეთებთ?**

— რას ვაკეთებთ და გვეუბნებიან — წადით, საერთაშორისო დასკვნა ჩამოიტანეთო. უცხოეთიდან შეიძლება, გაყალბებული დასკვნაც ჩამოიტანო, ვიღაცას გადაუხადო და დააწერინო. ხშირად ვყოფილვარ შემსწრე, ჩადებენ პირობებში რაღაც ტექნიკურ მახასიათებლებს და მერე აღმოჩნდება, რომ მისი გადამოწმების შანსი არ არსებობს. აი, რატომ ვდგავართ საფრთხის წინაშე, ხოლო ტენდერებში არსებული ქაოსი კვლავ ტრაგედიამდე მიგვიყვანს!

## „ვაკის პარკში დატრიალებულ ტრაგედიას ისეთი ფორმა მისცეს – ლამის დამნაშავედ კახი კალაძე გამოაცხადეს. არადა, დამკვეთი უკვე უძლურია, ის მიმდინარე მშენებლობაში ველარ ერევა, დასკვნებს წერენ ექსპერტები და რა ქნას მერმა, არ დაუჯეროს?“

*ესაუბრა*
***გელა ზედელაშვილი***

# 1 ალექსანდრე მეორე, როგორც რუსეთის სერგო ორჯონიკიძე

*1881 წლის 1 მარტს სანკტ-პეტერბურგში, ეკატერინეს არხის სანაპიროზე, დაახლოებით 14:25 საათზე, 24 წლის თვითმკვლელმა ტერორისტმა, ებრაული თუ პოლონური წარმოშობის ეგნატე იოახიმის ძე გრინევეცკიმ ბომბის აფეთქების შედეგად სასიკვდილოდ დაჭრა რუსეთის თვითმპყრობელი იმპერატორი, პოლონეთის მეფე და ფინეთის დიდი თავადი ალექსანდრე მეორე. ბომბის აფეთქებიდან ცოტა ხანში, 15.35 საათზე, ზამთრის სასახლის აპარტამენტებში, №171 დარბაზში, იმპერატორმა სული დალია. იმპერატორის სიკვდილიდან დაახლოებით ათი საათი იცოცხლა თვითმკვლელმა ტერორისტმა გრინევეცკიმ, რომელმაც გამომძიებლების კითხვებს ერთადერთი პასუხი გასცა — „არ ვიცი!“*


ალექსანდრე მეორე, რუსეთის იმპერატორი 1855–1881 წლებში


სერგო ორჯონიკიძე. 1886–1937

## ზუსტად 155 წლის წინათ, 1867 წლის 18 ოქტომბერს, შედგა ოფიციალური ცერემონია ალასკის ამერიკის შეერთებული შტატებისათვის გადაცემის შესახებ!

ობიექტურად თუ განვსჯით, **იმპერატორი ალექსანდრე მეორე** ჩვენთვის, ქართველთათვის, წესით და რიგით, სათაყვანებელი მმართველი უნდა იყოს, რადგან მან და მისმა პოლიტიკამ დედასაქართველოს ოკუპანტი თურქეთის მიერ სამასი წლის განმავლობაში მიტაცებული აჭარა და ტაო-კლარჯეთის დიდი ნაწილი დაუბრუნა, მაგრამ, **თუ მის პერსონას რუსი მუჟიკის ჭოგრიტიდან შევაფასებთ, მაშინ დიდი რუსეთისთვის ის პირწავარდნილი სერგო ორჯონიკიძეა!** დასტურ, როგორც სერგო ორჯონიკიძემ ჩამოურიგა ჩვენს მეზობლებს ქართული მიწები 1921 წელს მარჯვნივ და მარცხნივ და თან დაგვემუქრა — **ქართველები თუ წესიერად არ მოიქცევით, საქართველოს საზღვარს სომხეთთან ავლაბარზე გავატარებო!** — სწორედ ისე მოიქცა **ალექსანდრე მეორეც,** რომელმაც უდიდესი ტერიტორია — **ალასკა** ამერიკის შეერთებულ შტატებს, ფაქტობრივად, ჩალის ფასად მიჰყიდა!

მართალია, **იმპერატორ ალექსანდრე მეორის** დიდი წარმატებები და ტერიტორიული შენაძენი კავკასიაში, ცენტრალურ აზიასა თუ ამურისპირეთში თვალშისაცემია, მაგრამ ალასკის სახით რუსეთის იმპერიამ იმოდენა ტერიტორია დაკარგა, ამ დანაკლისს ვერავითარი ეფექტური რეფორმები და ევრაზიის კონტინენტზე მოპოვებული წარმატებები ვერ გადაწონის.

მოგეხსენებათ, **1853-1856 წლებში ყირიმის ომში განცდილმა საშინელმა მარცხმა, რასაც გულბოროტი და სისხლისმოყვარე მამა-იმპერატორი ნიკოლოზ მეორე გადაჰყვა, ალექსანდრე მეორე დაარწმუნა, რომ რეფორმების გარეშე რუსეთი ევროპას ვერასოდეს დაეწეოდა.** ამიტომაც იყო, რომ ახალმა იმპერატორმა ძალა და ენერგია არ დაიშურა ქვეყნის შუა საუკუნეების ფეოდალური წუმპიდან ამოსათრევად და ევროპულ რელსებზე გადასაყვანად. **ალექსანდრე მეორემ** 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტით გააუქმა ბატონყმობა, სასამართლოებში შემოიღო ადვოკატის ინსტიტუტი, უნივერსიტეტებს მიანიჭა ავტონომია, განათლება გაათავისუფლა ეკლესიის დაქვემდებარებიდან, ხოლო ქალაქებს მიანიჭა თვითმმართველობის უფლება!

**იმპერატორ ალექსანდრე მეორის მმართველობის დროს რუსეთმა დაასრულა კავკასიის დაპყრობა და 1859 წლის 25 აგვისტოს დაღესტნისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის დიდმა იმამმა — შამილმა თავისი ხმალი თავად ალექსანდრე ბარიატინსკის გადასცა.** უდიდესი იყო რუსული არმიის ტრიუმფი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, როცა გამარჯვებულმა იმპერატორმა ბალკანეთსა და კავკასიაში ოსმალეთის იმპერიას ცხვირ-პირი გაუერთიანა, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, **ალასკის გაყიდვა** ყველა ამ აღმაფრენას საფუძველს აცლის.

სხვათაშორის, **ვლადიმერ პუტინის** ადმინისტრაცია რომ დაკარგულ ალასკას მისტირის, ეს კარგად გამოჩნდა უკრაინაში ატეხილი ომის ფონზე, როცა 2022 წლის 6 ივლისს რუსეთის სახელმწიფო დუმის თავმჯდომარე **ვიაჩესლავ ვოლოდინმა** ამერიკის შეერთებულ შტატებს შეახსენა, რომ **ალასკა ოდესღაც რუსეთს ეკუთვნოდა და თუ ამერიკა რუსული აქტივების სანქცირებასა და გაყინვას გააგრძელებს, მაშინ რუსეთს შეუძლია ალასკის დაბრუნება მოითხოვოს, რაც ვაშინგტონისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება!**

ბუნებრივად დაისმის კითხვა — **რა ესაქმებოდა რუსეთს დედამიწის მეორე ნახევარსფეროში და როგორ აღმოჩნდა ალასკა რუსეთის იმპერიის ფარგლებში?**

ამ კითხვაზე ერთგვაროვანი პასუხი, ალბათ, არავინ იცის, მაგრამ ფაქტია, რომ **ალასკა, რომელიც ამერიკის შტატი 1959 წელს გახდა და ტეხასის შტატს ორჯერ აღემატება, ტერიტორიულად 1,72 მილიონი კვადრატული კილომეტრია.** ის ძალიან მდიდარია ოქროთი, რომელიც აქ მე-19 საუკუნის 40-იან წლებში აღმოაჩინეს. მიჩნეულია, რომ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ალასკის შესვლას სათავე დაუდო ცნობილმა დანიელმა ზღვაოსანმა **ვიტუს ბერინგმა,** რომელიც რუსთხელმწიფის ქვეშევრდომი იყო. **1741 წელს ბერინგმა პირველმა გადალახა ის სრუტე, რომელიც დღეს მისსავე სახელს ატარებს და კაცობრიობის ისტორიაში პირველმა შეისწავლა ალასკის სანაპირო.** ამის შემდეგ ალასკაში ჩავიდა რუსი ვაჭარი **გრიგორი შელიხოვი,** რომელმაც ადგილობრივ ესკიმოსებსა და ალეუტელებს, რომლებიც ალასკაში აზიიდან არიან გადასული, კარტოფილისა და თალგამის ჭამა ასწავლა. **გრიგორი შელიხოვმა ალასკაზე დააფუძნა სავაჭრო-ეკონომიკური კომპანია „დიდება რუსეთს!“ ის ადგილობრივ მოსახლეობაში მართლმადიდებლობას ავრცელებდა და მისიონერულ საქმიანობასაც ეწეოდა.** ნელ-ნელა ასე აღმოჩნდა ალასკა რუსეთის მფლობელობაში, რასაც დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ვერ ეგუებოდნენ. სწორედ მათი წაქეზებითა და იარაღით **1802 წელს ადგილობრივმა ინდიელებმა რუსებს ალასკაზე მიხაილოვსკის ციხე-სიმაგრე, არსენალი, სავაჭრო ფაქტორია და მთელი ავლა-დიდება გადაუწვეს.**

მე-19 საუკუნის 50-იან წლებში, როცა ყირიმის ომში დამარცხებულ რუსეთში საშინელი ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, **იმპერატორი ალექსანდრე მეორე იძულებული გახდა, როტშილდებისგან 15 მილიონი სტერლინგი 5-პროცენტიანი განაკვეთით სესხად აეღო...** ამ ვალის გადახდის დრო ახლოვდებოდა, **ალექსანდრე მეორეს** კი ფული არ ჰქონდა და იმპერატორის ოჯახში დაიბადა იდეა ალასკის გაყიდვის შესახებ, რომლის დაცვაც სულ უფრო და უფრო საშიში ხდებოდა. საქმე ის არის, რომ **ალექსანდრე მეორე შიშობდა, ინგლისელი და ამერიკელი ოქროსმაძიებლები ალასკაში დღე-დღეზე ჯარს შეიყვანდნენ, ხოლო ამოდენა ტერიტორიის დაცვას რუსეთი ვერანაირად ვერ შეძლებდა.** ამიტომ იმპერატორმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და 1866 წელს მოიწვია დიდი კრება, რომელსაც იმპერიის მინისტრები ესწრებოდნენ. ყველამ დაუჭირა მხარი ალასკის გაყიდვას.

შეერთებულ შტატებში ალასკის ყიდვას განსაკუთრებით ლობირებდა მაშინდელი სახელმწიფო მდივანი **უილიამ სიუარდი,** რომელიც შიშობდა, რომ ალასკაზე დიდი ბრიტანეთი ჯარს შეიყვანდა, რაც სამოქალაქო ომშიგამოვლილ ამერიკას ახალ უბედურებასა და ქაოსს მოუტანდა. **საბოლოოდ 1867 წლის 3 მაისს რუსეთის იმპერიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომ-**


რუსეთის მიერ ალასკის გაყიდვის სამარცხვინო ხელშეკრულების გაფორმება. 1867 წლის 30 მარტი


იმპერატორ ალექსანდრე მეორის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი რუსეთის იმპერიის მიერ ალასკის გაყიდვის შესახებ



ქვითარი, რომელიც ადასტურებს, რომ ალასკა 7,2 მილიონ დოლარად არის გაყიდული

# რუსთხელმწიფის მიერ როტშილდების ვალში გაყიდული ალასკა

**ლის ძალითაც ამერიკამ ალასკაში რუსეთს 7 მილიონ 200 ათასი დოლარი გადაუხადა.** ხოლო ზუსტად 155 წლის წინათ, 1867 წლის 18 ოქტომბერს, შედგა ოფიციალური ცერემონია ალასკის ამერიკის შეერთებული შტატებისათვის გადაცემის შესახებ. ცხადია, ამოდენა ტერიტორიის სანაცვლოდ ასეთი თანხა ძალიან ცოტა იყო, მაგრამ მაშინ არავინ იცოდა, თუ ალასკაში არამარტო ოქრო, არამედ ალმასი და, რაც ყველაზე მთავარია, ნავთობისა და გაზის საბადოები აღმოჩნდებოდა! **ცნობისათვის, მაშინდელი 7 მილიონ 200 ათასი დოლარი დღეს დაახლოებით 120 მილიონი დოლარია!** ნავთობსა და გაზზე რომ არაფერი ვთქვათ, მხოლოდ ოქროს ფასი, რომელიც ალასკაზე აღმოაჩინეს, **15 მილიარდ დოლარს** აღემატება. **ალასკის ნავთობი და ბუნებრივი აირი ამერიკის ნავთობპროდუქტების ინდუსტრიაში 25 პროცენტს იკავებს. გარდა ამისა, მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ალასკა ამერიკისთვის თუთიის, სპილენძის, პლატინის, ოქროს, ხე-ტყისა და ზღვის პროდუქტების ერთ-ერთი მთავარი წყაროცაა.** ალასკას ამერიკის ზღვის პროდუქტების ბაზრის 50 პროცენტი უჭირავს. გასულ წელს შტატის მთლიანმა შიდა პროდუქტმა 50 მილიარდ 600 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის 0,2 პროცენტია.

გასათვალისწინებელია, **რომ მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, ალასკა ამერიკისთვის სამხედრო თვალსაზრისითაც სტრატეგიული ტერიტორიაა.** გასული საუკუნიდან ალასკაზე არაერთი მასშტაბური სამხედრო ბაზაა განთავსებული, რომლებიც წყნარი ოკეანისა და არქტიკის რეგიონში ამერიკის სტრატეგიულ ინტერესებს იცავს. ალასკა სხვა შტატებთან შედარებით ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ქვეყნების დედაქალაქებთან უმოკლესი მანძილებითაა დაშორებული, რაც ამერიკისთვის შტატის სტრატეგიულ მნიშვნელობას ზრდის. ამასთანავე, ალასკის სამხედრო ბაზები წყნარი ოკეანის რეგიონში ჩინეთსა და რუსეთთან კონკურენციაში გადამწყვეტ როლს ასრულებს!





**რუსთხელმწიფე ალექსანდრე**

**მეორეს რომ სცოდნოდა, ალასკის სახით რა სიმდიდრეს უშვებდა ხელიდან, ალბათ, დაფიქრდებოდა და ამ სისულელეს არ ჩაიდენდა, მაგრამ იმპერატორმა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა და იმპერიის მიწა გაყიდა!**

აქედან გამომდინარე, **ხელმწიფე, რომელმაც რუსეთს არაერთი ძლევამოსილი გამარჯვება მოუტანა და ქვეყნის საზღვრები მცირე აზიაში, ცენტრალურ აზიასა და ამურისპირეთში მნიშვნელოვნად განავრცო, თავისდა უნებურად, იქცა გამყიდველად და რუსეთის სერგო ორჯონიკიძედ!**

შთამომავლობა **ალექსანდრე მეორეს** არ პატიობს და არც აპატიებს იმ ალასკის გაყიდვას, რომელსაც რუსეთის იმპერია, ფაქტობრივად, ვერ აკონტროლებდა, მაგრამ მაინც რუსეთის მიწა იყო! შთამომავლობა არც თანამედროვეობის სერგო ორჯონიკიძეებს — **ედუარდ შევარდნაძესა და მის შვილობილს — სააკაშვილს** აპატიებს აფხაზეთის, სამაჩაბლოს, კოდორის, ახალგორისა და გარეჯის გაყიდვას!

რუსებმა ის მაინც იციან, იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ რუსეთის იმპერიას ალასკა **7 მილიონ 200 ათას დოლარად** რომ გაუყიდა! ჩვენ, ქართველებმა, კი ჯერჯერობით ვერაფერი დავადგინეთ იმის შესახებ, საქართველოს გაყიდვაში შევარდნაძემ უფრო მეტი ფული აიღო თუ მისმა შვილობილმა და მემკვიდრე სააკაშვილმა!

> რუსებმა ის მაინც იციან, იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ რუსეთის იმპერიას ალასკა 7 მილიონ 200 ათას დოლარად რომ გაუყიდა! ჩვენ, ქართველებმა, კი ჯერჯერობით ვერაფერი დავადგინეთ იმის შესახებ, საქართველოს გაყიდვაში შევარდნაძემ უფრო მეტი ფული აიღო თუ მისმა მემკვიდრე სააკაშვილმა!

*დიტო ჩუბინიძე*

# 2 გუბაზი, როგორც არესტოვიჩი!

***წინა კვირას ხაზარ-ფაშა მამუკასთან ერთად „ხანდაზმულ თაღლითად“ შერაცხილი ჭუტა წერეთლის ტელეკანალიზაცია „პირველში“ გუბაზ სანიკიძე გამოვიდა და საქართველო გაუგონარ ღალატში დაადანაშაულა — არსებობს სერიოზული ეჭვები, რომ ირანული დრონები, რომლითაც პუტინი უკრაინის ქალაქებს ბომბავს, რუსეთის ტერიტორიაზე სწორედ ჩვენი ხელისუფლების მეშვეობით ხვდება და ეს საქმე კარგად არის გამოსაკვლევიო.***

***განა იმავეს არ ამბობდა ზელენსკის უშტატო მრჩეველი ოლექსი არესტოვიჩი — რუსეთს სამხედრო ტვირთები საქართველოს გავლით მიეწოდებაო...***

გუბაზ სანიკიძეს, **რომელსაც მიზეზთა და მიზეზთა გამო ვერიდები, ამჯერად ამ საშინელ ცილისწამებას, როგორც იტყვიან, „ვერ გავუტარებ“,** რადგან საქმე არა რომელიმე პარტიასა და ინტერესჯგუფს, არამედ ჩვენს სამშობლოს ეხება!

**ჩემო გუბაზ,** არ მინდოდა ამის თქმა, რადგან ძალიან ვუფრთხილდები **ბატონი ლევან სანიკიძის** ხსოვნას, რომელსაც შვილივით ვუყვარდი; ასევე არ მინდა, გული ვატკინო **ქალბატონ ირმას,** რომელიც ქართველი ქალის ეტალონად მიმაჩნია, **მაგრამ შენ საქართველოს ისეთი საშინელი შეურაცხყოფა მიაყენე,** როცა ქვეყანა ჩვენს ამომგდებ ირანთან ფარულ სამხედრო კავშირში დაადანაშაულე, რასაც ახლა გეტყვი, ყოველივეს იმსახურებ!

გუბაზ, ასეთი დამპალი ენა რომ გაქვს, სამშობლო რომ ფეხზე გკიდია და **თემურ ალასანიას** მიერ გადმოგდებული სალაფავის გამო შენ და **ვალერი გელბახიანი** მზად ხართ, **ელისტრაკოკილაძის ძინძლიანი საწმერთული** თავზე დაიმხოთ, იმიტომაც გაგძუყნა **სოსო ჯომიდავამ** ბათუმის ცენტრში წლების წინათ. **საზოგადოებას შევახსენებთ, რომ პოლკოვნიკი სოსო ჯომიდავა ის ქართველი ვაჟკაცია, რომელიც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ერთგულ ჯარისკაცებთან ერთად შევარდნაძის მიერ გაყიდული და დასაღუპავად გაწირული სოხუმიდან სულ ბოლოს გამოვიდა.**

**პატივცემულო მკითხველო,** ვისაც „პირველის“ ტელეკანალიზაციაზე გუბაზის გამოსვლა არ გინახავთ, გეტყვით, რომ **ლევან სანიკიძის შვილმა** საკუთარ სამშობლოს სწორედ ის დააბრალა, რასაც უსამშობლო **დავით არახამია,** უსქესო **ოლექსი არესტოვიჩი** და უზნეო **ხატია დეკანოიძე** მთელ თავის სანაცეთთან ერთად ისედაც აბრალებენ — **საქართველო უკრაინის მტრების ბანაკში დგასო!**

**ლევან სანიკიძის შვილმა,** რომელმაც სინდის-ნამუსზე ხელი დიდი ხნის წინათ აიღო, ბევრ უწიგნურსა და გამოშტერებულზე უკეთ იცის, რომ **1625 წლის გაზაფხულზე ვერაგმა შაჰ-აბასმა გიორგი სააკაძესა და ყარჩიხა-ხანს 30-ათასიანი ყიზილბაშური მხედრობა გამოატანა ქართლ-კახეთის საბოლოოდ ამოსაგდებად და ასაოხრებლად, მაგრამ გიორგიმ გაწირა შვილი, უარი თქვა ყველა პატივსა და დიდებაზე, უარი თქვა იმ სალაფავზე, რომელსაც გუბაზი და ვალერი გელბახიანი ასე ხარბად არიან დაწაფებული და ირანელთა არმადა ხარება დღეს, 7 აპრილს, მარტყოფის ველზე დაამიწა!** გუბაზისა და ვალერის გასაკვირად, ქართველთა ბანაკში არ აღმოჩნდა არცერთი მოღალატე, რომელიც შეთქმულებას ყიზილბაშების წინააღმდეგ გასცემდა და **გიორგი სააკაძეს, დავით ჯანდიერს, ელია დიასამიძეს, პაპუნა ვაშაყაშვილსა** და სხვა ქართველ პატრიოტებს საქართველოს გადარჩენის გეგმას ჩაუფლავებდა.

საქართველოს ამომგდები ირანისა და თურქეთის მოკავშირეობა და გულშემატკივრობა საქართველოში ძველთაგანვე ღალატად და ღვთის გმობად იყო მიჩნეული. ქართველ ქალს თურქსა და სპარსელზე გათხოვებას სიკვდილი ერჩია, ისპაჰანისა და სტამბოლის ბაზრები ის წყევლაკრულვიანი ადგილები იყო, სადაც მხოლოდ გაყიდული და დაჩეხილი საქართველოს სისხლი და ხორცი იყიდებოდა! **აქედან გამომდინარე, ყველა ის კონდოტიერი თუ სისხლგაწყალებული, რომელიც სპარსელთა და თურქთა დროშას ემსახურებოდა, საქართველოს ისტორიაში მოღალატის სახელით შევიდა.**

საქართველოში ცნება **„ყიზილბაში“ „დაუძინებელი მტრისა“ და „მოღალატის“** სინონიმია. ამდენად, ქართველი კაცისთვის იმაზე უფრო დიდი შეურაცხყოფა არ არსებობს, ვიდრე ჩვენთვის იმის დაბრალება, რომ უკრაინის წინააღმდეგ ყიზილბაშურ ირანს, ანუ სპარსეთს ფარულად შევეკარით და თეირანის მიერ წარმოებულ დრონებს რუსეთში ვაგზავნით!





**აი, ეს დაგვაბრალეს ოლექსი არესტოვიჩმა და გუბაზ სანიკიძემ, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ბიძია თემურ ალასანია თავისი საძუკნეთის მეშვეობით უსათუოდ წაახალისებდა და „ცერეუს“ თუ „კაგებეს“ გაერთიანებული შტაბიდან ერთ-ორ უზალთუნს გადმოუგდებდა!**

კახთა მეფე **ალექსანდრე მეორეს** არ უყვარდა ყიზილბაშები, მაგრამ მუხთალმა წუთისოფელმა მისი საქმე ისე წაიყვანა, რომ **1605 წლის 12 მარტს** ძეგამის სასახლეში სწორედ ვერაგი შაჰ-აბასის მიერ გაყიზილბაშებული შვილის — **კონსტანტინე-მირზას** წერა გახდა.

**ლევან სანიკიძესაც არ უყვარდა ყიზილბაშები...**

**ალბათ, სწორედ იმიტომაა, რომ ყიზილბაში გუბაზ სანიკიძე ქართველ ლევან სანიკიძეს ყოველდღე კლავს!** რაც შეეხება არესტოვიჩს, ის ყველაზე ბედნიერი კაცია, **რადგან არც ყიზილბაშების და არც თავისი სულიერი ძმის გუბაზ სანიკიძის შესახებ სმენია რაიმე!**

*დიტო ჩუბინიძე*



ლევან სანიკიძე

## ყიზილბაში გუბაზ სანიკიძე ქართველ ლევან სანიკიძეს ყოველდღე კლავს!



# „ახალგორის ბინაში რუსთაველიც დავტოვე და ვაჟაც, კოსტა ხეთაგუროვიც და ნართებიც...“

## მერაბ ბალაშვილი:

# სააკაშვილსა და ბურჯანაძეს ეს რომ არ გაეკეთებინათ, დღეს ახალგორი და ქსნის ხეობა ისევ საქართველოს იურისდიქციაში იქნებოდა!

***საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ივანე მაჩაბლისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი მერაბ ბალაშვილი ახალგორის ტრაგედიას იხსენებს და იმ გაუგონარი ღალატის ანატომიაზე გვესაუბრება, როცა სააკაშვილმა და მისმა ხროვამ ქსნის ხეობა ტყვიის გასროლის გარეშე რუსეთს გადაულოცეს! გაზეთ „ახალგორის“ ყოფილი მთავარი რედაქტორი ყველაზე მეტად იმ 3 ათას წიგნზე დარდობს, რომელიც სააკაშვილის მიერ გაყიდულ ახალგორში დარჩა:***

— 2008 წლის აგვისტოს მდგომარეობით, როცა სააკაშვილმა და ნაცების ბანდამ მთელი ქსნის ხეობა ტყვიის გასროლის გარეშე პუტინს ჩააბარეს, ახალგორის რაიონში 65 სოფელი და ერთი დაბა იყო. ამ სოფლებში სიცოცხლე ჩქეფდა...**გაუგონარი ღალატის მიუხედავად, ხეობის ოცდაათამდე სოფელში ქართველობა ისევ ფეხზე დგას, მამა-პაპის ფუძეს არ ტოვებს და საქართველოს გაერთიანების პერსპექტივას იმედით შეჰყურებს...**

**— ბატონო მერაბ, მაინც როდის და როგორ დაიწყო სააკაშვილმა ქსნის ხეობის ჩაბარება? ეს ერთბაშად მოხდა თუ ამ გაუგონარ ღალატს წინ გარკვეული ისტორია უძღოდა?**

— 2008 წლის აგვისტოს ომამდე სააკაშვილის ხელისუფლებამ მოიფიქრა ვითომდა „გენიალური“ რამ — **„ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით“** გამოიგონეს და შექმნეს **„სამხრეთ ოსეთის ახალი ადმინისტრაცია“** ცენტრით სოფელ **ქურთაში.** ამ „ადმინისტრაციაში“ შეიყვანეს ცხინვალის რაიონის ის ქართული სოფლები, სადაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია ვრცელდებოდა. რადგან ამ სოფლების ბაზაზე შექმნილი ტერიტორიული ერთეული პატარა იყო, სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ახალგორის რაიონი გამოიყვანეს მცხეთა-მთიანეთის გუბერნიიდან და ისე, რომ ხალხისთვის არაფერი უკითხავთ, ხელმეორედ შეიყვანეს **ახალ „სამხრეთ ოსეთში“.** მოკლედ, მეორე „სამხრეთ ოსეთი“ შეგვიქმნეს, გეგონებათ, ერთი სეპარატისტული „სამხრეთ ოსეთი“ არ გვყოფნიდა!

ამ მოღალატეობრივ გადაწყვეტილებას სამი დეპუტატის გარდა ხმა მისცა მთელმა პარლამენტმა. სამიდან ერთ-ერთი მოწინააღმდეგე გახლდათ **გოჩა ჯოჯუა...** ამას სულ მალე მოაყოლეს ე.წ. „საპრეზიდენტო არჩევნები“ და დიდი გაყალბებით „პრეზიდენტად“ აირჩიეს **დიმიტრი სანაკოევი,** რის შედეგადაც საქართველოში ოთხი „პრეზიდენტი“ მოგვევლინა — **საქართველოს „პრეზიდენტი“, ქურთის „პრეზიდენტი“, ცხინვალის „პრეზიდენტი“ და აფხაზეთის „პრეზიდენტი“.** ამ ყველაფერს დაემატა ისიც, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებამდე საქართველოს პარლამენტმა, რომლის თავმჯდომარეც **ნინო ბურჯანაძე** გახლდათ, **აღადგინა ზვიად გამსახურდიას მიერ გაუქმებული „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“.**

### როცა სააკაშვილის ბრძანებით ნინო ბურჯანაძემ ეს გააკეთა, ახალგორი და ქსნის ხეობა სწორედ მაშინ დაიკარგა, რასაც ყველა ჭკვიანი და დაკვირვებული ახალგორელი გრძნობდა!

სააკაშვილსა და ბურჯანაძეს ეს რომ არ გაეკეთებინათ, დღეს ახალგორი და ქსნის ხეობა ისევ საქართველოს იურისდიქციის ქვეშ იქნებოდა და ქვეყანას დამატებით 10 ათასი დევნილი არ ეყოლებოდა!

**— კი მაგრამ, რატომ გააკეთა ეს სააკაშვილმა, ამით რა ხეირი ნახა?**

— გააკეთა იმიტომ, რომ მოღალატეა და რუსეთს ყველა ჩანაფიქრი აუსრულა! **სააკაშვილმა ზუსტად გაიმეორა სერგო ორჯონიკიძისა და ქართველი კომუნისტების ღალატი, რომლებმაც 1922 წელს თითქმის მთლიანად ქართველებით დასახლებული ახალგორის რაიონი ახლად შექმნილ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“ შეიყვანეს!** ამ ფაქტს მაშინ დუშეთის მაზრაში შემავალი ქსნის თემის პროტესტი მოჰყვა, რაც საქართველოს მაშინდელმა ცეკამ არ გაითვალისწინა. აი, ერთ-ერთი საჩივარი, რომელიც 1922 წლის 21 ოქტომბერს ახალგორიდან თბილისს გააგზავნეს —

*„გამოგვეცხადა, რომ ქსნის თემი უნდა შეუერთდეს სამხრეთ ოსეთს. რამდენიმე მიზეზის გამო ჩვენ ეს ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია. ცხინვალი დაშორებულია ჩვენის თემიდან 50 ვერსით მეტზე და ამ სიშორეზე სიარული საჩივრებისა თუ სხვადასხვა საქმის გამო შეუძლებელია, რადგან მოითხოვს მუშა-კაცისგან მოცდენას წასვლა-წამოსვლაში არანაკლებ სამიოთხი დღისა, რაიც დამღუპველი იქნება ჩვენთვის მაშინ, როცა დუშეთი ჩვენზეა 18 ვერსის მანძილზე... რაც უნდა გაგვიჭირდეს, ჩვენ ცხინვალში ვერ ვივლით და ბევრი უსამართლობა და გაჭირვება დარჩება მთავრობას გაუგებარი. ამნაირად სულ აგვეწეწება საქმე. ამიტომ ვთხოვთ მთავრობას, ისევ მიგვაწეროს დუშეთს და აგვაცდინოს მრავალ გაჭირვებასა და უსიამოვნებას!“*

აი, ასეთი იყო ახალგორელ ქართველთა საჩივარი 1922 წელს, როცა ბოლშევიკებმა **ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“** შექმნეს. მოკლედ, ხალხის ხმა არც კომუნისტებს შეუსმენიათ და არც — სააკაშვილს!

ერთადერთი კაცი და ხელისუფალი, რომელსაც არამარტო ქსნის ხეობელთა გასაჭირი, არამედ, ზოგადად, ქართველი ხალხის ტკივილი გულთან ახლოს მიჰქონდა, ცხონებული





სერგო ორჯონიკიძე

# „მიხეილ სააკაშვილმა ზუსტად გაიმეორა სერგო ორჯონიკიძისა და ქართველი კომუნისტების ღალატი,

**რომლებმაც 1922 წელს თითქმის მთლიანად ქართველებით დასახლებული ახალგორის რაიონი ახლად შექმნილ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“ შეიყვანეს!“**

## კვირგვინოსნები

**ზაზა ხაჩიაშვილი**
*ადვოკატი*



სხვადასხვა სახის **კორუფცია** ყოველთვის იყო საქართველოში კომუნისტების მმართველობიდან დაწყებული და მანამდეც. დამოუკიდებელი რაც გახდა ეს ქვეყანა, ჯერ **შევარდნაძის** დროს გაშალა ფრთები **კორუფციამ.** მახსოვს, იმ პერიოდში ჰესი გაიყიდა ერთი ყუთი შამპანურის ფასად. **ზვიად გამსახურდიასნაირი** პატრიოტი მმართველი უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში პატრიოტების გუნდით, რომლებიც **არც თავად მოიპარავენ და არც სხვას მოაპარვინებენ** სახელმწიფოს კუთვნილ ფულს და ქონებას. მანამდე არაფერი გვეშველება.

„ალია“

**დემურ გიორხელიძე**
*ანალიტიკოსი*



30 წლის წინათ ქართველებს **კლასიკური ევროპის** იმედი ჰქონდათ. ახლა **ტროცკიზმში ჩართულ, ლგბტ პროპაგანდით გამოთაყვანებულ ევროპას** ვხედავთ.

„საერთო გაზეთი“

**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*



როგორც უკრაინის ხელისუფლების, ისე ქართული რადიკალური ოპოზიციის ჩინოსნები **საერთო კოორდინაციით მოქმედებენ** და ამ კოორდინაციის უკან ამერიკელები დგანან.

„პირველი არხი“

**ანზორ თოთაძე**
*დემოგრაფი*



დღეს ქართველი ერის **ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას.** თუ დემოგრაფიული ტენდენციები ასე გაგრძელდება, შეიძლება, უახლოეს 5-6 წელიწადში საქართველოს ყველა რეგიონი, დიდი ქალაქების გარდა, გაუკაცრიელდეს. თუ პროცესი უმართავი გახდება და **ქართველების შეუქცევად ემიგრაციასთან** ერთად უცხოელების შეუქცევადი მიგრაცია გაგრძელდება, გაგრძელდება მიწების უცხოელებზე მიყიდვაც. დიდი ალბათობით, **ქვეყანაში 20 წლის შემდეგ დემოგრაფიული სურათი შეიცვლება და ეთნიკური ქართველი ეროვნულ უმცირესობაში აღმოჩნდება.**

„კვირის პალიტრა“

# „2008 წლის ომი დასრულდა 12 აგვისტოს, ხოლო ოსები და რუსები ახალგორში შემოვიდნენ 15 აგვისტოს!

## თუ სააკაშვილსა და მის ხროვას ახალგორი წინასწარ გაყიდული არ ჰქონდათ, ომისა და საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ როგორ შეიძლებოდა, რუსის ჯარს რაიონი დაეკავებინა?“

**ზვიად გამსახურდია** იყო. არცერთი ცეკას მდივანი და უმაღლესი თანამდებობის პირი ახალგორში არ ჩამოსულა მაშინ, როცა ზვიადი ახალგორში ორჯერ ჩამოვიდა და 1990 წლის 3 სექტემბერს, ჯერ კიდევ კომუნისტების პერიოდში, როცა რესპუბლიკის ხელმძღვანელი **გივი გუმბარიძე** იყო, ხალხის ძალისხმევითა და ზვიად გამსახურდიას ავტორიტეტით, ლენინგორის რაიონი გამოეყო ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს“ და ეწოდა ახალგორი! სხვათაშორის, ამ ყველაფრის ორგანიზატორი გახლდათ აწ განსვენებული ჩემი მეუღლე **მედიკო ჩოხელი,** რომელმაც ზვიად გამსახურდია ახალგორში მოიწვია...

**— პირველად ახალგორს ლენინგორი როდის დაერქვა?**

— ეს მოხდა 1934 წელს, როცა ლენინის გარდაცვალებიდან 10 წლისთავზე რაიონს სახელი შეუცვალეს. მოკლედ, **1990 წლის სექტემბრიდან 18 წელი იარსება რაიონმა აღდგენილი ქართული სახელით, ხოლო 2008 წლის აგვისტოდან, რაც სააკაშვილმა და ნაცებმა ახალგორი ჩააბარეს, ის კვლავ ლენინგორია...** ახალგორის უბედურება დაიწყო 1992 წლის ივნისში, როცა შევარდნაძემ და კიტოვანმა დაგომისში ხელი მოაწერეს მოღალატეობრივ ხელშეკრულებას და რუსის ჯარი — ე.წ. „სამშვიდობოები“ ახალგორის რაიონის სოფელ წინაგარშიც კი შემოიყვანეს, რომელიც ლეხურას ხეობას ეკუთვნის. მოკლედ, **1992 წელს შევარდნაძემ ახალგორის რაიონი ძალით შეჩურთა კონფლიქტის ზონაში. არადა, ოსებს ახალგორის რაიონთან უკვე არავითარი პრეტენზია აღარ ჰქონდათ!** შევარდნაძის დაწყებული ღალატი წარმატებით დაასრულა მისმა მემკვიდრემ სააკაშვილმა და 2008 წლის აგვისტოს ომში ახალგორის რაიონი კოდორის ხეობასთან ერთად უბრძოლველად ჩააბარა!

2008 წლის აგვისტოს ომი დასრულდა 12 აგვისტოს, ხოლო ოსები და რუსები ახალგორში შემოვიდნენ 15 აგვისტოს!

### თუ სააკაშვილსა და მის ხროვას ახალგორი წინასწარ გაყიდული არ ჰქონდათ, ომისა და საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ როგორ შეიძლებოდა, რუსის ჯარს რაიონი დაეკავებინა?

ეს ყოვლად წარმოუდგენელია! აწ გარდაცვლილმა **ლეონარდო დევდარიანმა,** რომელიც რუსეთის გენერლებთან ძალიან დაახლოებული პირი იყო, ერთ-ერთ ინტერვიუში გაიხსენა, რომ იგოეთიდან **ზაზა გოგავა** გაგზავნა **ვანო მერაბიშვილთან** წინადადებით, რომლის თანახმადაც **გენერალი ბორისოვი** მზად იყო, ახალგორში დაემყარებინა წესრიგი, აღეკვეთა მაროდიორობა და გაწმენდილი და დაწყნარებული რაიონი გადაეცა საქართველოს ხელისუფლებისთვის. **როგორც ლეონარდო დევდარიანი იხსენებს, ზაზა გოგავამ მას გადასცა ვანო მერაბიშვილის შემონათვალი — „პირველი უარზეა!“ ანუ სააკაშვილს ეს ტერიტორია გაყიდული ჰქონდა და ახალგორი რუსებს მიუგდო, რათა დამატებით 10 ათასი დევნილი ჰყოლოდა და ევროპა-ამერიკისაგან მილიარდობით დოლარის დახმარება მიეღო.** თუ რა უქნეს იმ ფულს, ჩვენთვის კარგად არის ცნობილი...

**— ახლა რა სიტუაციაა ახალგორში?**

**— 2008 წლის ომამდე ახალგორში გაზეთ „ახალგორის“ რედაქტორი ვიყავი. რუსები და ოსები შემოვიდნენ თუ არა, რედაქცია დაარბიეს და მიწასთან გაასწორეს. გაანადგურეს გაზეთის უნიკალური არქივი.** გაზეთი „ახალგორი“ 1939 წლიდან გამოდიოდა, ყველა ნომერი საგანგებოდ გვქონდა აკინძული და მოვლილი და ყველაფერი დაწვეს... ჩემი ერთი სახლი ე.წ „ბელეტაჟზე“, რომელიც ახალგორის ბაღში მქონდა ნაყიდი, რუსმა მესაზღვრეებმა დაანგრიეს, ხოლო ხე-ტყე გამოიტანეს, დაწვეს და გათბნენ. რაც შეეხება სამოთახიან ბინას, რომელიც კორპუსში მაქვს, დღეს იქ ოსი პოლიციელია შესახლებული, რომელიც ბინიდან ვერ გამომყავს. **ვის არ მივმართე — პარლამენტს, მთავრობას, კულახმეტოვს, ბიბილოვს, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე...** ის პოლიციელი პირდაპირ მეუბნება — შენი იყო, მაგრამ ახლა ბინა ჩემიაო! ახლა, **გაგლოევი** რომ აირჩიეს „პრეზიდენტად“, იმან სამი წლის განმავლობაში ჩაკეტილი ახალგორის გზა გახსნა... ვატყობ, ოსებს ტონი შეცვლილი და შერბილებული აქვთ, ცოტა მომბალი არიან. ვნახოთ, რა იქნება!

**— სახლში რა დაგრჩათ?**

— ყველაზე მეტად წიგნებზე ვდარდობ და ჩემი მეუღლეც იმ წიგნებზე დარდმა გადაიყოლა! 3 ათასზე მეტი წიგნი დამრჩა ბინაში. ისე წამოვედით, ნემსი არ წამოგვიღია, მაგრამ წიგნებზე უფრო არაფერი მედარდება. ახალგორის ბინაში რუსთაველიც დავტოვე და ვაჟაც, კოსტა ხეთაგუროვიც და ნართებიც...

**— რისი იმედი გაქვთ?**

— იმედი მაქვს, რომ ახალგორი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ოთხი რაიონიდან ერთადერთია, რომელსაც ქართველობა არ ტოვებს! იმედი მაქვს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ახალგორში ქართველებსა და ოსებს შორის ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტი არ მომხდარა და ტრადიციული ურთიერთობები ჯერ კიდევ ხელშეუხებელია. **მართალია, ქართული ენა და ქართველობა ჯერჯერობით დისკრიმინირებულია და ყველა სამსახურის უფროსი ეთნიკური ოსია, მაგრამ, როგორც ვატყობ, ოსები ნელნელა გამოდიან ე.წ. გამარჯვებულის ეიფორიიდან.** ის კი არა, შერეული ქორწინებაც კი მოხდა და ქართველმა და ოსმა ოჯახი შექმნეს! თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ 1625 წლის აგვისტოში გიორგი სააკაძემ 2 ათას 500 კაცით ქსნის ხეობაში, დღევანდელ ახალგორის რაიონში, **ქარჩოხის ციხესთან,** ისტორიული ბრძოლა გადაიხადა და 12 ათასი ყიზილბაში გაჟლიტა. ამით სააკაძემ მარაბდის ბრძოლაში განცდილი მარცხის გამო შური იძია... **ქარჩოხის ბრძოლაში,** რომელშიც ქართველთა მხრიდან თავიდან ბოლომდე ქსნის ხეობელები მონაწილეობდნენ, სააკაძემ უმცირესი ზარალი ნახა, სამაგიეროდ, მტრის რიგებში იყო უდიდესი მსხვერპლი. სწორედ იმ ქარჩოხის ციხის აყოლებაზეა ჩვენი უდიდესი სალოცავი, მერვე-მეცხრე საუკუნეებით დათარიღებული **ლომისის წმინდა გიორგი** და ჩემი გვარის ფუძე — **სოფელი ბალაანი.** ცნობილმა ქართველმა მხატვარმა **ნიკო ხერკელაძემ** 2005 წელს დაამზადა ბარელიეფი გიორგი სააკაძის, ფარისა და ხმლის გამოსახულებით, რომელიც მიკრულია ქარჩოხის ციხეზე და ზედ ქართულად წერია, რომ ბარელიეფი ეძღვნება ქარჩოხის ბრძოლაში გიორგი სააკაძის მეთაურობით ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვების 380 წლისთავს. ვიდრე სააკაშვილი დაგვღუპავდა და ომს დაიწყებდა, 2005, 2006 და 2007 წლების სექტემბერში ქარჩოხის ციხესთან მუდამ იმართებოდა სახალხო დღესასწაული „სააკაძეობა“.




## „1992 წელს შევარდნაძემ ახალგორის რაიონი ძალით შეჩურთა კონფლიქტის ზონაში. არადა, ოსებს ახალგორის რაიონთან უკვე არავითარი პრეტენზია აღარ ჰქონდათ!“


გიორგი სააკაძის ბარელიეფი ქარჩოხის ციხეზე

## ამდენი უბედურება მოხდა, 2008 წლის აგვისტოში ქართველებსა და ოსებს ასეთი უბედურება დაგვატყდა თავს, მაგრამ ქარჩოხის ციხესა და მასზე მიკრულ ბარელიეფს ცუდად მაინც არავინ შეხებია და ამის იმედიც მაქვს!

*ესაუბრა* ***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ბექა ნაცვლიშვილი**
*ყოფილი პარლამენტარი, პროფესორი*



უკრაინის **კმარელების მთავრობაზე** ქართული **კმარელების მთავრობა** მახსენდება — ორივეს სჯერა, რომ წარმოადგენს საზოგადოების ავანგარდს და აქვს ამბიცია ახალი, ნეოლიბერალური ერის ფორმირებისა.

„იმედინიუსი“

**სერგო მასხარაშვილი**
*ისტორიკოსი*



ქართველებსა და უკრაინელებს შორის შუღლის გაღვივების მოსურნე **პუტინის მონაა!** მატრაკვეცა და თვითმარქვია „უკრაინელები“ **არესტოვიჩი, ბრაუნ-არახამია** და მსგავსი არსებები ბანალური პარაზიტები არიან, რომლებსაც მავნებლობის მეტი არაფერი ხელეწიფებათ.

დღეს საქართველოსთვის გამარჯვებისა და გამთლიანების მომტანი ერთადერთი გზა **მშვიდობის შენარჩუნებაა,** ვინც საქართველოში არეულობას ცდილობს, ის საქართველოს მტერია!

„იმედინიუსი“

**მამუკა გვეძეხია**
*ექსპერტი*



კი ბატონო, წინა ხელისუფლების ბრალია, რომ **რუსებთან უვიზო რეჟიმია.** ეს მათი პოლიტიკური ცეტობა იყო, მაგრამ ამ ხელისუფლებამ მაინც შეაჩეროს პროცესი, თორემ ჩვენს **თვალსა და ხელს შუა იცვლება ეთნიკური სურათი.**

„ახალი თაობა“

**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ ლიდერი, პარლამენტარი*



„ქართული ოცნება“ **სამართლიანობის აღდგენის იდეით** და ლოზუნგით მოვიდა და **ერთ-ერთი ყველაზე უსამართლო და დამნაშავე** ხალხი დაგვასვეს თავზე.

„ინტერპრესნიუსი“

# პატიმარ სააკაშვილის ცინიზმი საკითხავი

## სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2022 წლის №9-44

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

**მიხეილ სააკაშვილი** თავის მემუარებში ხაზგასმით იხსენებს 2008 წლის **ნატოს ბუქარესტის სამიტს,** რომელზეც ელოდა, რომ საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი ეგრეთ წოდებულ **მაპ**-ს მიანიჭებდა, ანუ ნატოს წევრობის კანდიდატად აღიარებდა!

მემუარისტი მოგვითხრობს, **პრეზიდენტ ბუშის** მიწვევით როგორ გაემგზავრა თებერვალში ვაშინგტონში, ხოლო დილის 8 საათზე ოფიციალურ შეხვედრამდე ორი საათით ადრე, სააკაშვილის თქმით, მას გერმანიის კანცლერმა **მერკელმა** დაურეკა. სანამ მერკელთან სატელეფონო საუბარს გაიხსენებდა, სააკაშვილმა გერმანიის კანცლერის მოკლე პორტრეტი დახატა:

***„მერკელი 2008 წელს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე გავიცანი. ვუთხარი, რომ აღფრთოვანებული ვარ იმით, რომ გდრ-ის მკვიდრი გერმანიის კანცლერი გახდა და მიუნხენში ჩვენს შეხვედრას სიმბოლურად მივიჩნევდი.*** *სწორედ მიუნხენიდან გადასცემდა რადიო „თავისუფლება“, რომლის მეშვეობით ჩვენ სრულ ინფორმაციას ვღებულობდით.* ***მე არ ვეპირფერებოდი, მართლა ასე ვფიქრობდი. მისმა რეაქციამ გამაოცა: შინაგანად მთლიანად შეიკუმშა. იდეალებზე საუბარმა აშკარად დაძაბა და გააღიზიანა. შემდეგ მომიყვა, რომ სტუდენტობის პერიოდში საქართველოში იმოგზაურა, სადაც რამდენიმე არასასიამოვნო თავგადასავალი გადახდა.*** *„სავიზო რეჟიმის დარღვევისთვის“ მილიციის განყოფილებაში მოუწია რაღაც დროის გატარება.* ***„მაშინ მივხვდი, რომ საქართველო ქაოტური, კორუმპირებული ქვეყანაა, რომელიც ძალიან შორს არის ევროპისაგან“ — მითხრა მან მიუნხენში*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 213).*

ამის შემდეგ სააკაშვილი იხსენებს, რა სატელეფონო საუბარი შედგა მასსა და გერმანიის კანცლერს შორის:

***„მერკელთან ჩვეულებრივ ინგლისურად ვსაუბრობთ, მაგრამ იმ დღეს სპეციალურად, ქართველი თარჯიმნის მეშვეობით, გერმანულად მელაპარაკებოდა. მისი სიტყვების ქვეტექსტი ასეთი იყო: შენ თეთრ სახლში მიდიხარ. მე მინდა, გაგაფრთხილო — რასაც არ უნდა დაგპირდეს ბუში, მე არ დავუშვებ, რომ საქართველომ ბუქარესტში ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმა — მაპი მიიღოს.*** *შემდეგ გავიგე, რომ* ***მერკელი სთავაზობდა ამერიკელებს, როგორც კომფორტულ ვარიანტს, უკრაინა მიეღოთ ნატოს წევრად, ოღონდ არა საქართველო.*** *მერკელი უცნაურ კონცეფციას იზიარებდა —* ***საქართველო ევროპა არ არის. ამერიკელები მას კატეგორიულად არ ეთანხმებოდნენ და უკრაინისა და საქართველოს განცალკევებაზე უარი თქვეს“*** *(იქვე, გვ. 213).*

მერკელთან სატელეფონო საუბრის შინაარსი კი სააკაშვილმა ორ საათში თეთრ სახლში მისულმა **ბუშს** ჩაუკაკლა:

***„როდესაც ბუშს მერკელის უაპელაციო პოზიცია გადავეცი, მან ეს მნიშვნელოვნად არ ჩათვალა. მითხრა — შენ სხვა საქმეებს მიხედე, მაგაზე ნუ ნერვიულობ, იმ ქალბატონს მე მივხედავ.*** *მართლაც, 2008 წლამდე არასოდეს არ ყოფილა პრეცედენტი, რომ გერმანიას ან დასავლეთის რომელიმე ქვეყანას აშშ-ის გადაწყვეტილება ნატოს გაფართოების შესახებ დაებლოკა.* ***ამერიკელებმა იცოდნენ, რომ შეიძლება გერმანიამ ერთხანს იხმაუროს, საფრანგეთმა შეიძლება იხმაუროს, შეიძლება ორივემ სანაცვლოდ რამე მოითხოვოს, მაგრამ ასეთი რამ, რომ გადაწყვეტილება განგებ დაებლოკათ, ალიანსის ისტორიას არ ახსოვს. პირველად ეს სწორედ ბუქარესტში მოხდა“*** *(იქვე, გვ. 214).*

ფაქტია, რომ რუსული გაზისა და რუსული ბაზრის გამო, სწორედ გერმანიისა და საფრანგეთის კატეგორიული უარის შემდეგ არ მისცეს ბუქარესტის სამიტზე საქართველოს **მაპი! ანუ სწორედ გერმანიისა და საფრანგეთის უარყოფითი პოზიციის შედეგი იყო, რომ სულ რამდენიმე თვეში რუსეთი საქართველოში შემოიჭრა — თითქმის, ასპროცენტიანი გარანტიით შეიძლება ითქვას, რომ ნატოს წევრობის კანდიდატ საქართველოში რუსეთი ვერ გაბედავდა იმის გაკეთებას, რაც 2008 წლის აგვისტოში ჩაიდინა!**

შემდეგ სააკაშვილი იგონებს, რამხელა პატივი ხვდა წილად, როდესაც ბუშმა მის ძაღლებთან ერთად გაასეირნა:

***„თებერვალში ბუშთან შეხვედრამ ძალიან მეგობრულად ჩაიარა. ამჯერად ოვალურ ოფისში შეხვედრას მეორე სართულზე ლანჩი დაემატა.*** *ლანჩის წინ ბუშმა მთხოვა, ეზოში მისი ორი ძაღლი ერთად გაგვესეირნებინა და ამ დროს მეკითხება:* ***„რას შვრება თქვენი ადგილობრივი „კაციშვილიო“*** *(პატარკაციშვილს გულისხმობდა),* ***დაწყნარდა თუ ისევ გებრძვის?“,*** *რაზედაც ვუპასუხე, რომ რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა.* ***„ეეჰ, ზოგიერთს რა ბედი აქვს, არადა, ჩემი აქაური ოლიგარქი ცას გამოეკერა“. „ვისზე მეუბნები-მეთქი?“ „ვისზე და ჯორჯ სოროსზეო“ — მომიგო ბუშმა*** *(ეს ის დრო იყო, როცა სოროსმა გამოაცხადა, ნებისმიერ ფულს დავხარჯავ ბუშთან საბრძოლველადო)“ (იქვე, გვ. 214).*

როგორც ხედავთ, სააკაშვილმა **ძალიან საგულისხმო ინფორმაცია** წამოაყრანტალა: **პირველი — ბადრი პატარკაციშვილთან მის დაპირისპირებაზე თვით ჯორჯ ბუშიც კი საქმის კურსში იყო და სულაც არ არის გამორიცხული, ბადრი პატარკაციშვილის განეიტრალებაში სააკაშვილს ამერიკული სპეცსამსახურებიც დაეხმარნენ!**

მეორე — **სააკაშვილმა პირდაპირ თქვა, ბუში ჯორჯ სოროსის „მარილზე გასვლაზე“ — გარდაცვალებაზე ოცნებობდაო!**

და, რაც მთავარია, **სააკაშვილმა ეს ყველაფერი თავის მემუარებში საქვეყნოდ მხოლოდ იმიტომ გამოაჭენა, რომ, უბრალოდ, თავისი მნიშვნელოვნება წარმოეჩინა, აი, როგორი ნდობით აღსავსე ურთიერთობები მქონდა ამერიკის პრეზიდენტთან, რომ ასეთ რაღაცებსაც კი მიმხელდაო!**

ამის შემდეგ **სააკაშვილი** იხსენებს რუსეთის პრეზიდენტ **პუტინთან** მორიგ შეხვედრას:

***„ბუშთან შეხვედრის შემდეგ მოსკოვში დსთ არაფორმალური სამიტი ჩატარდა. მთავარი თემა კოსოვოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება იყო, რასაც მხარს ამერიკა უჭერდა.*** *ნოვოოგარევოში პუტინთან 50-წუთიანი საუბარი გვქონდა. ყველაზე მთავარი პირველ ხუთ წუთში ითქვა.* ***პუტინმა პირდაპირ გვითხრა: მეგობრებო, დასავლეთში თქვენი მეგობარი მრჩევლები კოსოვოს აღიარებისთვის ემზადებიან. ჩვენ საპასუხო ზომების მიღება მოგვიწევს. თქვენ, გეთაყვა, დამშვიდდით, ცოტა მტკივნეული იქნება, მაგრამ ტრაგედია არ არის. თქვენ უნდა იცოდეთ, ეს არ არის თქვენ წინააღმდეგ მიმართული ზომები. ეს არის რეაქცია თქვენს მოკავშირეებზე. ამ სიტყვებზე მომენტალურად შევეპასუხე, რომ ჩვენ ჩვენი საკითხების გადაწყვეტა რუსეთთან გვსურს და საჭირო არ არის მესამე ქვეყნების ჩარევა. მოდით, ვისაუბროთ იმაზე, რაც თქვენ გაღელვებთ. თუ არ გინდათ, ჩვენ ნატოში რომ შევიდეთ, გარანტია მოგვეცით, რომ ტერიტორიულ მთლიანობას აღვადგენთ და ჩვენც ნატოში არ გავწევრიანდებით. თუ არ გინდათ, ამერიკასთან რომ ვიმეგობროთ, შემოგვთავაზეთ მოდელი, როგორ შეიძლება ამის გაკეთება. რაზეც პუტინმა მიპასუხა, რომ მატარებელმა ჩაიარა და ჩვენთან ვაჭრობას არ აპირებს. ის აქ იმიტომ კი არ არის, რომ ჩვენი გეოპოლიტიკური ორიენტაცია ჩვენს ტერიტორიებზე გაცვალოს, არსებობს რუსეთის ეროვნული ინტერესები“*** *(იქვე, გვ. 215).*

შემდეგ მემუარისტი ყვება, როგორ გადაერთო **ვლადიმერ პუტინი** ქართული დელეგაციის წევრთან **გრიგოლ ვაშაძესთან** ქართული ღვინის დაყენების საიდუმლოებებზე საუბარზე:

***„პუტინი დარჩენილი 45 წუთი ჩვენს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს გრიგოლ ვაშაძეს, რომელიც დელეგაციის წევრი იყო, გამოცდილ მეღვინეს, ეკითხებოდა, როგორ კეთდება ქართული ღვინოო.*** *მას ძალიან „აინტერესებდა“ ეს ტექნოლოგია, თუმცა, 2006 წელს თავად დაუწესა ემბარგო რუსეთში ქართული ღვინის ექსპორტს და, საერთოდ, ღვინის დიდი მოყვარული არც არის. უბრალოდ, საუბარს ახანგრძლივებდა. როდესაც წამოვდექით, მისი ბოლო სიტყვები იყო:* ***„ყმაწვილებო, თქვენი დასავლეთელი მეგობრები ბევრ კარგს გპირდებიან, მაგრამ დაპირებებს არასოდეს ასრულებენ. მე კარგს არაფერს გპირდებით, მაგრამ იცოდეთ, შემსრულებელი ვარ“.*** *გასვლისას გაჩერდა ბეჟუაშვილთან, დაჟინებით ჩააშტერდა და წარმოთქვა:* ***„ეს ხომ ნამდვილი ლავრენტი პავლოვიჩია, პირდაპირ გამოცხადებული“.*** *ეს პუტინთან ჩემი ბოლო შეხვედრა იყო“ (იქვე, გვ. 215).*

ანუ სააკაშვილი **პუტინს** ისე ევაჭრებოდა, თითქოს ბუქარესტის სამიტზე, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გამართული, საქართველოსთვის გაწევრიანების სამოქმედო პროგრამის — **მაპ-ის** მინიჭება უკვე ჯიბეში ედო და, როგორც იტყვიან, თავი ქუდში ჰქონდა!

**ამ პრეზიდენტად წოდებულ იდიოტს, მიუხედავად გერმანიის კანცლერის მიერ ღია გაფრთხილებისა, იმის ჭკუაც კი არ ეყო, რომ რუსეთის პრეზიდენტისთვის ასე პირდაპირ არ დაეყენებინა საკითხი: საქართველო ნატოში წევრიანდება და თუ ეს არ გინდათ, მაშინ დაგვაბრუნებინეთ ჩვენი ტერიტორიები — აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონიო!**

და კიდევ: პუტინი სააკაშვილს პირდაპირ და ღიად დაემუქრა, რომ დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების საპასუხოდ სწორედ საქართველოს საწინააღმდეგოდ აპირებდა საპასუხო ნაბიჯების გადადგმას!

პუტინის პასუხი შეიძლებოდა, ორიდან ერთი ყოფილიყო:

**ან დასავლეთის მიერ სერბეთისაგან კოსოვოს გამოყოფის აღიარების მსგავსად, რუსეთს ეღიარებინა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობა“, ანდა, უარესი სცენარი — რუსეთი საქართველოში ტანკების არმადით შემოჭრილიყო!**

და სააკაშვილმაც, რომელსაც პირდაპირ უთხრა პუტინმა — დანაპირებს შეგისრულებო — ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ რუსეთის მიერ მუქარის აღსრულებას მაქსიმალურად დახმარებოდა აგვისტოს ომის წინა დღეებში, როდესაც თავი გაყო კრემლის მიერ დაგებულ უმარტივეს ხაფანგში და დაღუპა ქვეყანა!

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***



მიხეილ სააკაშვილი:

36

# ჯორჯ ბუში წუხდა, სოროსი „ცას გამოეკერაო“!







# კახა საბახტარიშვილი:

# ნარეცხი ქაფი ტოქსიკურია, რომელიც ფოსფატებს, კიბოს გამომწვევ პარაბენებს და უამრავ კანცეროგენურ ნივთიერებას შეიცავს!

***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი იმ საშიშროების შესახებ გვაფრთხილებს, რომელიც ჭურჭლისა და ტანსაცმლის სარეცხი საშუალებების არასწორ გამოყენებას უკავშირდება და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ შპალერის, ხალიჩებისა და ფარდაგების გარეშე სახლი ბევრად უფრო ჯანმრთელი და უსაფრთხოა:***

— ბოლო დროს მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვნად იმატა იმ ადამიანთა რიცხვმა, რომლებიც ალერგიითა და კანის სნეულებით არიან დაავადებული. ეს რიცხვი განსაკუთრებით მატულობს ქალებში. სპეციალისტები ამ ყველაფრის ძირითად მიზეზად დიასახლისების მიერ სხვადასხვა სარეცხი თუ საწმენდი საშუალებების გამოყენებას ასახელებენ. დიასახლისმა, რომელიც გამუდმებით სამზარეულოში ტრიალებს, თითქმის არაფერი იცის იმ ხიფათის შესახებ, რომელიც მას ტანსაცმლის, იატაკის, ფანჯრისა და ჭურჭლის სარეცხი ან საწმენდი საშუალებებისგან შეიძლება მიადგეს. ბევრი მათგანი ზემოხსენებულ სარეცხ და საწმენდ საშუალებებს ქაფის მოცულობისა და ინტენსივობის მიხედვით არჩევს, რაც შეცდომაა. ერთხელ და სამუდამოდ გვახსოვდეს — ნებისმიერ სარეცხ და საწმენდ საშუალებას ფერის, ფასის, სურნელისა და მოქმედების ეფექტურობის მიუხედავად, აერთიანებს ერთი რამ — **ყველა მათგანი შეიცავს ზედაპირულად აქტიურ ქიმიურ ნივთიერებას!**

**— მაინც რას წარმოადგენს ზედაპირულად აქტიური ქიმიური ნივთიერება?**

— მაგალითად, რუსულ ენაზე ამ შემცველობას გამოარჩევს ასეთი აბრევიატურა — **„პავ“** („პავერხნოსტნოე აქტივნოე ვეშჩესტვო“). ეს ნივთიერება საჭიროა იმისთვის, რათა გასარეცხ ან გასაწმენდ საგანს ჭუჭყი და ცხიმი მოშორდეს. სწორედ ზედაპირულად აქტიური ქიმიური ნივთიერება წარმოქმნის ქაფს. რაც უფრო მაღალია მისი კონცენტრაცია, მით მეტია სარეცხი ან საწმენდი საშუალების ქაფის მოცულობა. მოგეხსენებათ, ცხიმით დასვრილი ხელი ძნელი დასაბანია, თანაც დიასახლისების უმრავლესობა სარეცხ და საწმენდ საშუალებებს დაუცველი ხელებით, რეზინის ხელთათმანების გარეშე იყენებს, რაც ჯანმრთელობისთვის ფრიად საშიშია. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ განუწყვეტლივ გვიხდება კონტაქტი გარემოში არსებულ ბაქტერიებთან, მიკრობებთან, მაგრამ ამის მიუხედავად, კანი ყოველთვის დანამულია და ცხიმის თხელი აპკით არის დაფარული. სწორედ იგი იცავს ჩვენს ორგანიზმს ბაქტერიებისა და ათასობით აგენტის შემოჭრისგან. როდესაც ჭურჭლისა და ტანსაცმლის სარეცხი ან საწმენდი საშუალება უშუალოდ ეხება ჩვენს კანს, ზედაპირულად აქტიური ქიმიური ნივთიერების ზემოქმედების შედეგად ჩვენი კანის დამცავი ცხიმოვანი ფენა „ჩამოიშლება“, ისპობა, კანი შრება და ბაქტერიების, მიკროორგანიზმებისა და საშიში აგენტებისათვის იოლი სამიზნე ხდება. ამიტომ ჩვენი რჩევაა — **ჭურჭელიც კი აუცილებლად რეზინის ხელთათმანებით გავრეცხოთ!**

**— ეს უსაფრთხოების სრული გარანტიაა?**

— არა, რადგან ჭურჭლის ან ტანსაცმლის გარეცხვის შემდეგ, თუ სუფთა წყალში ხანგრძლივად არ ამოვავლეთ, **ზედაპირულად აქტიური ქიმიური ნივთიერება** ადგილზე დარჩება და, შესაბამისად, ორგანიზმშიც ადვილად მოხვდება. **ეს საშიში ქიმიური ნივთიერება ილექება ღვიძლში, ტვინში, ცხიმოვან ქსოვილში და ანზიანებს მთელ ორგანიზმს.** მამაკაცებში ზედაპირულად აქტიურმა ქიმიურმა ნივთიერებამ შესაძლოა, უშვილობაც კი გამოიწვიოს. ამიტომ გახსოვდეთ: **არასოდეს იყიდოთ ისეთი სარეცხი საშუალება, რომელშიც ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების შემცველობა 5 პროცენტს აღემატება!**

საერთოდ, ტანსაცმლისა და ჭურჭლის სარეცხ და საწმენდ საშუალებებში დასაშვებად მიიჩნევენ ამ ნივთიერების 30-პროცენტიან კონცენტრაციასაც კი, მაგრამ ასეთ სარეცხ საშუალებებთან მუშაობისას ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. არაერთხელ მომხდარა, როცა ტანსაცმლის ან ჭურჭლის სარეცხი საშუალება საკვები პროდუქტების გასასუფთავებლად გამოუყენებიათ. როგორც წესი, ასეთ დროს შედეგი ყოველთვის სავალალოა და ყველაზე უკეთეს შემთხვევაში მძიმე მოწამვლით მთავრდება. ასე რომ, სარეცხი და საწმენდი საშუალებები საკვებ პროდუქტებს არ გააკაროთ!

**— ეკოლოგიურად სუფთა სარეცხი და საწმენდი საშუალებებიც ხომ არსებობს?**

— ცხადია, არსებობს, სადაც ცხიმის მოსაშორებლად არა ზედაპირულად აქტიური ქიმიური ნივთიერება, არამედ ბუნებრივი, მცენარეული საშუალებები გამოიყენება! ეს საშუალებები აღინიშნება შესაბამისი მარკირებით — **„ეკო“**. ნარეცხი ქაფი ტოქსიკურია, რომელიც ფოსფატებს, კიბოს გამომწვევ პარაბენებს და უამრავ კანცეროგენურ ნივთიერებას შეიცავს. ამიტომ, თუ სახლს კანალიზაცია არა აქვს, ქაფი უსაფრთხო და ძნელად მისაწვდომ ადგილას უნდა გადავღვაროთ!



**— ხშირია ე.წ. ანტიბაქტერიული სარეცხი და საწმენდი საშუალებების რეკლამა. რას იტყვით ამის შესახებ?**

— არც ისე დიდი ხნის წინათ ერთ-ერთ **ანტიბაქტერიულ საპონს** ასეთ რეკლამას უკეთებდნენ — **„საპონი შეიცავს ანტიბაქტერიულ ტრიკლოზანს, რომელიც ნებისმიერ მავნე ბაქტერიას ანადგურებს!“** ეს მართლაც ასეა და ტრიკლოზანი, რომელიც 1960 წელს შვეიცარიაში შექმნეს, უძლიერესი ანტიმიკრობული და ანტიბაქტერიული თვისებებით გამოირჩევა. იგი ხელს უშლის ობის სპორებისა და ბაქტერიების გამრავლებას, ასევე აქვს ანთების საწინააღმდეგო ეფექტი. აქედან გამომდინარე, მეცნიერებმა ტრიკლოზანი მიიჩნიეს, როგორც გადატრიალება ქიმიურ მრეწველობაში და შეურიეს კბილის პასტებს, შამპუნებს, სარეცხ ფხვნილებს, საპნებსა და თვით საბავშვო სათამაშოებსაც კი. საუბედუროდ, აღმოჩნდა, რომ ტრიკლოზანი ყველაფერთან ერთად ადამიანისთვის სასარგებლო ბაქტერიებსაც ანადგურებს, ხოლო ტრიკლოზანიანი სარეცხი საშუალებების გამოყენება იწვევს მიკროორგანიზმების მუტაციასა და მეცნიერებისათვის უცნობი ბაქტერიების წარმოშობას. ამიტომ დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირის ქვეყნებში აკრძალულია და ყველაფერი, რაც კი მას შეიცავს, ხმარებიდან გახლავთ ამოღებული! ასევე გვახსოვდეს — ზოგიერთ საპონსა და სარეცხ თუ საწმენდ საშუალებაში შერეული ტრიკლოზანი ნოყიერ ნიადაგს ქმნის პროსტატის, მკერდის და საკვერცხის კიბოს განვითარებისთვის, ამიტომ ერთხელ და სამუდამოდ შევთანხმდეთ იმაზე, რომ ნებისმიერი პროდუქცია, რომელიც ტრიკლოზანს შეიცავს, არავითარ შემთხვევაში სახლს არ უნდა გააკაროთ!

**„არასოდეს იყიდოთ ისეთი სარეცხი საშუალება, რომელშიც ზედაპირულად აქტიური ქიმიური ნივთიერებების შემცველობა 5 პროცენტს აღემატება!“**

**— ამდენ სარეცხ და საწმენდ საშუალებებში მაინც რომელზე უნდა შევაჩეროთ არჩევანი?**

— **თუ ეკონომიური მდგომარეობა საშუალებას გვაძლევს, ვიყიდოთ ძვირადღირებული, მაგრამ ნატურალურ კომპონენტებზე დამზადებული სარეცხი საშუალებები!** ბიუჯეტის სიმწირის შემთხვევაში შევიძინოთ 72-პროცენტიანი ე.წ. **„სარეცხი საპონი“** და ხშირად გამოვიყენოთ! მისგან შესაძლებელია ძალიან ეფექტური და უვნებელი ჭურჭლის სარეცხი საშუალების დამზადება. **რეცეპტი ასეთია: 200-გრამიანი და 72-პროცენტიანი ე.წ. „სარეცხი საპონი“ გავხეხოთ, ამ გახეხილი მასის ერთი მესამედი, დაახლოებით 70 გრამი, ჩავყაროთ 1 ლიტრიან ქილაში, შევავსოთ მდუღარე წყლით, დავამატოთ 2 სუფრის კოვზი ნიშადურის სპირტი და კარგად მოვურიოთ.** როცა საპონი წყალში ბოლომდე გაიხსნება, ნიშადურის სუნის გასაქრობად მიღებულ მასას დავუმატოთ **4-5 წვეთი მანდარინის, ფორთოხლის ან ნებისმიერი მცენარის ეთერზეთი,** რომელიც აფთიაქში თავისუფლად იყიდება. როდესაც მასა გაცივდება, მივიღებთ გელის კონსისტენციის საუკეთესო ჭურჭლის სარეცხ საშუალებას, რომელიც ცხიმებსაც ადვილად მოაშორებს და უსაფრთხოც იქნება! **გირჩევთ, ასეთი წესით დამზადებული ჭურჭლის სარეცხი საშუალებით ბავშვების ჭურჭელი გარეცხოთ, რათა პატარებს დიათეზი, ალერგიები და კანზე გამონაყარები ავარიდოთ!**

**— ამ ბოლო დროს ძალიან მოდური და ტრენდული გახდა ხალიჩები. ფაქტია, რომ ბაზრობებსა და სპეციალურ მაღაზიებში ხალიჩებისა და ე.წ. ფარდაგების დიდი არჩევანია, რომელ მათგანს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა?**

— ხალიჩები და ფარდაგები ბუნებრივიც არის და სინთეტიკურიც. **უმჯობესია, სინთეტიკური ხალიჩები და ფარდაგები, რადგან ნატურალურ ქსოვილში და განსაკუთრებით შალში ბევრი მტვერი გროვდება.** თუ ოთახი ნესტიანია, მასში ადვილად იბუდებს სოკო და ობი. გარდა ამისა, ბუნებრივი ქსოვილისგან დამზადებული ხალიჩები და ფარდაგები ტკიპების ბუდეა! ასე რომ, ბუნებრივს სინთეტიკური ხალიჩა და ფარდაგი სჯობს!

**— ტკიპები სინთეტიკურ ხალიჩასა და ფარდაგს არ ეკარებიან?**

— ხელოვნურ გარემოში ისინი ვერ ძლებენ და მალე იღუპებიან! სინთეტიკურ ხალიჩებსა და ფარდაგებს ის ნაკლი აქვთ, რომ, თუ მაღალი ტექნოლოგიით არ არის დამზადებული, მაღალ ტემპერატურაზე ფენოლსა და ფორმალდეჰიდს გამოყოფენ, რაც ასევე კიბოს გამომწვევია!

**— როგორ უნდა ამოვიცნოთ, რომ სინთეტიკური ხალიჩა და ფარდაგი დაბალი ტექნოლოგიით არის დამზადებული?**

— თუ სინთეტიკურ ხალიჩასა და ფარდაგს მკვეთრი სუნი აქვს, არ იყიდოთ, კიბოს იწვევს! საერთოდ კი, როგორც შპალერის, ისე ხალიჩებისა და ფარდაგების გარეშე სახლი ბევრად უფრო ჯანმრთელი და უსაფრთხოა!



**„ბუნებრივი ქსოვილისგან დამზადებული ხალიჩები და ფარდაგები ტკიპების ბუდეა! ამ მხრივ ბუნებრივს სინთეტიკური ხალიჩა და ფარდაგი სჯობს!“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***თანამედროვე მსოფლიოსა და საქართველოში მიმდინარე პროცესებს აფასებს ამერიკელი ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი, რომელიც ჩვენთან საუბარს იწყებს დიდ ბრიტანეთში ახალი პრემიერ-მინისტრის, წარმოშობით ინდოელი რიში სუნაკის დანიშვნით:***





# რიში კაპურიდან რიში სუნაკამდე

— როდესაც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრად წარმოშობით ინდოელი **რიში სუნაკი** აირჩიეს, თანამედროვე ბრიტანეთის ისტორია **რიში კაპურიდან რიში სუნაკამდე** მოექცა. პირველი რიში ცნობილი ინდოელი მსახიობი იყო, რომელიც დიდი ბრიტანეთის დედოფლის — **ელიზაბეთ მეორის** მმართველობის დასაწყისში — 1952 წელს დაიბადა, ხოლო მეორე რიში პრემიერად აირჩიეს ამავე ელიზაბეთის მმართველობის ბოლოს — მისი გარდაცვალების წელსვე — 2022 წლის შემოდგომაზე. ესე იგი, ზუსტად 70 წლის შემდეგ. ამასთან,

## რიში სუნაკი დაბადებულია საუთჰემპტონში, რომლის პორტიდანაც 1912 წელს, ზუსტად 110 წლის წინათ, ლეგენდარული „ტიტანიკი“ გავიდა. ეს იყო ამ ძვირადღირებული გემის პირველი და უკანასკნელი რეისი.

**ამიტომ ბრიტანეთი ფრთხილად იყოს, ვინაიდან ისტორიას თამაში და უცნაური დამთხვევები უყვარს, ისე არ მოხდეს, რომ სუნაკის ხელში ბრიტანეთი „ტიტანიკივით“ ჩაიძიროს.** არ ვუსურვებ ბრიტანეთს ტანის თამაშს და თუკი ის მაინც ჩაიძირება, ეს იქნება კონსერვატიული პარტიის დასასრული.

**— რუსეთ-უკრაინის ომში ბრიტანეთი ერთ-ერთი გამოკვეთილი მხარეა...**

— **ზელენსკიმ** უკრაინაში კი მიიწვია, მაგრამ **სუნაკმა** შეუთვალა — ჩვენ გავაგრძელებთ უკრაინის მხარდაჭერას, მაგრამ უკრაინაში როდის ჩამოვალ, არ ვიცი, უამრავი საქმე მაქვსო. არადა, სუნაკმა ძალიან კარგად უწყის, რომ ზელენსკი და მისი კორუმპირებული მთავრობა მფარველების იმედად ცხოვრობენ და ეს დიდხანს არ გასტანს. **ამიტომაც არ სურს მას ჩასაძირად განწირულ ზელენსკის გემში ჩაჯდომა, უნდა, რომ დიდი ბრიტანეთი გამოიყვანოს იმ არეულობიდან, რაშიც ბორის ჯონსონმა და ლიზ ტრასმა მოახვედრა.** ასე რომ, ბრიტანეთს პრობლემები სახლში აქვს, ეს ეხება ელექტროენერგიის გაძვირებას და ინფლაციას. ისიც ნათელია, რომ, რაც კი არასწორად ხდება დიდ ბრიტანეთსა და დანარჩენ მსოფლიოში, ამაზე მეტი წილი პასუხისმგებლობა ამერიკას ეკისრება.

**— შემთხვევითია, რომ ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკას ინდური წარმომავლობის პერსონები მართავენ? ინდური ფესვები აქვს ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ კამალა ჰარისსაც...**

— მოსახლეობის რაოდენობით ინდოეთი ჩინეთს არ ჩამოუვარდება, ძნელი სათქმელია, რა აქვთ ჩაფიქრებული, მთავარია, გიგანტების დაპირისპირებაში საქართველო გადარჩეს. რიში სუნაკს და მის ოჯახს რუსეთში მნიშვნელოვანი ინვესტიციები აქვთ — გახსოვდეთ, მსოფლიოში რა პოლიტიკური პროცესებიც არ უნდა იყოს, ბიზნესი პირველ ადგილზეა და საქმეს არავინ აჩერებს. ვინაიდან **სუნაკი** ბანკირია, ბინძურ პოლიტიკაზე მეტად ეკონომიკაზე იქნება ორიენტირებული, უკრაინას დაეხმარება, მაგრამ ყოველგვარი ფანატიზმის გარეშე. ამასთან, სუნაკი და მისი მეუღლე ამერიკაში სწავლობდნენ და ძალიან კარგად იციან ამერიკული პოლიტიკური ელიტის ინტერესები და თამაშები. თანაც, **სუნაკის მეუღლე მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი კაცის, მილიარდერ ნარაიანა მურთის ქალიშვილია.** ეს გასათვალისწინებელია.

## ბაიდენი შეშფოთებულია, მდიდარი ხალხის მეშვეობით რუსეთმა გავლენა არ მოახდინოს ბრიტანეთის ინდოელ პრემიერზე და საბოლოოდ ამ ყველაფერმა უარი არ ათქმევინოს დაშლილ და მორალურად გაკოტრებულ ამერიკაზე.

**— საით იხრება ომის ვექტორი, რამდენიმე დღის წინათ ზელენსკიმ განაცხადა: მსოფლიო ვერ ამჩნევს, რა ხდება, ზოგს ეძინება, ზოგი კი უკვე ჩაძინებულიაო. ახსენებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს (ოსეთს)...**

— რამდენიმე დღეა ზელენსკიმ რიტორიკა შეცვალა, უკრაინის რეჟიმი ომს ცუდად აგებს, მჟღავნდება მათი ნაცისტური წარმომავლობა და ბრძოლის მეთოდები. უკრაინელ ხალხს საზარბაზნე ხორცად იყენებენ, ქვეყანაში კორუფციაა, კორუფციაა ამერიკაშიც და ეს, უპირველესად, ეხება **ჯო ბაიდენსა და მის შვილს,** რომელთაც ფულის შოვნის მეტი სხვა პოლიტიკა არც ჰქონიათ. სხვათაშორის, ისიც მგონია, რომ ბაიდენს აშანტაჟებენ უკრაინაში მისი ოჯახის კორუფციული ბიზნეს-გარიგებების გამოც. სხვა მხრივ, ბაიდენი ისეთივე მოღალატეა, როგორიც იყო **ჯონ მაკ-კეინი.** ომი და პოლიტიკა მათთვის ბიზნესია, ფულის გამომუშავების გზა. უპირველესად, ბაიდენმა პასუხი უნდა აგოს ამერიკელი ხალხის წინაშე — ავკანიანებთან ომზე, არეულობებსა და ინფლაციაზე.

რაც შეეხება ზელენსკის მიერ აფხაზეთის ხსენებას, მისი პირიდან ამოსული ყოველი სიტყვა საგულდაგულოდაა დაწერილი და ის, როგორც მსახიობი, მხოლოდ ახმოვანებს. **ზელენსკი სააკაშვილზე უკეთესი მსახიობია და ბევრად უფრო დამაჯერებელი.**

**— 8 ნოემბერს ამერიკაში შუალედური არჩევნებია...**

— იმედი მაქვს, ბაიდენის პოზიციები უკან გადაიწევს და ამერიკული პოლიტიკა უკეთესი გახდება. თუ რესპუბლიკელები უმრავლესობას მოიპოვებენ პალატასა და სენატში, ვფიქრობ, უკრაინაში შეიზღუდება სამხედრო ტექნიკისა და დიდი ფულადი სახსრების მიწოდება. მათ იციან, რომ თანხა იმისათვის არ იხარჯება, რისთვისაც აძლევენ. **რესპუბლიკელთა გამარჯვება რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებას ნიშნავს და უკრაინის ომში საქართველოს ჩართვას გამორიცხავს.**

## სხვათაშორის, იმასაც ვფიქრობ, უკრაინის ომის რეალური მიზანი ნატოსა და ევროკავშირის განადგურება ხომ არ არის?!





*ჯეფრი სილვერმანი:*

# ფრთხილად, დიდი ბრიტანეთი „ტიტანიკივით“ არ ჩაიძიროს!

## ვიმედოვნებ, უკრაინაში დენაციფიკაცია მოხდება და ორივე მხრიდან სისხლის სამართლის პასუხისმგებელი პირები სასამართლოს წინაშე წარდგებიან.

**— არსებობს თუ არა ომში საქართველოს ჩაბმის საშიშროება?**

— საქართველო **ბიძინა ივანიშვილმა** დაიფარა ომში ჩაბმისგან. დიახ, მას ჩუმი დიპლომატია აქვს, ვინც ხელისუფლებაშია, უთხრას, რომ საქართველო არ ჩაერთვება ბინძურ გეოპოლიტიკურ თამაშებში და არ იქნება მსხვერპლად შეწირული. საქართველოს მთავრობა — **ირაკლი ღარიბაშვილი** მოქმედებს მაღალი პასუხისმგებლობით. მისი ნაბიჯები მამხნევებს მეც, როგორც ამერიკელს, რომელიც დიდი ხანია, საქართველოშია და ბოლო წლები კახეთში ცხოვრობს.

## კახელი კაცივით პირდაპირი ვარ – არავის მისცეთ საქართველოში სიტუაციის არევის უფლება, მკაცრად უნდა გაკონტროლდეს უკრაინიდან ჩამოსული ყველა პირი, არ დაგავიწყდეთ სააკაშვილის ქართველი სნაიპერები, რომლებიც უკრაინაში ხალხს ხოცავდნენ.

როდესაც ამათ უკრაინიდან გამოუშვებენ, საქართველოში ისინი ისევ შეეცდებიან თავისი ნიშის დაკავებას და უკანონო გარიგებების დადებას.

**— ამ ყველაფერს სააკაშვილთან კავშირი აქვს?**

— სააკაშვილს კავშირი ჰქონდა ამ ყველაფერთან და ახლა რას ფიქრობს, ეს მხოლოდ დედამისმა გიული ალასანიამ იცის. სააკაშვილის მიმართ ისტორია კეთილგანწყობილი არ იქნება, ყველა დანაშაულზე, რაც კი მისი პრეზიდენტობის დროს მოხდა, პასუხს მოსთხოვენ. **ყველას ახსოვდეს, როდესაც მოთმინების ფიალა ივსება, ხალხი უკან აღარ იხევს და ქუჩაში გამოდის.** გასულ კვირას შემოდგომის სუსხით შეციებული ფრანგები გარეთ გამოვარდნენ და აცხადებდნენ, ზელენსკის გამო შიმშილი და გაყინვა არ გვინდაო. ევროკომისიის პრეზიდენტ **ურსულა ფონ დერ ლაიენს** პირდაპირ შეუძახეს: **ურსულა, მოკეტეო!** (გაყინვა არ უნდათ არც გერმანელებს, არც — იტალიელებს, სადაც კომუნალური გადასახადები არნახულად გაძვირდა). ურსულა ისედაც გამოძიების ქვეშ იმყოფება, საქმე ეხება კოვიდის ვაქცინებთან დაკავშირებულ კონტრაქტებს. აქაური ოპოზიციონერები, იმის ნაცვლად, რომ დასკვნები გამოიტანონ, ივანიშვილის ოჯახის წევრებზე ზელენსკის მიერ სანქციების დაწესებას მიესალმებიან და ისევ ივანიშვილის სანქცირებას ითხოვენ.

## უნდა დასრულდეს ამათი თავნებობა, ვიღაც გამოვიდეს და ფრანგების მაგალითზე ამ ოპოზიციას ხმამაღლა უთხრას: მოკეტეთ, დაასრულეთ ეს მარაზმი!

*ესაუბრა*

***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**ზურაბ გურიელიძე**
*ზოოპარკის დირექტორი*



თუ კარგად გაწვრთნილი არ არის, **ნებისმიერი დიდი ძაღლი შეიძლება სახიფათო გახდეს.** 2020-21-22 წლებში ამერიკაში **ძაღლების თავდასხმის ფატალურად დასრულებული სტატისტიკა** ვნახე და აშკარა ლიდერია პიტბული, თუმცა, არის ლაბრადორიც, ფრანგული ბულდოგიც, ამერიკული ბულდოგიც, გერმანული ნაგაზიც, ჩვეულებრივი უჯიშო ძაღლებიც... ამიტომ საჭიროა სიფრთხილე.

„კვირის პალიტრა“

**ნინო ჩხეიძე**
*მომღერალი*



როდესაც გადაცემაში **მსუბუქი თემები** გვაქვს, ეს იქნება მუსიკა, იუმორი თუ ყვითელი ამბები, თავს ისე ვგრძნობ, როგორც თევზი წყალში. **მძიმე თემების** დროს ცოტა ვიკეტები. ჩემი მაინც გართობა და ცეკვა-სიმღერაა, რითიც შემიყვარა ხალხმა.

„სარკე“

**ხათუნა იოსელიანი**
*ამერიკაში მცხოვრები მსახიობი*



თუ **ფილმში გაშიშვლება** იყო საჭირო, რეჟისორები მოკრძალებით მაპარებდნენ, მაგრამ, თუ ჩავთვლიდი, რომ ფილმს ეს სცენა სჭირდებოდა, ვთანხმდებოდი.

„კვირის პალიტრა“

**ოთარ ყვითელაშვილი**
*გიტარისტი*



ყველაზე დიდი ვარსკვლავი **ხალხის აღიარება** და სიყვარულია.

„კვირის პალიტრა“

# „გასაკვირი ის უფრო იქნებოდა, კარგად რომ ვიყოთ!“



*იმ ფონზე, როცა ევროსასამართლომ „ციანიდის საქმისთვის“ მსჯავრდებულ დეკანოზ გიორგი მამალაძეს საბოლოო ვერდიქტი დღე-დღეზე უნდა გამოუტანოს, საპატრიარქო ე.წ. ტელეჟურნალისტების, ანუ სინამდვილეში მიკროფონიანი ჭინკების თარეშის შესაკავებლად და აღსაკვეთად ეკლესიის კუთვნილ ტერიტორიაზე რეგულაციებს აწესებს. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სულიერი მოძღვარი, ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, მიტროპოლიტი ქრისტეფორე (ომარ წამალაიძე) ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას ეხმიანება და განგაშის ზარებს არისხებს:*

## მიტროპოლიტი ქრისტეფორე (წამალაიძე):

## როდესაც ეკლესია პოლიტიზებულია და ათასი ჯურის აგენტებისა თუ მაღალჩინოსნების თავშესაფარი ხდება, საპატრიარქოში ვიღაცას ციანიდის შეტანის სურვილი გაუჩნდება, ხოლო ვიღაცას – გველის შხამის!

— როდესაც ეკლესია პოლიტიზებულია და ათასი ჯურის აგენტებისა თუ მაღალჩინოსნების თავშესაფარი ხდება, საპატრიარქოში ვიღაცას ციანიდის შეტანის სურვილი გაუჩნდება, ხოლო ვიღაცას — გველის შხამის. **ისე, უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში ჩვენს საპატრიარქოს საწამლავი და სამსალა არ შემოჰკლებია, რადგან მრავალი მღვდელმთავარი ფრიად საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა.** თუ გვინდა, რომ ასეთი სკანდალები თავიდან ავიცილოთ, ეკლესიაში საეჭვო რეპუტაციის ადამიანები არ უნდა მივიღოთ! არ შეიძლება ყაჩაღის, ჰომოსექსუალისა და ქურდის ეპისკოპოსად კურთხევა და გამორჩევა. ასეთები, „დიდისჯულის კანონის“ თანახმად, ექვემდებარებიან საეკლესიო ხარისხის აყრას, ხოლო მათი მაკურთხებლებიც ავტომატურად უმძიმეს სასჯელს იმსახურებენ!

**— მეუფე ქრისტეფორე, ევროსასამართლომ დღე-დღეზე უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება დეკანოზ გიორგი მამალაძის შესახებ, რომელიც „ციანიდის საქმეზეა“ მსჯავრდებული. როგორ ფიქრობთ, სტრასბურგი დეკანოზს გაამართლებს თუ არა?**

— სტრასბურგის გადაწყვეტილებაზე უფრო მთავარია, სინამდვილეში რა განზრახულობით მოქმედებდა დეკანოზი. პატრიარქს ძალიან დიდი ხანია, კარგად ვიცნობ, ის ნამდვილი დიპლომატია და ვიცი მისი გავლენების შესახებ. თუ პატრიარქი მოინდომებდა, დეკანოზ მამალაძეს ხელს ვერც ახლებდნენ და ვერც დაიჭერდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ილია მეორემ მისი დაცვა არ ისურვა. სტრასბურგმა შესაძლოა, დეკანოზ მამალაძის ბრალეულობის საკითხი განიხილოს, მაგრამ განა სტრასბურგი აწონის იმ ცოდვას, რაც საპატრიარქოსა და ჩვენს ეკლესიაში ტრიალებს? **მიმაჩნია, რომ ე.წ. „ციანიდის სკანდალი“ ამ დონეზე არ უნდა გახმაურებულიყო.**




## პატრიარქს ხმა თავიდანვე უნდა ამოეღო და ერთხელ და სამუდამოდ ეთქვა, იყო თუ არა დამნაშავე დეკანოზი გიორგი მამალაძე!

**— რაკი პატრიარქი ამ საქმეში არ ჩაერია, ე.ი. რა გამოდის?**

— გამოდის, რომ რაღაცაშია საქმე!

**— ოფიციალურად აცხადებენ, თითქოს დეკანოზი გიორგი მამალაძე მიზნად ისახავდა პატრიარქის პირადი მდივნის შორენა თეთრუაშვილის მოწამვლას ან მისთვის პროვოკაციის მოწყობას. რა გავლენები აქვს შორენას ისეთი, რომ მის მოსაშორებლად მსგავსი ოპერაცია დაიგეგმა?**

## – საპატრიარქოში შორენა თეთრუაშვილის გავლენები ძალიან დიდია. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, ვფიქრობ, რომ პატრიარქის პირადი მდივანი სპეცსამსახურის სტაჟიანი თანამშრომელია.

ეს ქალი 40 წელია, საპატრიარქოში ტრიალებს და ყველას შესახებ ყველაფერი იცის... შორენა ფარისეველი და დაუნდობელი ადამიანია. არაერთხელ მომიყოლია საპატრიარქოში მომხდარი სამარცხვინო ამბავი, როდესაც თეთრუაშვილმა ოდიკის წამოსაღებად მისულს, პატრიარქი დამიმალა და მომატყუა — ილია მეორეს სძინავსო... არადა, ამ დროს კარის ღრიჭოდან ჩემი თვალით დავინახე ილია მეორე, რომელიც 15-16 წლის ბიჭებს ელაპარაკებოდა და წონასწორობადაკარგულმა შევყვირე — **ბოლოს და ბოლოს, გამაგებინეთ, ეს საპატრიარქოა თუ „კაგებეს“ ფილიალი-მეთქი?!**

**არაერთხელ მითქვამს და ვიტყვი — 1992 წელს წმინდა სინოდში, პატრიარქის თამადობით, 13 მღვდელმთავარი ვიყავით და აქედან დოკუმენტურად და ანკეტურად დადასტურებულია, რომ 10 მღვდელმთავარი „კაგებეს“ აგენტი იყო!** გეკითხებით, ქვეყანა, რომელსაც ასეთი ეკლესია აქვს და ასეთი მღვდელმთავრები ჰყავს, გაიმარჯვებს? ცხადია, ვერა! აქედან გამომდინარე, რატომ უკვირს ვინმეს ის მდგომარეობა, რა დღეშიც ქართველი ხალხი და ჩვენი საქართველოა ჩავარდნილი? გასაკვირი ის უფრო იქნებოდა, კარგად რომ ვიყოთ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***




## კვირგვინოსნები

**ნინო ნადირაძე**
*ექიმი*



ბიჭის დედა ვარ და ზუსტად ვიცი, **ცოლს რომ მოიყვანს, იმ სხვისი შვილის თვალზე ერთი ცრემლი რომ დავინახო,** მე თვითონ დავთხრი ჩემს საკუთარ შვილს თვალებს! აი ასე! და ქონების გაყოფის დედაც, ჩემი შვილიშვილებისთვის მინდა ზუსტადაც ყველაფერი!

„ალია“

**ირმა ჭაჭადუა**
*ნიკოლოზ ბასილაშვილის ადვოკატი*



**ბასილაშვილმა** სანამ სასამართლოში არ შეიტანა განქორწინებაზე მოთხოვნა, **ქალბატონი ნელი** არც ფიქრობდა ამაზე. 2018 წლის ბოლომდე ხელი არ ჰქონდათ გაწერილი. ამ პერიოდის განმავლობაშიც არის **ქალბატონი ნელის** მიმოწერები, როდესაც **ბატონ ნიკოლოზს** სახლში ეპატიჟება. თუ მოძალადე იყო, სახლში რატომ ეპატიჟებოდა?

„სარკე“

**გივი სიხარულიძე**
*მწვრთნელი, მსახიობი*



ბედნიერი ვარ, **ნიკოლოზ ბასილაშვილი** რომ გაამართლეს... ვერავინ დამაჯერებს, რომ მან ნელიზე იძალადა.

„რეზონანსი“

**მერაბ კვიცარიძე**
*ექიმი*



**ათჯერ** რომ დავიბადო, **ათივეჯერ** ქუთაისში ვიცხოვრებ და **ათივეჯერ** ქეთევანი იქნება ჩემი მეუღლე!

„სარკე“

**ნანა ლორთქიფანიძე**
*მსახიობი*



**სამჯერ ვიყავი გათხოვილი და სამივეჯერ დიდი სიყვარულით შევქმენი ოჯახი.** დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი იმას, რომ გვერდზე მყოლოდა საყვარელი მამაკაცი.

„თბილისელები“



# გია ქაჯარავა: ეგეც ნავალნი არ გვყავდეს, სააკაშვილზე საწამლავს არავინ დახარჯავს!

***გასულ კვირას ვალერი გელბახიანმა თავის დაცვის ქვეშ მყოფ მიხეილ სააკაშვილზე ახალი ინფორმაცია გაავრცელა: პაციენტს იგივე სიმპტომები აქვს, რაც ალექსეი ნავალნის და ეჭვი მაქვს, რუსული შხამით არის მოწამლულიო... რამდენად სარწმუნოა ეს განცხადება და ვის ინტერესებში შეიძლება შედიოდეს სააკაშვილის გასვლა მარილზე, ამის შესახებ თავისი მოსაზრება გაგვიზიარა ცნობილმა რეჟისორმა გია ქაჯარავამ:***

— სააკაშვილს აქ არავინ მოწამლავს და პროვოკაციებს ნუ აწყობენ. არც ის იციან, ნავალნი რით მოწამლეს და ახლა ყველაფერს ლაპარაკობენ, ღობეყორეს ედებიან, ოღონდაც „ვივამედის“ პაციენტ-ტუსაღი გაამართლონ. მაგაზე საწამლავს არავინ დახარჯავს და ახლა თუკი ვინმე მართლა გააკეთებს ამას, ისევ სააკაშვილის მადიდებლები და ამას არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებს დღევანდელი მთავრობა. ახსოვდეთ ერთი რამ: **თუკი ვინმეს მაინც ჩაფიქრებული აქვს სააკაშვილის მოწამვლა, მთელი ნაცმოძრაობაც რომ მიაყოლოს, საქართველოში პროცესებს მაინც ვერ შეცვლიან, სახელმწიფო გადატრიალებას ვერ მოახდენენ. ნაციონალები წარსულში დარჩნენ, შეიგნონ, მაგათი დრო ამოიწურა!**

**— გგონიათ, სააკაშვილი აღარავის აინტერესებს?**

— სააკაშვილი უკვე წარსულია და მას საქართველოში პოლიტიკური მომავალი არა აქვს, ახლა რამეც რომ მოუვიდეს, შეიძლება, მცირე ჯგუფებს შორის შეხლა-შემოხლა მოხდეს, მაგრამ საბოლოოდ ნაცები სასურველ შედეგს ვერ მიიღებენ! **ნურავის ჰგონია, რომ სააკაშვილის გარდაცვალებას დიდი ამბავი მოჰყვება, მაგის გამო ქვეყანა არ დაიქცევა,** მითუმეტეს, რომ ფარდა აეხადა საქართველოში მისი ჩამოსვლის ვერაგ გეგმას — როგორმე ჩაეთრია საქართველო უკრაინის ომში, ჩვენს ცაში რუსების სამხედრო თვითმფრინავებს ეფრინათ, ჩვენი ქალაქები და სოფლები გაენადგურებინათ. ყველას შუბლში ტყვია გვექნებოდა დამიზნებული, ჩვენს მტრებს ოცნებას აუხდენდა — საქართველო ქართველების გარეშე! **სააკაშვილს ეგონა, ჩამოვიდოდა და ხალხი გაჰყვებოდა. მადლობა ღმერთს, ასე არ მოხდა და ახლა თბილისის თავზე ბომბები არ ცვივა.**

**— დასკვნა სააკაშვილის ავადმყოფობაზე უცხოელმა ექსპერტებმა აქამდე ვერ დადეს, ამასთან ცნობილია, რომ საპყრობილეში პატიმრები ხშირად ყლაპავენ კოვზებს, სხვა ნივთებს, რათა მოხდეს საავადმყოფოში მათი გადაყვანა. სააკაშვილიც ერთგვარ აპრობირებულ მეთოდს მიმართავს, რომ კლინიკაში ყოფნა გაიხანგრძლივოს?**

— ეგ არც კოვზებს გადაყლაპავს და არც სხვა ნივთებს, კარგად ვიცნობ და ვიცი, როგორ უყვარს საკუთარი თავი. **სააკაშვილი იმკის იმას, რაც დათესა და მადლობა თქვას, რომ კლინიკაში ჰყავთ და დაცულია.** თუმცა, მასზე არ უნდა ვრცელდებოდეს სხვა პატიმრებისაგან განსხვავებული პირობები. ერთი ქალბატონი ტელევიზიით გულდათუთქული ლაპარაკობდა — სააკაშვილი პატარა გაპუტული წიწილასავით ზისო... **წიწილა კი არა, პასუხი უნდა აგოს იმ დანაშაულებზე და რაც სასამართლომ მიუსაჯა, ბოლომდე მოიხადოს. მარაზმია უკვე მაგის გულშემატკივრების გამოსვლები.**

**— როგორ გგონიათ, ვინ აარიდა საქართველოს ომი და სისხლისღვრა?**

— მთავრობისა და ირაკლი ღარიბაშვილის გონიერმა პოლიტიკამ! **სააკაშვილი პირდაპირ ომში უკრავდა თავს ჩვენს პირტიტველა ბიჭებს. ხომ გახსოვთ, კოვიდის დროს რა გამოაცხადა — ისევ პრეზიდენტი რომ ვიყო, ყველა აცრილი მეყოლებოდაო. ესე იგი, ყველას გაგვწყვეტდა.** დიახ, სააკაშვილი ჯერ ყველას აგვცრიდა გაურკვეველი ვაქცინებით, მერე კი პირდაპირ ომში ჩაგვრთავდა. მაგას ქართველობის არაფერი აქვს, არ უყვარს ეს ქვეყანა და მზად არის, გაანადგუროს ყველაფერი წმინდა. თანაც ლიბერასტული პარტია დააფუძნა, რომელიც წინააღმდეგობაშია ქართულ ტრადიციებთან. ხომ ხედავთ, რა ამბავია ატეხილი ომბუდსმენის არჩევასთან დაკავშირებით — ყველაზე მეტი ქულა მიანიჭეს ქალს, რომლის ინტერესის უპირველესი საგანია სქესობრივ უმცირესობათა დაცვა!

**— სააკაშვილს პუტინის პატიმრად განიხილავენ...**

— სააკაშვილს ქართული სასამართლოს მიერ პატიმრობა აქვს მისჯილი და დანაშაულებიც აქ ჩაიდინა. ერთადერთი, რაც ბოლო ხანებში უნდოდა, ომში საქართველოს ჩაბმაა, მაგრამ ოცნება ვერ აისრულა. მალე ვნახავთ, როგორი ზამთარი იქნება ევროპაში, ალბათ, ჩვენი 90-იანი წლების მსგავსი. სწორედ ასეთ მდგომარეობაში უნდოდა სააკაშვილს საქართველოს ჩავარდნა, რუსეთთან დაპირისპირება, პოლიგონად ჩვენი ტერიტორიის გადაქცევა.

**— სააკაშვილთან ერთად, ზელენსკის ინტერესიც იყო, ომში ჩავრთულიყავით, შევვარდნილიყავით აფხაზეთში, სამაჩაბლოში...**

— სააკაშვილს უნდოდა, უკრაინასთან ერთად საქართველოც განადგურებულიყო. არადა, თუკი პუტინი ურჩხულია, რაღას აღიზიანებენ, ხომ იცით, ქვას ქვაზე არ დატოვებს. სააკაშვილის მოგებული ომი ჩვენ უკვე ვნახეთ, მთელი მთავრობა წითელი ხიდიდან რომ გარბოდა, ახლაც ომის ქარცეცხლსა და ნანგრევებში უნდოდა ჩვენი მოყოლიება. მადლობა ღმერთს, არაფერი გამოუვიდა! ამ სამყაროში მშვიდობაზე კარგი არაფერია, კიდევ კარგი, გონიერება გამოიჩინა ირაკლი ღარიბაშვილმა და ომი აგვაცილა.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***



**„ნურავის ჰგონია, რომ სააკაშვილის გარდაცვალებას დიდი ამბავი მოჰყვება, მაგის გამო ქვეყანა არ დაიქცევა, მითუმეტეს, რომ ფარდა აეხადა საქართველოში მისი ჩამოსვლის ვერაგ გეგმას!“**



# ეს უნდა



***ნებისმიერ ჩვენგანს ცხოვრებაში სრულიად მოულოდნელად, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, სასამართლოში ან სამართალდამცველ ორგანოებში შეიძლება მოწმედ გამოცხადება მოუწიოს, რაც დიდ პასუხისმგებლობას და პიკანტურ გარემოებებს უკავშირდება. მოწმეს გააჩნია უფლებები და მნიშვნელოვანი მოვალეობებიც, რომელთა ცოდნა თითოეულ მოქალაქეს მოეთხოვება. როგორ იცავს კანონი მოწმის უსაფრთხოებას და რა უნდა ვიცოდეთ, თუ მოწმის ამპლუაში ჩვენების მიცემა მოგვიწევს? გვესაუბრება უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი:***

— უკანონო ქმედების შემსწრე ნებისმიერი პიროვნება, მათ შორის, დაზარალებული და ბრალდებულიც კი გამოძიებაში და სასამართლოში მოწმის სტატუსით იკითხებიან. **შეიძლება პირს უშუალოდ დანაშაულთან მიმართებაში არ გააჩნდეს რაიმე ინფორმაცია, მაგრამ მოეხსენებოდეს დანაშაულის გარშემო არსებული გარემოებები ან ფლობდეს ისეთ ინფორმაციას, რომელიც დანაშაულის გახსნას წაადგება.** მოწმე ვალდებულია, მისცეს სწორი ჩვენება და გაფრთხილებულია, რომ ცრუ ჩვენების შემთხვევაში მას დაეკისრება კონკრეტული პასუხისმგებლობა.

**— ნუთუ ბრალდებულიც მოწმედ გადის?**

— დიახ, და ძალზე ბევრ მოქალაქეს, რომელსაც მოწმედ გამოსვლა უწევს, არა აქვს ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ. უმთავრესი იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც ყველა სხვა მოწმეს, მათ შორის, ბრალდებულსაც — აქვს უფლება, არ მისცეს ჩვენება, თუ მიიჩნევს, რომ ეს ჩვენება შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირადად მისი ან მისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით, **ახლო ნათესავად ითვლება: დედა, მამა, და, ძმა, მეუღლე, შვილი, შვილობილი, მშვილებელი, შვილიშვილი, ბებია, ბაბუა.** თუ მოწმე სასამართლოში აძლევს ჩვენებას, მას მოეთხოვება ფიცის დადება, რომ აუცილებლად სწორ ჩვენებას მისცემს.

**— კიდევ რა შემთხვევაში აქვს მოწმეს ჩვენების მიცემაზე უარის უფლება?**

— **თუ პირს აქვს შიშის განცდა, რომ ჩვენების გამოძალვის მიზნით პოლიციაში მასზე მოხდება ფსიქიკური და ფიზიკური ზემოქმედება, უფლება აქვს, არ მისცეს ჩვენება პოლიციაში და მოითხოვოს, რომ ჩვენება ჩამოართვან სასამართლოში, მოსამართლის თანდასწრებით.** ეს უფლება დაშვებულია იმის გათვალისწინებით, რომ პოლიციაში ადამიანი მაინც გარკვეული ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იმყოფება. ამ შემთხვევაში სასამართლოში ჩატარდება ჩვეულებრივი პროცესი, რომელსაც ესწრება მოწმე, თუნდაც ის იყოს ბრალდებული, მისი ადვოკატი, ასევე გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე. დაკითხვაში მონაწილეობს ორივე — დაცვისა და ბრალდების მხარე.

**— რა მოხდება, თუ მოწმე ჩვენების მიცემას შეგნებულად აარიდებს თავს?**

— თუ საქმე უკვე სასამართლოშია, სადაც მოწმედ დაბარებული პირი უარს აცხადებს მისვლაზე, **მოსამართლეს შეუძლია, პოლიციას დაავალოს, ჩვენების მისაცემად ეს მოქალაქე სასამართლოში იძულების წესით მიიყვანონ.**

**— ვთქვათ ვიღაცამ მაღაზიის ვიტრინა ჩაამსხვრია, ხოლო მახლობლად სათვალთვალო კამერამ მე გზად გავლის დროს დამაფიქსირა. მაქვს თუ არა უფლება, უარი განვაცხადო მოწმედ დადგომაზე?**

— არ გაქვთ უარის უფლება, თუმცა, შეგიძლიათ, ჩვენების მიცემის დროს მიუთითოთ, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში მართალია, დანაშაულის ჩადენის ადგილის მახლობლად აღმოჩნდით, მაინც მხედველობის მიღმა დაგრჩათ, თუ ვინ ჩაიდინა ეს დანაშაული. **ესეც ჩვენების მიცემაში ჩაგეთვლებათ, თუმცა, თუ მოწმედ გამოცხადებაზე უარს იტყვით, არსებობს მუხლი, რომლის ფარგლებშიც დაისჯებით.** ამის მიუხედავად, ძალიან ცუდი პრეცედენტი შექმნა **მოსამართლე ნინო ჩახნაშვილმა.** პროცესი დაცვის მხარის სასარგებლოდ მიმდინარეობდა, მაგრამ მოწმემ, რომელსაც ობიექტურად, დაცვის მხარის სასარგებლოდ უნდა ესაუბრა, განაცხადა, რომ **„უარს ამბობს ჩვენებაზე, რადგან ეს ჩვენება შეიძლება სასამართლომ მის წინააღმდეგ გამოიყენოს...“** ეს იმგვარი პრე-

**„დაცვის პროგრამა გულისხმობს ისეთ ღონისძიებასაც, როცა განსაკუთრებულად მნიშვნელოვან საქმეში მონაწილე მოწმეს პლასტიკური ოპერაციის საშუალებით გარეგნობა შეუცვალონ!“**




## კვირგვინოსნები



**ჯაბა სამუშია**
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი*

უნივერსიტეტში იმ სიმძიმის პრობლემები თუ დავინახე, რომელსაც მე **ფიზიკურად ვერ ავწევ და ვერ შევეჭიდები,** არ ვაპირებ, მომავალში კენჭი ვიყარო.

„პირველი არხი“



**ირაკლი კადაგიშვილი**
*პარლამენტარი*

**ნაციონალურ მოძრაობაში ღრმა კრიზისია,** რამდენიმე დაჯგუფება ებრძვის ერთმანეთს, როგორც ჩანს, **სოსო თოფურიძე** რომელიღაც დაჯგუფების ინტერესებით აკეთებს განცხადებას.

„პირველი არხი“



**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*

„ქართულ ოცნებას“ და **ბიძინა ივანიშვილს** უნდათ პრეზიდენტი, რომელსაც ხის ცხენივით **გამოაგორებენ,** როცა დასჭირდებათ და მერე **შეაგორებენ** უკან.

„ინტერპრესნიუსი“

# ვისოდეთ, თუ ჩვენების მისაემა მოგვიწევს



## გელა ნიკოლაიშვილი:

## ცრუ მოწმეები თუ არ ისჯებიან, ეს სახელმწიფოში სამართლიანობის დეფიციტზე მიუთითებს!

**„კანონი ღაღადებს, რომ, თუ მოწმე ან დაზარალებული ჩვენების მიცემაზე უარს აცხადებს, ეს არის 371-ე მუხლის ფარგლებში დანაშაული, რომელიც 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით ისჯება!“**

ცედენტია, რომ ნებისმიერ მომენტში მოწმემ შეიძლება სათავისოდ გამოიყენოს. არადა, მხოლოდ ბრალდებულს აქვს ამ საბაბით ჩვენების მიცემაზე უარის უფლება! **კანონი ღაღადებს, რომ, თუ მოწმე ან დაზარალებული ჩვენების მიცემაზე უარს აცხადებს, ეს არის 371-ე მუხლის ფარგლებში დანაშაული, რომელიც 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით ისჯება!**

**— ავიღოთ სხვა ვარიანტი. ვთქვათ, უდანაშაულოდ დამიჭირეს და გამაჩნია მყარი ალიბი, რისი დადასტურებაც შეუძლია მოწმეს... აქვს თუ არა იმ მოწმეს უფლება, ჩვენების მიცემაზე უარი თქვას?**

— თუ ბრალდებულის ალიბის მოწმეა, მაგრამ ჩვენების მიცემა არ სურს, პროკურატურა, რომელიც ბრალს გდებთ, სასამართლოზე მისი მოყვანის მიზნით თავს არ მოიკლავს... მას ჩვენება უნდა მიაცემინოს თქვენმა ადვოკატმა, მაგრამ, თუ იმ კონკრეტულ მოწმეს რაღაც მიზეზთა გამო თქვენთვის სასარგებლო ობიექტური ჩვენების მიცემა არ სურს, მას შეუძლია მოწმედ დადგომისგან თავი დაიძვრინოს იმით, რომ განაცხადოს — არ იცის, არ დაუნახავს ან არ ახსოვს გარემოება, რაზეც მას დაცვის მხარე ჩვენებას სთხოვს. ეს ისეთი პასუხებია, რაზეც იურიდიულად ვერავინ შეედავება.

**— იმის მიუხედავადაც, თუ ჩემი ადვოკატი დაასაბუთებს, რომ გამორიცხულია, მოწმეს გარემოება არ ახსოვდეს და შეგნებულად ცრუობს, როდესაც ამას ირწმუნება?**

— მთავარია, ადვოკატმა ამის დასაბუთება შეძლოს, მაგრამ ეს ძალიან ძნელია. მოწმეს შეუძლია, თქვას, რომ იქ იმყოფებოდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ქმედების მომენტში სხვა მხარეს გაიხედა და მთავარი გარემოება, მნიშვნელოვანი მომენტი, რაც თქვენს ალიბს ადასტურებს — ამის გამო გამორჩა... ასეთ მოწმეს შეიძლება, ჩვენების მიცემა მაინც მოუწიოს, მაგრამ მისი ჩვენება თქვენთვის გამოსადეგი ვეღარ იქნება.

**— რით განსხვავდება ერთმანეთისგან „გამოკითხვა“ და „დაკითხვა?“**

— მოწმის „გამოკითხვას“ პოლიციაში აწარმოებენ; ხოლო სასამართლოში ხდება „დაკითხვა,“ თუმცა, პასუხისმგებლობის თვალსაზრისით და შინაარსობრივადაც — ორივეს ერთნაირი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ისე მოხდეს, რომ მოწმედ დაბარებული პირი ქვეყნიდან გამგზავრებას აპირებს იმ პერიოდისთვის, როცა სასამართლო სხდომა არის ჩანიშნული. ასეთ შემთხვევაში მხარე დაინტერესებულია, ვიდრე მოწმე ქვეყნიდან გაემგზავრება, მას ჩვენება სასამართლოში მიაცემინოს, ანუ ეს პირი სასამართლომ დაკითხოს. აღსანიშნავია, რომ განაჩენის გამოტანისას მტკიცებულებად ითვლება მხოლოდ სასამართლოში მიცემული ჩვენება. **თუ პირმა სასამართლოს მისცა განსხვავებული ჩვენება, ვიდრე მანამდე — პოლიციას და ამ ჩვენებებს შორის არსებითი განსხვავება არ არის, ეს ნიშნავს, რომ პოლიციისთვის მიცემული ჩვენება ბათილია.**

**— და რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოწმე სასამართლოში მისცემს რადიკალურად განსხვავებულ ჩვენებას, ვიდრე მანამდე პოლიციაში მისცა?**

— მოსამართლემ უნდა დაასკვნას, მოწმის ერთმანეთისგან განსხვავებული ჩვენებებისგან რომელი უფრო სანდოა. თუ მოწმე არსებითად განსხვავებულ ჩვენებას იძლევა, ცხადია, ორი ჩვენებიდან ერთ-ერთი სიცრუეს წარმოადგენს და პროკურატურას თეორიულად აქვს უფლება, ამ მოწმეს ცრუ ჩვენების მიცემის გამო ბრალი წაუყენოს, რაც პრაქტიკაში ძალზე იშვიათად ხდება. ასეთი პრეცედენტები მრავლად იყო სააკაშვილის რეჟიმის პირობებში, როცა პროკურატურისთვის არასასურველი, წინასგან ოდნავ განსხვავებული ჩვენების შემთხვევაშიც კი, მოწმეები სასამართლოდან პირდაპირ ციხეში გადაჰყავდათ. იმ პერიოდში ხომ მოწმეები პროკურატურის მიერ წინასწარ იყვნენ დამუშავებულნი, დაშანტაჟებულნი ანდა სულაც მოსყიდულები, რათა ბრალდების მხარისთვის სასურველი, თუნდაც ცრუ ჩვენება მიეცათ, რაზეც, მოსამართლეები თვალს ხუჭავდნენ. უფრო მეტიც — როცა მოსამართლეს განაჩენის გამოსატანად მტკიცებულებები არ ჰყოფნიდა, ირიბად მიუთითებდა პროკურორს, რომ ყალბი მტკიცებულება შეეთხზა, **რისთვისაც ბრალდებულს საკანში ან ციხის დირექტორის კაბინეტში აწამებდნენ, რათა შემდეგ მას სასამართლოზე ის ჩვენება მიეცა, რომელიც მსჯავრის გამოსატანად საკმარისი იქნებოდა.** ეს იყო ადრე...

ბრალდებულს რაც შეეხება, კანონის ფარგლებში წინასწარ აფრთხილებენ, რომ აქვს დუმილის უფლება, ანუ ატყობინებენ, რომ შეუძლია, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ და ეს სასამართლომ, კანონისვე თანახმად, არ უნდა გამოიყენოს ბრალდებულის წინააღმდეგ, არამედ უნდა მოიძიოს და დაალაგოს სხვა მტკიცებულებები, რათა მსჯავრი დასდოს! **განაჩენში ვერ დაიწერება, რომ მოწმე დამნაშავეა იმის გამო, რომ ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა!**

**— რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოწმე განზრახულად მისცემს ცრუ ჩვენებას? გვაქვს თუ არა პრეცედენტები იმისა, რომ ცრუ მოწმე კანონის მიხედვით დაისაჯა? ამ კითხვას გისვამთ იმ რეალობიდან გამომდინარე, რომ პირადად ჩემს საქმეში (შეთქმულება ხელისუფლების დამხობის მიზნით), რომელიც 2006 წელს ოდენ ცრუ მოწმეთა ჩვენების საფუძველზე შეითითხნა — დღემდე ეს ცრუ მოწმეები არ დასჯილან, იმის მიუხედავად, რომ სასამართლომ 2018 წელს ეს საქმე ფაბრიკაციად აღიარა!**

— კანონის წინაშე ცრუ ჩვენების შეგნებულად მიმცემმა პირმა პასუხი უნდა აგოს 370-ე მუხლის მიხედვით, რაც ცრუ ჩვენების მიცემის მიზეზის გათვალისწინებით, სხვადასხვა ვადით **(2-დან 4 წლამდე; 2-დან 6 წლამდე და 3-დან 7 წლამდე)** პატიმრობას ითვალისწინებს. ცრუ მოწმეები თუ არ ისჯებიან, ეს სახელმწიფოში სამართლიანობის დეფიციტზე მიუთითებს!

**— აქვს თუ არა მოწმეს უფლება, მოითხოვოს თავისი უსაფრთხოების დაცვა, როცა ჩვენების მიცემა განსაკუთრებით მნიშვნელოვან გარემოებასთან დაკავშირებით უხდება?**

— დიახ. არსებობს **მოწმის დაცვის პროგრამა.** მაგალითად, როდესაც **დოდო გუგეშაშვილის** შვილი მოკლეს, ხოლო თავად ის დაჭრეს, ქალბატონი დოდო ძალიან დიდი ხნის განმავლობაში დაცვის პროგრამაში იყო ჩასმული, შესაბამისად, გასაიდუმლოებული იყო მისი საცხოვრებელი ადგილიც, რადგან მის სიცოცხლეს აშკარა საფრთხე ემუქრებოდა.

**მახსენდება თქვენი სასამართლო პროცესიც, როდესაც სასამართლომ თქვენს საქმეში მონაწილე ცრუ მოწმეები დაცვის პროგრამაში ჩასვა და შესაბამისად, მათი ვინაობა გაასაიდუმლოვა.**

დაცვის პროგრამა გულისხმობს ისეთ ღონისძიებასაც, როცა განსაკუთრებულად მნიშვნელოვან საქმეში მონაწილე მოწმეს პლასტიკური ოპერაციის საშუალებით გარეგნობა შეუცვალონ. საქართველოში — არ ვიცი, მაგრამ ასეთი პრეცედენტები ამერიკაში მართლაც ყოფილა.

მახსენდება კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში **მალხაზ გველუკაშვილის** პროცესი მიმდინარეობდა. ცრუ მოწმე, ვინმე **დავით ქლენტი,** ვინც მას პროვოკაცია მოუწყო და გაითამაშა, თითქოს იარაღი უნდა მიეყიდა — სინამდვილეში პოლიციის აგენტი გახლდათ. აღმოჩნდა, რომ ის სხვა საქმეებშიც ცრუ მოწმედ ფიგურირებდა, რომელ პროცესებზეც მე ადვოკატად გამოვდიოდი და ერთხელ, როდესაც ერთ-ერთი საქმის დროს (ვგონებ, 2017 თუ 2018 წელი იყო) დავკითხე, მან უნებურად აღიარა, რომ თანამშრომლობს პოლიციასთან და ძალოვნებს სხვადასხვა საქმის გახსნაში ეხმარება! **მე ის მედიის საშუალებით ვამხილე და შედეგად ის მოყვა, რომ ქლენტმა პროცესზე მოსვლა ვეღარ გაბედა და იმ საქმეში ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი გამართლდა.** ამას ახლა იმიტომ ვიხსენებ, რომ ახლახან შემხვდა ადამიანი, რომელმაც მომიყვა, რომ სწორედ ეს **დავით ქლენტი** მისი შვილის წინააღმდეგ ნარკოდანაშაულის შეთითხვნაში მონაწილეობდა, ანუ ამ ცრუ მოწმეს კვლავ იყენებენ და უსაფრთხოებაშიც ეხმარებიან, სავარაუდოდ, დაცვის პროგრამაშიც ჰყავთ, რის შედეგადაც ის ძველ საქმიანობას დღემდე აგრძელებს!

ეს ფაქტები ნათლად მიუთითებს, რომ **ცრუ მოწმე კი არ ისჯება, არამედ მას ძალოვნები თავად იყენებენ საქმის გაყალბების მიზნით, ხოლო სახელმწიფო ჯეროვნად არ ზრუნავს, რათა ცრუ მოწმეთა ჩვენების საფუძველზე უდანაშაულო ადამიანებს ციხეში აღარ უშვებდეს!**

**„მახსენდება კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში მალხაზ გველუკაშვილის პროცესი მიმდინარეობდა. ცრუ მოწმე, ვინმე დავით ქლენტი, ვინც მას პროვოკაცია მოუწყო და გაითამაშა, თითქოს იარაღი უნდა მიეყიდა – სინამდვილეში პოლიციის აგენტი გახლდათ!“**


მალხაზ გველუკაშვილი

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

## კვირგვინოსნები

**სოსო სიმონიშვილი**
*გაზის მეურნეობის სპეციალისტი*



სახლებში უნდა მივიდეს ტექნიკური მუშაკი და **შემოწმდეს, გათბობის რა საშუალებას იყენებენ და რამდენად უსაფრთხოა.** მართალია, „თბილისი ენერჯის“ წარმომადგენლები ხშირად აცხადებენ, რომ აბონენტებთან წელიწადში 2-3-ჯერ შედიან, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. **ბინებში ფანჯარას აუცილებლად უნდა ჰქონდეს სარკმელი და არასდროს არ უნდა იხურებოდეს.** ასეთ შემთხვევაში საერთოდ რომც გადაიხსნას მილი, არც მოწამვლა მოხდება და არც აფეთქება, **მთავარია, ოთახი ნიავდებოდეს.**

„რეზონანსი“

**ირინა ვერეშჩუკი**
*უკრაინის ვიცე-პრემიერი*



გთხოვთ, **ზამთარში არ დაბრუნდეთ,** თუ შესაძლებელია, საზღვარგარეთ გამოიზამთრეთ!

„რეზონანსი“

**გიგა ბოკერია**
*„ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე*



**ჩვენ უნდა მოვიკრიბოთ ძალა ამ რეჟიმის შესაცვლელად.**

„ახალი თაობა“

**არჩილ გამზარდია**
*ჟურნალისტი*



რაც გინდა **უვარგისი იყოს ოპოზიცია,** ხელისუფლება უნდა იცვლებოდეს.

„ალია“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



არ არის გამორიცხული, **ივანიშვილისგან** დასავლეთს რაღაც სახის მოთხოვნების შესრულება სურდეს. ჩემი ვარაუდით, ეს მოთხოვნა, შესაძლოა, **ხელისუფლების გადაბარება** იყოს.

„რეზონანსი“

# მიხეილ ცაგარელი:

# ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი, ტენდენციები და რჩევები



***— ნოემბრის დასაწყისში რა გამოცდას მოგვიწყობს კოსმოსი? რისი მაღალი ალბათობა იქნება? ამ უკიდურესად რთულ პერიოდში რა გვევალება და რა იქნება მეტად მნიშვნელოვანი? როდიდან გაუმჯობესდება ვითარება და როდის აღმოჩნდება დედამიწის ბიოსფერო ყველაზე ჰარმონიულ კოსმოსურ ზონაში? რისთვის იქნება ეს დრო სასიკეთო, რა გამარტივდება და რას შეეწყობა ხელი? თვის მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება ღრიანკალიდან მშვილდოსნის ზოდიაქოში რა და რა თვისებებს გაამახვილებს? ნოემბრის ბოლოს კვლავ რა სირთულეებია მოსალოდნელი? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— გიორგობისთვე როგორ ჩაივლის, რა უნდა გავითვალისწინოთ, როდის გვმართებს მეტი სიფრთხილე და გონიერების გამოვლენა, ანდა როდის იქნება კოსმოსი ჩვენდამი კეთილგანწყობილი?**

— **ნოემბრის დასაწყისი დაძაბული იქნება, რადგან დედამიწის ბიოსფეროს ნეგატიურ მდგომარეობას დაამძიმებს. 8 ნოემბერს მთვარის დაბნელება (15.00) და სავსემთავრეობაა.** შედეგად კი საერთაშორისო არენაზე არაერთი სოციალური კონფლიქტი გამწვავდება. **ეს დრო ერთგვარ გამოცდას მოუწყობს ადამიანებს, რის გამოც მოუგვარებელი პრობლემები შესაძლოა, კრიზისული ვითარების საბაბი გახდეს როგორც ბიზნესში, ისე პირად ცხოვრებაში. ასევე შესაძლოა, ადრინდელი ურთიერთობებიდან გამომდინარე ნეგატიური კარმული პროგრამები გამწვავდეს, რის გამოც ტრავმების, ავარიების, სახიფათო და უბედური შემთხვევის ალბათობა გაიზრდება. ამ უკიდურესად რთულ პერიოდში მეტად მნიშვნელოვანია, ყურადღებით მოვუსმინოთ პარტნიორებს, შევეცადოთ, გავუგოთ, სხვა ადამიანთა მოსაზრებანი და სურვილები გავითვალისწინოთ.** ამავე დროს ეს პერიოდი არახელსაყრელი იქნება ახალი წინადადებებისა და შემოთავაზებებისათვის, ძალიან მცირე იქნება გარშემო მყოფების მხრიდან ადეკვატური რეაქციისა და სწორი გადაწყვეტილების მიღების ალბათობა. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანი იქნება არსებული რესურსისა და მდგომარეობის შენარჩუნება, სიფრთხილე და ყურადღების მობილიზება.

**— ნოემბრისთვის ამ მონაკვეთში თითოეულ ჩვენგანს კიდევ რისი გათვალისწინება გვმართებს, რათა ამ რთულ პერიოდში არ დავზარალდეთ?**

— ემოციები უნდა გავაკონტროლოთ, იმპულსურობასაც ყოველმხრივ მოვერიდოთ, რათა შევინარჩუნოთ კეთილგანწყობა, ოპტიმიზმი და შრომისუნარიანობა. აგრეთვე **სასურველი იქნება შეხვედრა-მოლაპარაკებები, მნიშვნელოვანი საქმეები გადავიტანოთ თვის მეორე ნახევრისთვის, როდესაც გონების, ინტელექტისა და კომუნიკაციის მმართველი პლანეტა მერკური და სიყვარულისა და ფინანსების მმართველი პლანეტა ვენერა ღრიანკალის ზოდიაქოდან გადაინაცვლებენ მშვილდოსნის ზოდიაქოში,** რის შედეგადაც მათი ენერგიები ხელს შეუწყობს ადამიანებს, კომპანიებსა და ქვეყნებს შორის ურთიერთობის გამყარებას და შემდგომ განვითარებას.

**— როდის უნდა ველოდოთ ნოემბერში ვითარების გაუმჯობესებასა და სასიკეთო ტენდენციებს?**

— **ნოემბერში დედამიწის ბიოსფერო ყველაზე ჰარმონიულ კოსმოსურ ზონაში აღმოჩნდება 14-დან 30 ნოემბრამდე. ეს პერიოდი ჯანმრთელობის გამყარებისთვის და პროფილაქტიკური ღონისძიებებისთვის მეტად სასიკეთო იქნება.** ნიშანდობლივია, რომ ნოემბრის დასაწყისში ადამიანთა უმეტესობას ადვილი შესაძლებელია, იმუნიტეტი დაუქვეითდეს, ქრონიკული დაავადება გაუმწვავდეს, რასაც მკურნალობა და აღდგენა დასჭირდება. **უნდა აღინიშნოს ასევე, რომ წინასწარ დაგეგმილი ღონისძიებები სასურველია, განხორციელდეს 19-28 ნოემბრის შუალედში, რადგან სწორედ ამ პერიოდში ადამიანები იქნებიან მეტად კეთილგანწყობილნი, ხელგაშლილები, გულღიები, რაც ნაყოფიერ ურთიერთობას, დიპლომატიური გადაწყვეტილებების მიღებას გაამარტივებს და თანამშრომლობას ხელს შეუწყობს.**

**— რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებში მზის გადანაცვლება თვის მესამე დეკადის დასაწყისში ღრიანკალის ზოდიაქოდან მშვილდოსნის ზოდიაქოს ნიშანში?**

— **მზე 22 ნოემბერს (12.22) გადაინაცვლებს რა ღრიანკალიდან მშვილდოსნის ზოდიაქოში, უახლოესი ერთი თვის მანძილზე ადამიანებში გაამახვილებს აქტიურობას, ოპტიმიზმს, კომუნიკაბელურობას, ლიდერულ თვისებებს, ორგანიზატორულ მონაცემს, გონებამახვილობას, მოგზაურობისკენ მიდრეკილებას და ასევე სარკაზმს, სულსწრაფობას, უჰაირათობას, დიქტატორობასა და ეგოიზმსაც. 28 ნოემბრიდან ვითარება კვლავ შეიცვლება და კოსმოპლანეტური ფაქტორების ნეგატიური ზეგავლენა ისევ გაიზრდება, რაც დეკემბრის 5 რიცხვამდე გასტანს.** შესაბამისად, შესაძლოა, ნოემბრის ბოლოს გამწვავდეს ადრინდელი კონფლიქტები, თავი შეგვახსენოს გაუგებრობებმა, სირთულეებმა. ასევე გაიზრდება კატაკლიზმების ალბათობა, ხოლო სავაჭრო და სავალუტო ბირჟებზე მდგომარეობა არ იქნება სტაბილური. მოსალოდნელია ფატალური გაკონტროლების შემთხვევების ზრდა და ადამიანთა შორის ნებისმიერი სახის ურთიერთობების გაუარესება.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 31 ოქტომბერი - 6 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**ოჯახში ჰარმონიის რღვევა შიშების საბაბი გახდება, ამიტომ შეეცადეთ, სტაბილურობა შეინარჩუნოთ. არსებული დრო სამსახურში პოზიციის გასამყარებლად გამოიყენეთ. განათლებულ, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრები მრავალ საინტერესო და მნიშვნელოვან ცოდნას შეგმატებთ. ახალი საქმე და წამოწყებანი კარგად გაიაზრეთ, მაგრამ ჯერ ნუ დაიწყებთ. შორეული მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ, რათა უსიამოვნებებს თავი აარიდოთ.**

**კურო** (21.04-20.05)
**პროფესიულ სფეროსთან დაკავშირებით ბევრი ახალი იდეა გაგიჩნდებათ, მაგრამ წინასწარ მიზანი და სამოქმედო ტაქტიკა უნდა აირჩიოთ, რათა ყველაფრის ერთად შესრულება არ მოგიწიოთ. ამ შემთხვევაში მონდომებასაც დაგიფასებენ და კარგ შემოსავალსაც მიიღებთ. სასიყვარულო სფეროში კი ცვლილებებს მოერიდეთ, რათა დამატებითი საზრუნავი არ გაჩნდეს. დასასვენებლად ან მივლინებაში გამგზავრება კი ოჯახის წევრებთან ერთად გიჯობთ.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**ამ პერიოდში ჩანაფიქრის განსახორციელებლად შესაძლოა, ფინანსები არ გეყოთ. ეცადეთ, კოლეგებისა და ხელმძღვანელის მხარდაჭერა მოიპოვოთ. დაღლამ და ნერვიულობამ, შესაძლოა, თავის ტკივილი და ავადმყოფობა გამოიწვიოს. ოჯახში უსიამოვნება დაუკავშირდება საიდუმლო ინფორმაციის გამოაშკარავებას. პირად თუ სასიყვარულო ურთიერთობაში ეცადეთ, გრძნობები დროულად გამოხატოთ, რათა შემდეგ გული არავინ დაგწყვიტოთ.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**ეცადეთ, ძალები მოიკრიბოთ, ყოველივე კარგად გააანალიზოთ და დასახულ მიზანს არ გადაუხვიოთ. ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით, მოგიწევთ ბევრ ადამიანთან კონტაქტი, რაც დამღლელი, თუმცა, მომგებიანი იქნება თქვენი კარიერისა და ფინანსური კეთილდღეობისთვის. ეცადეთ, ოჯახში კომფორტული გარემო შექმნათ, რათა მოდუნება და ძალების აღდგენა შეძლოთ. მოგზაურობას მოერიდეთ, შეყვარებულთან ჰარმონიული ურთიერთობა კი თავდაჯერებას შეგმატებთ.**

**ლომი** (23.07-23.08)
**ნუ გარისკავთ, ნუ აიღებთ კრედიტს და სასიყვარულო პარტნიორსაც სათუთად მოეპყარით. ბევრ ხალხთან ურთიერთობას მოერიდეთ, რადგან გადაღლა ნერვულ სისტემაზე ნეგატიურად აისახება და ქრონიკულ დაავადებას გაგიმწვავებთ. უცხოელებთან სიფრთხილე გმართებთ. ეცადეთ, ნაჩქარევად სხვა ქვეყანაში ან ქალაქში გამგზავრებისგან თავი შეიკავოთ. ცეცხლთან და ელექტრონთან მიმართებით სიფრთხილე გამოიჩინეთ, რადგან დაშავების ალბათობა არსებობს.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**თავს მეტად ენერგიულად იგრძნობთ და ახალი გეგმების განხორციელების სურვილი გაგიჩნდებათ. ჯანმრთელობის მდგომარეობაც გაგიუმჯობესდებათ, თუმცა, კონფლიქტს მოერიდეთ, რათა არ დაშავდეთ. ასევე მოერიდეთ ორაზროვან, სათუო და ავანტიურულ საქმეებს. ურთიერთობისას უფრო ტაქტიანი და ყურადღებიანი იყავით და შემოსავალიც მალე მოიმატებს. მოგზაურობა ამ პერიოდში სარისკოა, რადგან არსებობს გაუთვალისწინებელი მოვლენების ალბათობა.**

## 31 ოქტომბერი - 6 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**ახალ გაცნობილებთან სიფრთხილე გამოიჩინეთ, რადგან დიდია მოტყუების ალბათობა. ავანტიურას ერიდეთ და მეტი დრო დაუთმეთ პროფესიული დონის ამაღლებასა და თქვენი იდეების დანერგვას. სასიყვარულო ურთიერთობისთვის შესაძლოა, დრო არ დაგრჩეთ, რაც პარტნიორის ეჭვსა და უკმაყოფილებას გამოიწვევს. ხშირი გადაადგილებები დამღლელი, მაგრამ მომგებიანი იქნება. კარგი იქნება, თუ დროდადრო კარგად დაისვენებთ და გამოიძინებთ, რათა ენერგია აღიდგინოთ.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**ამ კვირაში მეტად ემოციური და მგრძნობიარე გახდებით როგორც მოვლენების, ისე ადამიანებთან მიმართებით. თუ მოთხოვნებსა და ამბიციებს არ მოთოკავთ, საქმეშიც და ოჯახშიც ბევრი წინააღმდეგობა შეგექმნებათ. ნურავის მოატყუებთ, რათა გარშემო მყოფთა პატივისცემა არ დაკარგოთ. ეცადეთ, იმოქმედოთ ადრე დასახული გეგმის მიხედვით. განწყობის გასაუმჯობესებლად სუფთა ჰაერზე უფრო დიდხანს ისეირნეთ.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**არახელსაყრელი დროა დიდი ფინანსური ოპერაციისთვის ან გარიგებისთვის. უცხოელი პარტნიორისგან მიღებული დაპირება ან შემოთავაზება მომავალში კარგ პერსპექტივას გიქადით. ოჯახში მეუღლესთან ანდა შეყვარებულთან არსებული გაუგებრობა ჯობს, დროულად გაარკვიოთ. ოჯახის ნაჩქარევად შექმნა კი არ არის რეკომენდებული. ფიზიკური ამტანობის დაქვეითების შემთხვევაში დროულად მიმართეთ ექიმს და ხშირად დაისვენეთ.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**მოერიდეთ ინტრიგებს, ფარულ საქმეებს, გარისკვას, ახალი ხელშეკრულების დადებას, რათა უსიამოვნებამ თქვენს ჯანმრთელობას არ ავნოს. ორაზროვან სიტუაციაში მეტი წინდახედულობა გმართებთ. ბევრი საქმიანი შეხვედრა, გადაადგილება და ურთიერთობებია მოსალოდნელი. შესაძლოა, უცხოელთან ან სხვა ერის წარმომადგენელთან ურთიერთობამ გაგიტაცოთ, რაც რომანტიკულ ელფერს შეიძენს. შორეული მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**ავანტიურულ და ფარულ საქმიანობას, განსაკუთრებით ნაკლებად ნაცნობთან ერიდეთ. კრედიტიც პრობლემას შეგიქმნით. ოჯახში დაძაბული საუბრები და გულგრილი დამოკიდებულება გაიძულებთ, მეტი დრო გაატაროთ მეგობართა წრეში ან სამსახურში. ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში ხალხური და არატრადიციული მედიცინის საშუალებებით ისარგებლეთ და მოგზაურობასა და მივლინებაში გამგზავრებას მოერიდეთ.**

**თევზები** (19.02-20.03)
**შესაძლოა, ოჯახში ფინანსური უზრუნველყოფა თქვენ მოგიწიოთ. ძველი კავშირების საშუალებით, შესაძლოა, სამომავლოდ მომგებიანი საქმეები დაისახოთ, თუმცა, აქტიური მოქმედებისთვის და ცვლილებებისთვის ეს კვირა არახელსაყრელია. მოულოდნელი ხარჯიც არ იქნება გამორიცხული. ოჯახის წევრებისა და ახლობლების რჩევას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ეცადეთ, შვილებთან და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობები გააუმჯობესოთ. მოგზაურობების რიცხვი კი ჯობს, მინიმუმამდე შეამციროთ.**

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 1, 2, 4 და 5 ნოემბერი

**8 ნოემბერი - სავსემთვარეობა (15.03), მთვარის დაბნელება (15.00); 24 ნოემბერი - ახალმთვარეობა (02.58).**



საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა
GIDMEDI
GEORGIA - ISRAEL JOINT CLINIC
გიდმედი
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 31 ოქტომბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.32 საათზე, ჩადის 16.57 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (19.44) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 13.04 საათზე, ჩადის 22.05 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 16.05 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.14 საათიდან 19.44 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს შავი მაგიისა და ჯადოქრების დღე „ჰელოუინია". ყურადღება გმართებთ! ხალხის მასას მოერიდეთ. არ არის სასურველი ქორწინება, რაიმეს დაგეგმვა, ფინანსური ოპერაციები, ახალი კავშირების დამყარება, ახალი თანამშრომლის მიღება, სიმძიმის აწევა, სტომატოლოგიური პროცედურები, მკვეთრი მოძრაობები, ზედმეტი ლაპარაკი, საიდუმლოს გათქმა, ალკოჰოლური სასმლის მიღება. პოზიტიური დღეა კარგად ნაფიქრი საქმეებისთვის, მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, ზუსტი მეცნიერებებისა და ისტორიის ასათვისებლად. სიმშვიდე დაიცავით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი. **ქვები:** გიშერი, ონიქსი, ქრიზოპრაზი, საფირონი, აკვამარინი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 1 ნოემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.33 საათზე, ჩადის 16.56 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 13.47 საათზე, ჩადის 23.21 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 16.29 საათზე. მე-2 ფაზა იწყება 10.38 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** საქმეს, რომელიც დღეს შეგიძლიათ, შეასრულოთ, ხვალისთვის ნუ გადადებთ. სიტუაციის განვითარებას დაუკვირდით. შესაძლოა, მოულოდნელი სიურპრიზის წინაშე აღმოჩნდეთ. ძველი ვალდებულებისგან გათავისუფლდით. მეტი წინდახედულობა და თავშეკავება გამოავლინეთ. შესაძლებელია გაწყვეტილი ურთიერთობის აღდგენა. ნუ ინერვიულებთ. დაეყრდენით მხოლოდ რეალურ ფაქტებს. **დედის რჩევას ყური უგდეთ!** კარგი დღეა სუნთქვითი ვარჯიშებისთვის, ცურვისთვის, სარესტავრაციო-სამღებრო საშუალებებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, ელექტრო, აირ ხელსაწყოებისა და დანადგარების შესაძენად, სესხის ასაღებად, ბინის შესაცვლელად, რეფორმატორული საქმისთვის. არ არის სასურველი ფორიაქი, თვალების გადაღლა, საიდუმლოს გამხელა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ფეხის კუნთები, ნერვული სისტემა. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, ნეფრიტი, ლაბრადორიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 2 ნოემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.34 საათზე, ჩადის 16.55 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (22.48) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 14.21 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 16.44 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 15.08 საათიდან 22.48 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ეცადეთ, აქტუალური საკითხი გადაწყვიტოთ და არა თუნდაც შორეული გეგმა დაისახოთ. მოლაპარაკების წარმოება არ არის მიზანშეწონილი, თუ ვერ გადადებთ, მაშინ შეხვედრა დღის მეორე ნახევარში ჩაინიშნეთ. ეფექტური იქნება კუჭ-ნაწლავის მკურნალობა. კარგი დღეა ინტელექტუალური და სულიერი განვითარებისთვის, რეფორმატორული საქმიანობისთვის, სესხის ასაღებად, ბინის შესაცვლელად, სარემონტო სამუშაოებისთვის, ელექტრო, აირ თუ კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად, გართობისთვის. არ არის სასურველი ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, საიდუმლოს გამხელა, ალკოჰოლის მიღება. ფანტაზიებს ნუ აჰყვებით. დედის რჩევა ყურად იღეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები, მხედველობა. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, ლაბრადორიტი, ამაზონიტი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 3 ნოემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.35 საათზე, ჩადის 16.53 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 14.49 საათზე, ჩადის 4 ნოემბერს 00.37 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 16.54 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ინტუიციაზე დაყრდნობით უფრო მართებულად იმოქმედებთ. შესაძლებელი იქნება საკამათო საკითხების მოგვარება. მიღებული ინფორმაცია შეამოწმეთ. კარგი დღეა ქველმოქმედებისთვის, შემოქმედებისთვის, ქორწინებისთვის, კონტრაქტის დასადებად, მგზავრობისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, სპონსორის საძიებლად, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი მიმართვისთვის. არ არის სასურველი ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, სესხის აღება, საიდუმლოს განდობა, თავის დაბანა. სიფრთხილე გამოიჩინეთ ცეცხლსასროლ იარაღთან და ასაფეთქებელ ნივთიერებებთან მიმართებით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 4 ნოემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.36 საათზე, ჩადის 16.52 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 15.13 საათზე, ჩადის 01.50 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 17.02 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ეროვნულ და საოჯახო ტრადიციებს პატივი მიაგეთ, ადათწესები დაიცავით. გახსოვდეთ, დღეს ჩადენილი უგუნურობა ბუმერანგივით უკან დაგიბრუნდებათ. შესაძლებელია, შეწყვეტილი ურთიერთობის აღდგენა. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, მგზავრობისთვის, სპონსორის საძიებლად, იურიდიული საქმეებისთვის, კონტრაქტის დასადებად, კაპიტალდაბანდებისთვის, ქორწინებისთვის. არ არის სასურველი ტერფების მასაჟი, ანალიზის ჩაბარება, ექოსკოპია, თავის დაბანა, სესხის აღება ან გაცემა, საიდუმლო საქმიანობა, ნარკოტიკისა და ფსიქოტროპული საშუალებების, ალკოჰოლის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემა, კანი. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, ამეთვისტო, გიშერი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 5 ნოემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.38 საათზე, ჩადის 16.51 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (03.08) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 15.35 საათზე, ჩადის 6 ნოემბერს 03.00 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 17.10 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 02.05 საათიდან 03.08 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს სასიკეთოა წმინდა ადგილების მონახულება. იკრძალება განკითხვა, გაკიცხვა, ჩხუბი. ეფექტურია თირკმლებისა და შარდის ბუშტის მკურნალობა. კარგი დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, ხელმძღვანელობასთან კონტაქტისთვის, მგზავრობისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ტანსაცმლის შესაძენად. გამახვილებულია ექსტრასენსორული მონაცემები. არ არის სასურველი ქორწინება, ფინანსური ოპერაციები, კაპიტალდაბანდება, ხელშეკრულების დადება, სტომატოლოგიური პროცედურები, წესების დარღვევა, ალკოჰოლის მიღება, სულსწრაფობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 6 ნოემბერი, კვირა

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.39 საათზე, ჩადის 16.50 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 15.57 საათზე, ჩადის 7 ნოემბერს 04.09 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 17.17 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ძვირფასეულობას, მათ შორის, კომპიუტერს გაუფრთხილდით. მოსალოდნელია კამათი ეჭვიანობის და ეგოიზმის ნიადაგზე. თვალებს ნუ გადაღლით. კარგი დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, მგზავრობისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, ვარჯიშისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად. გამახვილებულია ექსტრასენსორული მონაცემები, ლიდერული თვისებები, მებრძოლი სულისკვეთება. არ არის სასურველი ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, კაპიტალდაბანდება, ხელშეკრულების დადება, სტომატოლოგიური პროცედურები, ალკოჰოლის მიღება, სიჯიუტე. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

# საეკლესიო კალენდარი



**2 ნოემბერი – ხსენება ღირსი გაბრიელისა, სალოსისა და აღმსარებლისა (ურგებაძე)**

✝ 31 ოქტომბერი. ორშაბათი. წმიდისა დიდებულისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა და მახარებელისა **ლუკასი;** მოწამისა **მარინი** ბერიისა; ღირსისა **იულიანე** მეუდაბნოისა; დიდმოწამისა დედისა **ზლატასი.**

✝ 1 ნოემბერი. სამშაბათი. წინასწარმეტყველისა **იოელისა;** მოწამისა **ნიკოლოზ დვალისა;** მოწამისა **უარისა** და **მისთანა შვიდთა ქრისტიანთა მოძღვართა;** ნეტარისა **კლეოპატრასი** და ძისა მისისა **იოანესი;** მღვდელმოწამისა **სადუკისა,** სპარსელი ეპისკოპოსისა და მისთანა **128-თა მოწამეთა.**

✝ 2 ნოემბერი. ოთხშაბათი. დიდმოწამისა **არტემისა;** ღირსი **გაბრიელისა, სალოსისა და აღმსარებლისა.**

3 ნოემბერი. ხუთშაბათი. ღირსისა **ილარიონ დიდისა;** მოწამეთა: **დასისა, გაიოზისა** და **ზოტიკესი.**

✝ 4 ნოემბერი. პარასკევი. მოციქულთა სწორისა **ამბერკისა,** იერაპოლელი ეპისკოპოსისა, სასწაულმოქმედისა; შვიდთა ყრმათა ეფესელთა: **მაქსიმილიანესი, იამბლიქოსისა, მარტინიანესი, დიონისესი, ანტონინესი, კონსტანტინესი** და **იოანესი;** მოწამეთა: **ალექსანდრე** ეპისკოპოსისა, **ირაკლი** მხედრისა და ოთხთა დედათა: **ანასი, ელისაბედისა, თეოდოტიასი** და **გლიკერიასი.** დღესასწაული **ყაზანის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა.**



**5 ნოემბერი – ხსენება მოციქულისა იაკობისა, ხორციელად ძმისა უფლისა**



**6 ნოემბერი – დღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა „ყოველთა მწუხარეთა სიხარული"**

✝ 5 ნოემბერი. შაბათი. **დიმიტრის შაბათი. მიცვალებულთა ხსენება.** მოციქულისა **იაკობისა,** ხორციელად ძმისა უფლისა, იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსისა; **ეგნატე I-ისა,** კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.

✝ 6 ნოემბერი. კვირა. მოწამისა არეთასი და მისთანა მრავალთა მოწამეთა; ნეტარისა **ელეზვოისი,** ეთიოპიის მეფისა; მოწამეთა **სვინკლიტიკიასი** და ორთა ასულთა მისთა; **ათანასესი,** კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა; **დღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა „ყოველთა მწუხარეთა სიხარული".**


თამარისი Tamarisi

დაინახე:




ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38

571 19 93 93 598 79 40 00

www.facebook.com/tamarisioptics

«კათარზისი» იწვევს!

ასოციაცია „კათარზისის"
თავშესაფარში ვიწვევთ ცხოვრების
მსურველ საპენსიო ასაკის,
თვითმოვლის უნარის მქონე
ხანდაზმულ ქალბატონებს.

2 95 78 76,
558 19 41 30



დეტალური ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით 10-დან 18 საათამდე



მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. ფაუსტი; 10. ტეტანუსი; 11. ხალიფაფა; 12. გრიგალი; 13. პარაბოლა; 14. ფუკუა; 15. რეობაზა; 16. რბის; 17. ჩიპოლინო; 21. თუნგი; 22. ნინიგი; 25. ეტა; 26. მელომანია; 27. სენატი; 29. ტანდემი; 31. ამარილისი; 36. ლანგარი; 37. დავითი; 39. ცენტნერი; 40. ოფიცერი; 44. ფართალი; 46. სიამანგი; 50. დონიცეტი; 51. აიკიდო; 54. ყირამალა; 55. მაღაზია; 59. მარტინი; 60. როკვა; 61. რაი; 62. ნაპალმი; 63. ჴა; 64. სმეტანა.

შვეულად: 1. მეტალი; 2. საღამო; 3. კუპონი; 4. ფიგარო; 5. უნისონი; 6. ტრაბახი; 7. ალიკანტე; 8. იფნარი; 9. აფერისტი; 11. ხიფათი; 17. ჩამჩა; 18. პულპა; 19. ლამბი; 20. ნანტი; 22. ნატი; 23. ნინუა; 24. გლეხი; 25. ეტნა; 27. სილიო; 28. ნუნცი; 30. აისი; 32. მოემი; 33. რატომ; 34. ლიე; 35. სკიფი; 37. დარდი; 38. ვლადი; 41. ფონდა; 42. ციცია; 43. რიტმი; 45. იდო; 46. საყურე; 47. აფრიკა; 48. არმია; 49. გალერა; 52. კირხე; 53. დეიდა; 55. მინა; 56. ლიბი; 57. ზოლა; 58. ამინ; 59. მის.

ლაბადარაბატიციანიდებიუსინათლობატიკინაგაზი
კადრილიკანიბალისტადიონისერობაიალალიძერალი

საწვიმარი | ქურის გაყოლებაზე მოწყობილი ყვავილნარის ზოლი | სინილმჟავას მარილები | თვალისჩინ-დაკარგული | ქსოვილის მოხატვის ხელოვნება | ძაღლის ჯიში

რქებ-დახრილი ხარი | ფანჯრის ხის საფარი | იტალიელი ფერმწერი | ფრანგი კომპოზიტორი | მონათვლის ცერემონიალი | თოჯინა | აირი, ანუ?



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 4. გოეთეს პიესა; 10. მწვავე ინფექციური დაავადება, გაშეშება; 11. მოხალული ბურღულეულის ფაფა; 12. გამანადგურებელი ქარიშხალი; 13. მათემატიკური ჩაუკეტავი მრუდი; 14. ამერიკელი რეჟისორი და პროდიუსერი; 15. მუდმივი ელექტროდენის უმცირესი ძალა; 16. „თერგი... თერგი ღრიალებს“; 17. ზღაპრული ხახვისთავა პერსონაჟი; 21. სპილენძის ვიწროყელიანი ჭურჭელი; 22. ბრინჯის თავთავების იაპონური ღმერთი; 25. ბასკების ტერორისტული ორგანიზაცია; 26. მუსიკის დიდი სიყვარული; 27. აშშ-ის პარლამენტის ზედა პალატა; 29. ორადგილიანი ველოსიპედი; 31. ერთგვარი ბალახოვანი მცენარე; 36. სინი; 37. საქართველოს აღმაშენებელი მეფე; 39. წონის ერთეული, უდრის ას კილოგრამს; 40. სამხედრო წოდებულება; 44. საფეიქრო ნაწარმი — ქსოვილები; 46. გიბონების ოჯახის მაიმუნი; 50. იტალიელი კომპოზიტორი; 51. იაპონური ჭიდაობის სახეობა; 54. თავდაყირა; 55. სავაჭრო დაწესებულება; 59. ერთგვარი კოქტეილი; 60. ცეკვა; 61. იტალიის სატელევიზიო კომპანია; 62. ლაბისებრი საწვავი პროდუქტი; 63. წყლის ორმო; 64. ჩეხი კომპოზიტორი.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ლითონი (ზოგადად); 2. დროის მონაკვეთი დღის დასასრულიდან ღამის დაწყებამდე; 3. ერთი ადგილის ბილეთი თეატრის ლოჟაში (მოძვ.); 4. ჯ. როსინის სევილიელი დალაქი; 5. ერთი და იგივე სიმაღლის რამდენიმე ტონის ერთდროული ჟღერა; 6. თავის ქება, ბაქიაობა; 7. ქალაქი ესპანეთში; 8. იფნის ტყე; 9. ყალთაბანდი; 11. ფათერაკი, განსაცდელი; 17. საწვენე, დიდი კოვზი; 18. კბილის სირბილე; 19. ბლანდი; 20. ქალაქი საფრანგეთში; 22. ზამში; 23. ქართველი მსახიობი მამაკაცი; 24. მიწათმოქმედი, სოფლის მეურნე; 25. ვულკანი სიცილიაში; 27. საჭმელი სოკოს სახეობა; 28. რომის პაპის წარმომადგენელი რომელიმე სახელმწიფოს მთავრობასთან; 30. განთიადი; 32. ინგლისელი მწერალი; 33. რისთვის? 34. სიგრძის ძველებური ფრანგული საზომი; 35. გრძელი და ვიწრო სპორტული ნავი; 37. სევდა, ვარამი; 38. ფრანგი მსახიობი ქალი; 41. აერობიკის „დედა“; 42. ელგუჯას სატრფო (ყაზბეგი); 43. ელემენტების თანაბარზომიერი პერიოდული მონაცვლეობა; 45. ხელოვნური ენა; 46. ყურის სამკაული; 47. „შავი“ კონტინენტი; 48. ჯარი, ლაშქარი; 49. მრავალნიჩბიანი სამხედრო ხომალდი ძველად; 52. ლუთერანული ეკლესია; 53. დედის და; 55. შუშა; 56. დიდი, უშნო მუცელი; 57. ფრანგი მწერალი; 58. ლოცვის დასკვნითი სიტყვა; 59. მიმართვა ინგლისელი გაუთხოვარი ქალისადმი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

ერთგვარი ცეკვა | კატიჭამია, ველური | სპორტული ნაგებობა | ლეონარდო და ვინჩი – „საიდუმლო ...“ | საზაფხულო საძოვარი | მტაცებელი ფრინველი | ვივ-იენ ...

ფილმის ცალკე სცენა | ქართული მინერალური წყალი | ლოდსატყორცნი მანქანა | ღვინის ბერძნული ღმერთი | სპარსული სამიჯნურო ხასიათის ლექსი | ქართველი კომპოზიტორი | შეჯიბრება ავტომობილებით

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2022 წლის 31 ოქტომბერი – 6 ნოემბერი №45 (1457)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

სარედაქციო კოლეგია

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.**
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001

Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol